

მე-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN



თბილისი
2010

ზრანც ვერზელი

მკითხველისადმი

ადამიანო, მე ამ ქვეყნად ვითხოვ ერთადერთს:
დავნათესავდეთ და ერთმანეთს მივყვეთ ღმერთამდე!
ვინც უნდა იყო: აკრობატი, ჩვილი თუ ზანგია,
ეზოებს მიღმა მგალობელი წკრიალა ჰანგის,

იქნებ ცაში ხარ, თვითმფრინავით სივრცეებს სერავ
ან ბრძოლის ველზე შენი გაზნით მტრის რაზმებს ცელავ,
შენ ბავშვობაშიც სათამაშო თოფს დაათრევდი,
ერთხელ, ისროლე და გაუცვდა წყეულს სასხლეტი.

ჩემო კეთილო, როს წარსულის ბინდუნდს გავარღვევ,
შენ ჩემთან ერთად ეგ ქვის გული ცრემლით გააღღვე.
მე ხომ ყველასთვის შემიღია სულის სარკმელი:
ვიცი, რას ფიქრობს დედაკაცი, არფის დამკვრელი.

იმ ახალბედა მასწავლებლის ბედიც მრგებია,
უცხო ოჯახში პირველად რომ შეუძღვებიან,
ვხედავ დამწყები მსახიობის შემკრთალ სახებას,
სუფლიორის წინ ვგრძნობ მის პირველ აცახცახებას.

ტყეშიც ვცხოვრობდი და სადგურის მოხელეც მერქვა,
მევალებოდა შემოსავლის დავთრების ქექვა,
ლუმელს ვანთებდი და მეკიდა სახეზე დარდი,
მტვირთავიც ვიყავ, სხვისი საჭმლის ნარჩენებს ვნთქავდი.

არ შემეძლო, ამ სიტყვების და ბედის მწერალს:
მე შენი ვარ და, ესე იგი, ვეკუთვნი ყველას.
ო, ღმერთო, ნეტავ, თუ ავიხდენ ნატვრას ერთადერთს:
გადამეზვიო და ერთმანეთს მივყვეთ ღმერთამდე!

მაცანწალას სიმღერა

შეწყდა ღამის ბლავილი.
ბალში შეკრთა ყვავილი.
ჩქეფს ჩანჩქერი ჭავლებად, ჩიტი ჰმადლობს ზეციერს.
ფარისევლურ იარად
ღამემ გადაიარა.
ღაიფერა აისი და... შენც წამომეწიე!

გუშინდელი დღესავით
მახსოვს ის, რაც დღეს არის,
მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ სხვა იყავ სრულიად...
ტანი, კაბის ამარა,
რომ უფრო მეტს დამალავს,
ვიდრე შენი სუნთქვა და შენი სიარულია?!

ვგრძნობდი: ენა დამება.
მღევდა იღუმალება.
ცას შევცქერდი, უცნაურ სიმსუბუქით მთოვარეს...
შენში ქალი სახლდება,
ხვალ რომ დედა გახდება!
რატომ მთანგავს სირცხვილი ან რა აღმაფრთოვანებს!

ღვთის მწვერვალი შენია,
თვალი ვერ მოგწვდენია,
ღვთაებრივში, ოლონდაც, ტანჯვაც იგულისხმება...
შენც გაგტანჯავს ცხოვრება
და სულ გემახსოვრება,
“შვება” და “სიმძიმელი” როგორ გექცა რითმებად!

დღეს ვალი და ბუნება
ერთუროს ეხმაურება,
ჩვილის წონა, შენი რძე – ეს თუ განერვიულებს:
მე – სუნამონაკურებ
თბილ დერეფნებს გავყურებ,
განცხრომაზე ვფიქრობ და ვთელავ ვესტიბიულებს.

სიზმრის ნამით ნაბანი,
დე, დასრულდეს ამბავი:
ზეცისკენ გაგაქროლებს ღრუბლის თეთრი მარხილი;
მე კი, ქებას გიმღერებ,
სასწაულს დავიჯერებ,
შენს წინაშე ვიდგები თავ და მზერადახრილი.

სმირნობისას

ნუთუ გგონია, ეგ ფეხის ხმა განქარდა, გაქრა
და ქვაფენილზე ძველებურად არ ისმის ახლა?!
მიიმედ დახრილი, ხან მსუბუქად მიმორხეული,
სულსწრაფობს, ჩქარობს და ხალხს ერთვის შენი სხეული.
ეგ ნაბიჯები, მორბენალი ბაღლების დარად,
გზაზე, კიბეზე წინ ილტვიან მარად და მარად!

არც ეგ სიტყვები დაკარგულა უცებ, მოცელებით,
მათ სული შობეს, სული – შლეგი, სული – მლოცველი.
დაფარფატებენ, ევლებიან სასახლის ყურეს,
კარიბჭეებქვეშ დაეძებენ რჩეულთა ყურებს,
რათა დროდ იქცნენ, შეხვდნენ ყოვლის უხილავ გამგეს,
ახლადშობილი შვილიშვილის ამოსცდნენ ბაგეს.

გამანდე, შვილო, მწველი ფიქრი, მცდარი იჭვები –
შენი გგონია ეგ სიტყვები და ნაბიჯები?
ან, იქნებ, გჯერა, რომ მოხუცმა თქვა და... წავიდა
და ერთხელ თქმული არ აღდგება კვლავ საფლავიდან?
მიმიხვდი, განა, არ მთავრდება დროის ზღაპარი –
თვითონ შენა ხარ ის მოხუცი და წინაპარი.

კეთილი საქმე ჩავიდინე

იხარე, გულო,
ჩავიდინე კეთილი საქმე:
მარტოსულს, ეულს ვედარავინ ვერ დამიძახებს,
რადგან არის
ამქვეყნად კაცი,
თვალზე ცრემლი რომ მოადგება ჩემს სსენებაზე.
იხარე, გულო!
ცოცხლობს ერთი ადამიანი!
არა, აღარ ვარ მარტოსული,
არა, რადგანაც
ჩავიდინე კეთილი საქმე.

შფოთიან ღღეებს მოელო ბოლო –
მინდა, უზღვავი ჩავიდინო კვლავაც სიქველე!
ვერძნობ,
ყოველივეს როგორ ვუყვარვარ,
რადგან თვითონაც მიყვარს ყოველი!
აჰა, მოვდივარ, კვლავ შეცნობის წყურვილით სავსე;
ო, ბოლო გრძნობავ, უტკბესო და უანგარესო,
მოკეთეობას გეძახიან
– სადად, უბრალოდ, -
მინდა, კვლავაც სიკეთე ვთესო!

მე წილად მერგო
ქვეყნად მაღლი უწარმტაცესი –
მადლობას მიძღვნის
მთელი სამყარო:
უტყვი საგნები

მიცვივიან ისევ მკლავებში,
რომელთაც, როცა მოაწევდა ჟამის სისასვე,
ვეფერებოდი,
ვით დამჯერ მხეცებს.

ჩემი საწერი მაგიდაა,
სულ რომ ჭრიალებს, -
აღბათ, უნდა, რომ გადამეხვიოს.
ფორტეპიანო, იღუმალად და უხერხულად
სუყველა სიმს აახმიანებს –
სურს, მე მომიძღვნას საყვარელი ნაწარმოები.
წიგნს ჩავხედავ და – ისიც თვითონ გადიფურცლება.

ჩავიდინე კეთილი საქმე.
წავალ, ბუნებას მოვიხილავ ახასხასებულს:
მწვანე ხეები,
ლიანები უცებ კვალში ჩამიდგებიან.
დამეწევინ
ბალახები და ყვავილები,
ჩაეხვევიან ფეხებს ფესვები,
ნაწი ტოტები
შემკრავენ მყარად,
თავზე ფოთლები დამელვრება
წყლის სიფრიფანა
საფარველივით.

ჩემს ხელისგულებს
უამრავი ედება ხელი
და ასე ვდგავარ,
შემორკალული
სითბოთი, მადლით და სიყვარულით.

ჩავიდინე კეთილი საქმე.
კეთილი ზრახვა
სიხარულით ამივსებს სხეულს.
ამიერიდან მარტობას ვერვინ დამწამებს –
იხარე, გულო!

შენ ცრემლნარევი აღტაცება მოჰგვარე ამ გულს

შენ ცრემლნარევი აღტაცება მოჰგვარე ამ გულს,
განუზომლისკენ, უთქმელისკენ ვქროდი გონებით...
ნეტავ, რა დარდი აწვალებდა მილიონ ტანჯულს,
რას განიცდიდნენ ნეტავ მაშინ მილიონები?

ამ ხეტიალმა მომაბეზრა სიცოცხლე მაშინ,
მიწა გრგვინავდა, არ ისმოდა, თუმცა, ფეხის ხმა...
ვიღაც უდროოდ ეშვებოდა სიკვდილის ზღვაში,
ბედნიერებას რომ ელოდა და არ ეღირსა!

შენგან ფრთაშესხმულს, ცაც კი აღარ მეგონა შორი...
ვიღაც ნაგავში დაეძებდა მხსნელსა და მშველელს,
უხმოდ დაძრწოდა და თან სდევდა სურნელი შმორის,
დაორთქლილ ქვაბთან მოკუნტული ითბობდა ხელებს.

ო, დაბზარულო, დარღვეული თანაფარდობავ,
ამ ცისქვეშეთში ვის რგებია ღვთისგან დანდობა?!
დატკბი ცხოვრებით, ოღონდ სული არ დაიმშვიდო,
დანაშაული რომ ოდესმე გამოისყიდო!

მიუტოვებელი

კიდევ ერთ ღამეს ვერ ავიშორებთ –
გამოგაფხიზლებს ჩემი სიშორე
და არა – კართან მომდგარი ყინვა.
რა ვქნა, შენს გვერდით ძნელია ხვრინვა.
პაწია საწოლს კენესა დაფარავს –
წამოიტირებს ჩვენი პატარა.
გადიხდი საბანს უსიტყვოდ, ჩუმად,
მკერდთან მიიკრავ პაწაწას უმაღლ.

გათენდება და შეიგრძნობ იმ წამს
ფეხქვეშგამოცლილ ნაწვალზე მიწას.
ცოდნა მიგვიყვანს იღუმალ ზღვართან,
დაგიძძიმდება ბაგე და კალთა,
ვერ მიფრინდები ოცნების კართან,
ვერ გაექცევი ნაოჭებს თვალთან.
ხვალ სიხარული შეგიცვლის გლოვას –
სულით უპყრიხარ უცნაურ მსტოვარს!

გახსოვს, დაისი მზეს ძლივს ატევედა,
არსება შენი დაფარფატებდა;
გახსოვს,
წინასწარ ვიღაც ხვდებოდა,
ეგ დრო მარადი რომ გახდებოდა,
ვიღაცის უპეს უკვე წყდებოდა
ცრემლი,
შენს ხორცში რომ მწიფდებოდა!

მამა-შვილი

ერთმანეთისთვის რას არ ვცდილობდით –
ბევრს ვხუმრობდით და ბევრს ვიცინოდით
და ვნეტარებდით ერთობ...

ურანოსივით სუნთქავდა ცა და
ჩვენ ერთგულების ბავშვივით გვწამდა,
რა კარგი იყო, ღმერთო!

მაგრამ, ვაიმე, ეთერი გაქრა,
ამოიგმინა სამყარომ მძაფრად,
სხეულს გაეხსნა მაღა...
ჩვენ ერთმანეთის გვემძიმა ტვირთი,
გაყოფილთ, თვალში ფოლადი გვიკრთის,
დანის გვიპყრია ვადა.

შავადმოსილნი, თვალს სჭრიან უცხოს –
ზიზღი შეჰყურია უფროსს და უმცროსს,
ზიზღი – ცივი და ბასრი...
ყოყლოჩინობენ მახვილის პყრობით,
სავსეა ბოლმით, შურით და მტრობით
მათი ფიქრი და აზრი.

უცნობი ნატრობს მოხუცის მესას,
ჭალარა კაცი მემკვიდრით მგესლავს,
უფსკრულის ექო მზარავს.
სულის წამრთმევი ახლავს სიცივე,
იარაღივით ველარ ვიცილებ
ამ ჯოჯოხეთურ ძალას.

მაგრამ დღეები მაინც მიდიან,
შინ – სიმყუდროვე და სიმშვიდეა,
ვუსმენთ მომთენთავ ღუმილს.
ვერ აუკრძალავ სისხლს იქ დინებას,
გულს – აჩუყებას და ატირებას,
იქ სამოთხეა ჩუმი.

ის დრო, ერთმანეთს რომ ვახარებდით
და უსასრულოდ რომ ვხარხარებდით,
ოცნებებიდან გვიცქერს...
კვლავ ძველებურად არხევს ჭაღარას,
მოხუცს ეხება ხელი პატარა,
ჩნდება ახალი სივრცე.

მზერათა შესვედრა

მზერა! სალამი, მონატრება, გამონათება –
ო, ამდენი ხნის გასვლის შემდეგ, კვლავ შევხვდით ერთურთს!
გზაზე მდგომთ, თითქოს, ბედისწერა გეუბნებოდეთ:
აჰა, წადით, საითაც გინდათ!
სწრაფი, მხურვალე გამოსხლეტა ერთმანეთისგან,
ერთი სუსტი და უხალისო შემობრუნება:
ცოტაოდენი დრო კიდევ არის!
აი, ახლა კი, არცერთი წამი!

მოსუცი ქალი მიღის

როგორც გოდოლი, საუკუნის სიძველით მთვრალი,
მთავარ ხეივანს მიუყვება მოსუცი ქალი.
მას ფოთოლივით ქარი არხევს და კვალში უდგას,
ნისლებაშლილი, ქშენა-ქშენით დაუთვლის სუნთქვას...
ააჭრიალებს ქალი კიბეს, ხელჯოხით, ჩანთით,
დაინამება სადარბაზოს სინათლით, ზანტიით...
დახვდება სახლი და მასავით ბებერი ტახტი –

ხელს არვინ უწვდის და ქურთუქსაც არავინ გახდის,
არვინ გახედავს სასოებით იმის ნაკვალევს,
მტანჯველი ფიქრი ბებერ ხელ-ფეხს აუკანკალებს,
წარსულის დღეებს, როგორც საჭმელს, ქურაზე აწყობს –
წარსულით ცდილობს, რომ როგორმე შეიცნოს აწმყო.
არავინ ელის და, მით უფრო, არავინ ნატრობს –
თავის სხეულთან, თავის თავთან დარჩება მარტო.

ვერ ხვდება, საკვებს როგორ ღეჭავს მისი კბილები
ან მასში როგორ ამოშენდნენ მისი შვილები;
ადრე რაც მისგან მოდიოდა, სხვა კარს ამაგრებს –
ორივე ვაჟი თავის ჩექმას სხვაგან ალაგებს.
დავიწყებია შეკვივლება, შვილს რომ ჰბადებდა,
რას განიცდიდა, რა სტკიოდა, რა ადარდებდა?
მხოლოდლა ერთხელ, როცა ქუჩის ქაოსი სდევდა,
ვიღაც თავდაკვრით მიესალმა და უთხრა: “ღელა!”

ამ ქალში, შინ რომ დარჩენილა ახლა ეულად,
ჩანს, რა საშინელ ურჩხულებად გადავქცეულვართ,
რადგანაც დროში შევიჭვრით! ხოლო დროება,
არის ისეთი იდუმალი გარემოება,

სადაც ხაფანგი გვისაფრდება, ჩრდილები ქრიან
და ამ სატანჯველს ერთმანეთით წამება ჰქვია.
ერთს მაინც გეტყვი, თავი ფიქროთ რომ არ დაღალო:

წუთისოფლისგან არ შედგება მხოლოდ სამყარო.
ქალი ოთახში დაღასლასებს, კედლებს აწყდება,
მაგრამ ერთხელაც, ყველაფრის არსს როცა ჩაწვდება,
ტიზრული ხატი ააღდება, აგიზგიზდება –
ქალი შეიგრძნობს, ყველაფერში როგორ იზრდება.
ლაპლაპებს ლამპა, ინავლება, მაგრამ არ ქრება –
იქიდან სჭვივის დიდებული ღმერთის სახება.

სსპა ყოფიერება

იჯდა ბელურა სარკმლის ახლოს, ნისკარტდაბჩენით –
მთლად ვერცხლისფერი, სუნთქვასავით ძლივს შესამჩნევი.
მე თბილ ოთახში ვნებივრობდი. იყო გვიანი.
ვერ მოვითმინე და ხმამაღლა შევეხმიანე:
ო, რაგინდ ქარი გერჩოდეს და გერქვას ეული,
ზამთარი მაინც საშენოა და შენეული.
ნაცრისფერ შუქში დაფარფატებ, თავს გათენდება,
არც არას ფიქრობ, არც სიკვდილი არ განსენდება.
ჩემში კი, ფიქრი შემზარავი უცებ იელვებს –
ადამიანი მოკვდავობას აცნობიერებს!

და, მერე, ჩიტი
არ მოიქცა სულ მთლად ჩიტივით:
კისერზე თავი
ატრიალა მუშაითვით.

შემდეგ ტკივილი ჩაუსაფრდა პატარა გულთან,
ტოტებს მოწყდა და
გადმოეშვა შეკრული ბურთად
(მაშინ ხმადაბლა ატკაცუნდა ბუმბულა ყველა)
და შეუერთდა უსამანო სითეთრეს ნელა.

სასოწარკვეთა

ჩამოწვა ღამე, სვალ კი ისევ დღე გათენდება.
კვლავაც ივლიან მანქანები, დარეკავს ზარი...
პირისპირ მიზის დედაჩემი,
რომლის სახე უტყვია ჩემთვის,

სამაგიეროდ, განუწყვეტლივ მესაუბრება.
მე კი, იღუმალ არარაზე მინდა ვიფიქრო.
ჩემი დაიკო არ ამადლის არავის სიცილს –
სულ ერთი წამიც და, შემზიზღდება –

ჩემს მარტობას
ბოროტი სიტყვა
სადაცაა აათუხთუხებს.
მე ისე ვარ მარტობით ამოვსებული,

რომ ყველაფერი
ძველ სიყვარულს მისტირის ახლა.
მეც სიყვარული მენატრება,
მაგრამ მაინც არავინ მიყვარს!

კვირა საღამო

ჯერ ისევ აქ ვარ – ისევ ღვივის ჩემი ვარსკვლავი...
ჩაყუჩებულა, და ძლივსღა ვგრძნობ მთვლემარე ტკივილს,
ვიდრე სულის განსაზღვრულობა
სახვალთ ვარსკვლავეთში გადამისროდეს.
ჯერ ისევ მღორედ მივედინები უგრძეს უკუნში,
სულერთან ერთად დავფარფატებ შეუღვიძებელ მდელოებზე.
წარსული ჩემში გარდატყდება
და ცრემლიანი სახეები დაეშვებიან,
ვიდრე პირველი ქარიშხლები აწივლდებოდნენ,
უცხო სხივები სათითაოდ დაცვივდებოდნენ,
მანამდე, ვიდრე ზვალ – კუმტი და თავზარდამცემი –
რკინის მარწუხს შემომიჭერდეს.

მანც რა არის ამაზე ტკბილი?

თქვენს ველურ ცხვირ-პირს ზედაპირზე ნუ ატივტივებთ –
მოდით, ჩემს სუფთა არსებაში ჩააყვინთინეთ!
თქვენ მაიძულეთ, ეს სასმისი რომ გამოვცალო,
მუქარით სული სხეულს მუქთად რომ გამოსძალოთ.

დიდება თქვენდა – ყველა მარტვილს, კერპსა და მედგარს,
დიდება ამ გულს, შეუდრეკლად რომელიც ფეთქავს,
მანც რა არის უფრო ტკბილი და სანეტარო -
გტკიოდეს, მაგრამ ბაგეს კვნესა არ გაეკაროს.

ო, მოლალატეკ, უნდა შეგძრა და გაგახელო,
ფარისევლობით დამსენელო და დამლახვრელო!
მოდი, დაჰკარი ფერხთ სამსჭვალი, ყვრიმალს – შოლტები,
ყოველი დარტყმით მე უფლის რიტმს ვუახლოვდები.

მარადიული გამოსალმება

სულ ბავშვი ვიყავ, ყოველივე მოხდა მარტივად –
მაშინ პირველად სიყვარულმა გული მატკინა.
ღვიოდა მზე და გაშტერებით ვიდექი როცა,
ვიგრძენი კუბო, საკმეველი, ბუტბუტი, ლოცვა...

ვეშურებოდი ახლობლების კოცნას და ნახვას.
მქისე ზუზუნი ძილ-ღვიძილში ჩამესმის ახლაც.
დამიჭკნა მზერა. არ მიყვება დრო ახალ ამბავს...
საკიდზე ობლადღარჩენილი ირხევა კაბა.

საქალაქთაშორისო საუბარი

მოვიდა ჟამი. ნაპრალები ჩემს ბინას შთანთქავს –
კვლავ გააღვივებს ძველ სიტყვებს და სიხარულს ჩამქრალს,
და ჩემთან ჩურჩულს დახშული ხმა ცდილობდეს, თითქოს,
ქარსწყალობილი ჰანგი ისევ სახელით მიხმობს.
ჭრიალა კიბე ხმაში ჩვეულ სიტბოს გაურევს,
ყველა კარს ჯადო მონუსხავს და აახმაურებს,
დედის ჩურჩული, სულ ახლოს რომ ჟღერდა გაბმულად,
დროს გაუფანტავს და წარსულში გადაკარგულა.
როგორც მოახლე, ჭერისა და სიტბოს მსურველი,
ყველა კუთხიდან მეგებება ძველი სურნელი.
წვიმას დადგომა ტელეფონთან მაღლად ეთვლება,
რადგან შვილს მამის გახსენებას შეევედრება.
დრო გამოჭრილა საათიდან, სიშორე – ქვიდან,
ის იყო, სევდას სიხარულის ყიჟინა ცვლიდა,
ვერ ავიცილეთ მრისხანება შორეთის ღმერთის –
მღუმარე სივრცეს კვლავაც ჩემი ღუმილი ერთვის.

ღვთიური მშობარი

ჩემს ბიჭობაში ჩაგირბენდი როდესაც გვერდით,
შენც იზრდებოდი მაგ შენს კარში – ილტვოდი მაღლა,
ჭერს ეხებოდი ლამის ქუდით, თმა-წვერშიც დაღლა
არ გეტყობოდა, ხელჯოხითაც სიმხნევეს წერდი.

თმადათოვლილო ბერიკაცო, ხსოვნასთან შერთვით,
მე სიყმაწვილეს შემიქებდი და გულში ნაღვლად
გელო ბავშვობა, რისიც სიზმრად გინდოდა ნახვა,
სადაც მე ყვითლად მწოლარს მგრძნობდა სამარე ერთი.

ისევ ბიბლიურ ღმერთად გხედავ და ჩემი ყრმობის
ღამეებიდან მოლივლივებს ის შენი ფართო,
პატქრიარქალურ წვერის ღროშა, და მავსებს გრძნობით.

შენს უნიფორმას, ლივრეათა ნაზ წკარუნს წლობით
ვუსმენ ხსოვნაში, შენი ხსოვნა აქამდე მართობს,
რასაც არასდროს მოედება ხავსი და ობი.

ცხოვრების სიმღერა

რომ ერთ დროს ჩემი ეს ცხოვრება იყო და ძგერდა,
რომ მასში იდგნენ ის ფიჭვები და ჰქონდათ სხვა ხმა
და ნაპირები მიიწევდნენ მძინარედ გაღმა,
რომ მე ვყვიროდი ტყეში გიჟად, ღუმილთან ერთად,
რომ ერთ დროს ჩემი ეს ცხოვრება იყო და ძგერდა.

სადაც ნაპირნი მიიწევდნენ მძინარედ გაღმა,
მდინარემ ჩვენგან რა წაიღო ღრუბლით და ლერწმით?!
სადა ვარ, - მესმის ხმა ნიჩაბთა, ერთურთთან შერწყმით,
რადაც ფეთქდება მაგათ შორის, იღუმალ ნაღმად,
სადაც ნაპირნი მიიწევდნენ მძინარედ გაღმა.

სადა ვარ, - მესმის ხმა ნიჩაბთა, ერთურთთან შერწყმით,
კენტათა ჩხრიალში არეული, რაც გულით ვზიდე...
ლამპიონის და წაბლის ენა ცოცხლობდა კიდევ,
სიტყვებიც, მაგრამ სად არიან – არ ახსოვთ ჩიტებს...
სადა ვარ, - მესმის ხმა ნიჩაბთა, ერთურთთან შერწყმით.

ლამპიონის და წაბლის ენა ცოცხლობდა კიდევ,
ისმოდა სუნთქვა შეყვარებულ კაცთა და მწერთა
და ვგრძნობდი ქალის თმების სურნელს, ვკოცნიდი თითებს,
ო, უკვდავებავ! - მწამს კი მე ეს, რომ ცისქვეშ ვიდექ,
რომ ერთ დროს ჩემი ეს ცხოვრება იყო და ძგერდა?!

ლიმილი, სუნთქვა და მოძრაობა

შენ გააჩინე და
შენივე შექმნილით ხარობ –
დაწვებზე დამდის უთვალავი ღიმილის წყარო,
სულ რომ ჩუხჩუხებს
და წუთითაც რომ არ ისვენებს,
სახეზე მაფენს ნეტარებით მფეთქავ სისველეს.
ღიმილი სხვაა და ნაოჭებს არ ემსგავსება –
ღიმილი – ნათლით დაფერილი არის არსება.
კრთის შუქი,
მაგრამ შარავანდით ვერ ფარავს ხატებს,
რადგანაც ნათელს
მხოლოდ ჩვენი ღიმილი ჰბადებს.
თვალთა კარიბჭეს გაზაფხულის შხეფი მოწყდება
და სიმხურვალეც ღიმილისა ასე მოწმდება:
ბებერი ხელი შეუშვირე ამ ნელთბილ კოცონს –
შენ გააჩინე და შენივე შექმნილი მოგწონს!

ყური დაუგდე, მოუსმინე, მიაყურადე –
იგრძენი, სუნთქვა რა იოლად აღწევს გულამდე!
ო, რამდენს ნიშნავს, სუნთქვა სუნთქვას რომ შეეზრდება,
სხვისი რომ გესმის
და სიცოცხლე რომ არ გბეზრდება!
ზეციით უბერავს, ერთხელ დაშლილს კვლავ ამთლიანებს
და მტრების ქოროს ღრუბელივით თავს დასტრიალებს.
არა გრივალი, ფუძის მშლელი, დამქცევი სახლის,
არც – ნიავექარი, ბებერ რტოებს ერთურთს რომ ახლის,
ცახცახებს სული, შეუცნობი, ყოვლისმცნობელი,
აღამიანის სუნთქვა არის მისი მშობელი.

ბაგეებს წყდება, გადასცდება ზეციურ ზღუდეს,
თითქოს, სამყაროს ხელმეორე მოქცევა სურდეს.
თავსაც იწონებს, ვით სჩვევიათ ნებიერ ბაღებს,
სიტყვების ნავი ქარის ზღვებზე მთარღვევს ტალღებს.
ყური დაუგდე, მოუსმინე, მთაყურადე –
იგრძენი, სუნთქვა როგორ აღწევს გულისგულამდე!

მიდი, დაეშვი, მიწა ახლა იმ ცრემლებს იკრავს,
შენ რომ აპკურე მიჯნურების ფეხის ხმას, მიმქრალს,
მაშ, შეუერთდი, მათ ნაბიჯებს ჩაეზიარე,
სვლა ყოველივეს განწმენდსა და აერთიანებს,
წინსვლა მეტია სირბილსა და მალლა ფრენაზე,
მალალ სფეროზე, მალალ მზეზე, ვარსკვლავთცვენაზე,
მროკავ სივრცეზე, რომ ლივლივებს და რომ არ ცხრება,
მეტია, ვიდრე ეს ფუსფუსი და აღტაცება.
ნეტარებს ღმერთი, სულ გიზგიზებს და თან სულ ქრება,
ჩვენს ნაბიჯებში იბადება თავისუფლება.
ღიმილი, სუნთქვა, მოძრაობა მეტია, ვიდრე
ხომლი იელვებს თუ ფოთლებზე ნიავი იფრენს;
ვიდრე სინათლე, სხივებმა რომ ფრთებით ატარეს,
ადამიანში თვით სამყარო იღებს სათავეს,
მიჯნურთ ღიმილში, მათ სუნთქვაში, ცაზე, ჰაერში...
იტირე, მუხლი მოიდრიკე, მიდი, დაეშვი!

მალალი საზოგადოება

არასოდეს დაივიწყო, ცეკვავ თუ ყელს იღერებ,
სული წვით და ხეტიალით როცა ველარ ოკდება,
რომ ერთხელაც, ყველას ერთად, დაგვაღუმებს სიბერე,
ყველაფერი დაიღლება, ყველაფერი მოკვდება.

მასზე მეტად, რაც ვაკეთეთ ან რისი თქმაც შევძელით,
გვაკავშირებს მილულული თვალის დახამხამება,
ჩუმი კვნესა, ჩუმი ოხვრა, ყინულის სარეცელი,
უეცარი დაღამება და ტკივილით წამება.

გესმის მძლავრი ნაბიჯის ხმა? მაშ, თავი დაუხარე,
აცახცახხდი გამოჩენით კუდიანი ხომლისა!
ფოლადის მტერს რკინის თვალში ეგ თვალი გაუყარე,
დაუჩოქე და მარადის გწამდეს მიუწვდომლისა!

შეეცადე, დაინახო ჩაშრეტილი თვალები,
სულთმობრძავის ამოკვნესა, გამომშრალი ბაგენი,
ხელი როგორ აფეთქდება, კრუნჩხვით განაწამები,
შუბლი როგორ გათეთრდება, ცივი და ოფლნადენი...

რასაც ყველა იმსახურებს, შენც ის ბედი გეწია,
უკანასკნელ დღეს სხვებივით სისხლით უკავშირდები,
ყრუ ტკივილის ნაცვლად ახლა სინარული გეწვია,
ყველას უთანასწორდები, სრულდები და მშვიდდები!

ეს გახსოვდეს, მაგრამ ახლა მსურს, გიამბო იმაზე,
თუ როგორ ცვლის შენს სახებას სინაზესთან ნიშნობა,
სინაზე ხომ სიბრძნეა და აზრი არის სინაზე,
და შენს ბაგეს საძუდამოდ ევალება მისნობა!

კეთილი კაცი

ძალ-ღონით სავსეს ვარსკვლავებიც კი თავს უხრიან,
მთელი სამყარო კაკალივით მუჭში უპყრია.
მისი სახება თვალს ღიმილის გტაცებს სიუხვით,
მას ბრძოლა ჰქვია, მის ნაბიჯებს ჰქვია ტრიუმფი.

ო, სადაც ის დგას და ფრთებივით ფართოდ შლის ხელებს,
სადაც მისი ხმა ტირანულად დაიგრუხუნებს,
სიმართლის ზღვასთან თვალთმაქცობა წააგავს დელეს,
ყველა ღმერთდება და ღმერთივით ფანტავს უკუნეთს.

მის კეთილ ცრემლებს ვერ აცდები, ვერსად წაუხვალ,
და, წყლისგან შექმნილს, ეს ცრემლები სამყაროს არც სწყინს,
სადაც კი მისი ნიაღვარი ფერდობს ჩაუყვა,
სუყველა ფორმა დაუბრუნდა საკუთარ საწყისს.

მრისხანებითაც ქვეყნად ვერვინ ვერ შეედრება –
ის დგას კოცონზე და სიცოცხლეს ასე ეყრება;
ხოლო მის ფერხთით, სამუდამოდ მივიწყებული,
მატლივით ფეთქავს დემონების მთელი კრებული.

მხარს უმშვენებენ ცით მიმავალს, როგორც სხივები,
ოქროს სფეროში თავჩარგული სერაფიმები;
ყიჟინას სცემენ, აღვიძებენ იღუმალ მხარეს,
გრუხუნი გააქვს ოქროცურვილ ღვთაებრივ ფარებს.

რატომ, ღმერთო?

რად შეშქმენი, შემოქმედო, ამაღ –
აღმოვცენდი მე ამ ქვეყნად თუკი,
რატომღა ვარ სანთლის მკრთალი შუქი?
კუნაპეტი ჩამწოლია თვალში,
დავფარფატებ ჩემი ცოდვის ქარში.
რად შეშქმენი, შემოქმედო, ამაღ –
ამპარტავენულ მონოლოგთა მთქმელი,
კვლავ უზომო სიზვიადეს ველი.
ჩემს შორეთში ეს სიტყვები ქრიან –
მარტო ვარ და მარტობა მქვია.
რად შეშქმენი, შემოქმედო, ამაღ?

ან ჩემს ხელებს რად არ მიეც ნიჭი,
მოყვასისთვის გაეფანტათ იჭვი?
ამ ორ ვარსკვლავს, ისე რად არ ჰქენი,
ეკამკაშა ნუგემით და რწმენით?
ეს ხმა წვიმად რად არ გარდაჰქმენი,
კეთილ ჰანგად ეწანწკარა ღზენით?
ამ შუბლს, ახლაც ლამპასთან რომ ღვივის,
რად უმაღავ უნეტარეს ტკივილს?
გული უსმენს მარადიულ ექოს –
ღე, ტკივილის ზანზალაკმა რეკოს!

შეხე, სიცხით დაოსებულ შეილებს –
მათ ნიობეც ველარ დაიტირებს!
გაყოლილი გზააბნეულ ზომალდს,
ღგას ცოდვილი, თავის წილ ცას ზომავს!
თოვს. ავდარი კარს შემოგლეჯს წვივით –

ჩვენც ცოდვაში ფოთლებივით ვცვივით,
რომ თბილ ტკივილს მივუჩინოთ ბინა.
ზამთარია და
იმედებს სძინავთ.

არა თოვლად, არც ღრუბლად ან წვიმად –
რად არ შემქმენ, ღმერთო, სერაფიმად,
რომ კვლავ სითბო დავუბრუნო სხეულს,
სნეულება გავუქარვო სნეულს.
კენესა ყვითელ საბურველში მახვევს:
მომძახიან და მარქმევენ სახელს,
მიწოდებენ “ძილს”, “ცრემლსა” და “ოთახს”,
“ტკბილ ბავშვობას” და “დედობრივ შფოთვას”,
გამხნევენ და კვლავ შენს სარკმელს ვუმზერ,
რომ მალამოდ დაგედინო გულზე.
აფრინდები – შეჩერდება წამი,
მონუსხული შენი სახის ნამით.

პასილი

ჩემთან მოდი, ზამთრის წმინდა სულო,
ჩამოეშვი ყინულოვან ალად...
დრო ცოტაა და გეზვევა რკალად
აღსასრულის დახლართული სურო.

ზვიად სიტყვას გული როგორ ჰგუობს?
ღიმილმაც ვერ გადმოლახა ზღურბლი...
მძიმე ჯაჭვით შებორკილა შუბლი
და ნაბიჯიც გამუდმებით ცრუობს!

ძველ ნაპირზე გააქვავე წყევლა,
რომ ცოდვისგან განვიწმინდოთ იქვე...
შენი სიტყვა დაგვიტოვე მძევლად,
ნეტარებით დავიტბოროთ, იქნებ!

მიწა იძვრის და დროდადრო უტევს
ტკივილები, თავს დამსხმელი რეტის...
მო, შთაგვბერე შენს არჩეულ ბუკებს,
რომ დედები გავხდეთ ერთმანეთის!

VENI CREATOR SPIRITUS

მოდ, უფალო – შენივ ქმნილი განსაჯე მკაცრად
და ჩვენი ტანის მარმარილო აქციე ნაცრად,
რომ ცად ატყორცნილს დავემსგავსოთ კვლავაც კვიპაროსს,
რომ სამყაროს ჭა ყრუ გალავნით არ დაიფაროს,
რომ ერთმანეთი კვლავ იხილონ ჩვენმა თვალებმა,
ერთურთს ჩავეკრათ, ვიბობოქროთ, როგორც ალებმა.

ჩვენი არსება ჭრილობებსაც არ დაერიდა,
მაშ, დელფინივით ამოყვინთე ჩვენი ფსკერიდან.
ხარ ბრძენი თევზი და ეგ სიბრძნე სუყველას ნუსხავს,
მოდ, უფალო, გვაზიარე სიწმინდეს უზღვავეს.
სამყაროს უძღვნი ყოველ დილით კრისტალის კანონს,
შენს შემხედვარეთ, სიკვდილი რომ არ მოგვეკაროს.

მაინც როგორი უცხონი ვართ –
შორიშორს დავალთ,
სულთმობრძაენიც კი,
ერთმანეთის ზიზლით ვართ ავად.
ჩვენ თვითონ ვირჩევთ სამუდამო ტანჯვა-წვალებას,
მარტოობაში ვამჯობინებთ გარდაცვალებას.

პატიემოყვარე კაცუნებად გადაქცეულნი,
ჩვენს ბუნაგებში დათვებივით ვართ დამწყვდეულნი;
სწორედ ამიტომ, ჩვენი ხორცის მონები ვხდებით,
ყველა სუფრასთან ჩვენი ნებით როდესაც ვკვდებით.
ამოდი, სულო, მომასწარი შენით აღვსებას,
ცივი ყინული მოამსხვრიე კაცის არსებას.

ჩვენი ცრემლები რაღაც მქისე სითხეს მიაგავს,
შენ ამოაშრობ, შენ გააქრობ ამ შმაგ ნიაღვარს,
აღფრთოვანება ერთურთის რომ გავიზიაროთ
და ერთმანეთთან მიუღწევლად აღარ ვიაროთ.
გამოხედვაში, ბაგეებში, ხელებში, თმაში,
შენი ხატება რომ შევიცნოთ საკუთარ თავში.

ერთი ყველაში რომ ცოცხლობდეს და ყველა – ერთში
და შენი გული ხშიანობდეს სუყველას მკერდში,
ვინც ძაღლის მზერით ერთგულებას ძაღლისას იძენს,
შენ უსახსოვრებ შემოქმედის მზერას და სიბრძნეს,
კონცნის ექსტაზში, შლევ ტკივილებს რომ გააყურებს,
დავეკონებით შენს წმინდა და უმანკო ტურებს.

პრემანეთისთვის უცხო ვართ ყველა

დანა დაისვით, ისუნთქეთ კვამლი,
განაგდეთ შიში, უსაგნო ქება,
შორს მოისროლეთ თქვენი ცხოვრება,
სატრფოსაც რომ არ ემახსოვრება,
მყარსა და ხმელეთს შეგიცვლით წყალი
და ფეხქვეშ მიწა გამოგეცლებათ.

დე, ქალაქები აღმართონ ცამდე,
ვით ნინეფია – ღვთაება ქვათა...
ფეხდაფეხ წყევლის მოგვეყვება ქარი,
დაქცეულია კედელი მყარი,
ფეხს ვერ დავადგამთ კლდესავით საყრდენს,
მხოლოდ ცრემლი თუ მოწყდება თვალთა.

რა მშვიდად გვიცქერს ეს მთა, ეს ბარი,
როცა, უგზურნი, წინ გავიჭრებით,
სადაც კი მივალთ, დაგვხვდება წყალი,
წუთი კი არა, ყოფნაა – წამი,
დანაშაულის გვასკდება ღვარი,
განვაგლოთ ცოდვა, მოვსრათ იჭვები.

ხვალ გაქრებიან ჩვენი დედები
და გზა ზეცამდე ხვალ დამოკლდება,
გასხლტება თვალთა ნეტარი მზერა –
რადგან ვისესხეთ თვით გულის ძვერა,
ერთუროს მოვძებნით ხელის ცეცებით
და რაც გვაერთებს, ისიც მოკვდება.

ერთი გოგონას მთვარის სიმღერა

ვწევარ და ვერ ვხუჭავ თვალებს,
კვლავ მოდარაჯე ვარ წამის...
შევფურებ დამცინავ მთვარეს –
მიწაზე დაეშვას, ლამის.

ამ შუქით მომაშობს, ალბათ,
შუბლზე თუ შემანო ხელი...
ვიღვრები, ვიქცევი ტალღად,
მიმიღებს ნაპირი ძველი.

მამა კვლავ განაგრძობს კუთვას,
დედა კვლავ დამრჩება კენტად.
მე მათსას ვდარაჯობ სუნთქვას,
ვინც მიყვარს ყველაზე მეტად.

ოთახებს გასანთლავს ალი
და ცვილის ფსალმუნებს დაღვრის,
ანგელოზს უპყრია ხმალი,
ხმა მესმის მარადი ბაღლის,

საწოლებს დასცქერის ღამე
და მთვარის იბურვის პირი...
მსურს, მტირალთ ვუშველო რამე,
არადა, თვითონვე ვტირი.

გული აქ ყველაფერს ტოვებს:
ფეხსაცმელს, მაგიდას, კედელს,
უნდა, რომ ჩაეკრას შორეთს,

ყველასთვის სიმშვიდეს ეძებს.

ამ ხელით გავათბო ყველა, –
სულ ეს მიტრიალებს თავში;
ჩემგან მოელიან შველას
მდიდარი, ღარიბი, ბავშვი.

თვალები მიმიგავს მინას
და ძილი სიფხიზლეს ერთვის:
ყურს ეუგდებ მთრთოლვარე დილას,
ახლა რომ ცოცხლდება ჩემთვის.

ცივ სარკმელს ედება თრთვილი
ქარიან სიმშვიდის გამო...
მე, ჩემი ბალიშით, თბილთ,
სამყაროს გათბობას ვლამობ.

ზინ ღაბრუნება ღამით

კასრის კედლებს რომ აუყვება პირამდე წყალი,
ისე ვივსები – მარტოობით მშვიდი და მცხრალი.

უცხო შემლილი ამ სიყალბით ისე ბრუვდება,
სულში მეღვრება, კვლავ ჩემივე “მე” მიბრუნდება.

მერე, მკლავით მოშვებული და ნაღვლიანი,
ჩემში გადნება შინაგანი ადამიანი.

მიუღწეველი ადგილიდან ჩემს ბინას ერთვის –
სისხლსა და ხორცში ფეხაკრეფით შემოდის ღმერთი.

შენიანიანი

ღმერთო, შენს მარჯვნივ ვერ დაჯდება ყველა მართალი.
მასაც ელოდე, სუსხიანი ვინაც ზამთარი
მიჯნურის სახლთან გაატარა. მოვლენ ქალები,
შურისმგებლები და საშინლად ეჭვიანები,
ყველა მათგანი შენს ნათელში ყელს მოიდერებს,
ვინც სასამართლოს დარბაზებში შეხვდა სიბერეს,
ვინც გაშმაგებით უკოცნიდა ბაგეს საყვარელს
და ვისი მთვრალი კიდურებიც თხრილში ჩაყარეს.
ელოდე ყველას, ჟინით ურწყულს, შლეგს და ვნებიანს, –
სულ მალე მოვლენ და შენს გვერდით ჩამოსხდებიან.
არ ისეირნებს შენს ედემში მხოლოდ ჩაგრული,
ისიც გეწვევა, ვინც კი ტრფობით იყო დაგული;
ყველა გოგონა, კონცერტებზე ფერს რომ ჰკარგავდა –
მათი ღაწვები მუსიკის მსხვერპლს სულ რომ არ ჰკავდა,
მათი თვალები, მაღლობას რომ იხდიან ჯერაც,
არ დაუშრიტავს, არ შთაუნთქავს შინაგან მზერას,
მათ ყოფნას ჟამი საუკუნო ჯერ არ რგებია –
შენ დაგეძებენ და შენს ღროში ამაღლდებიან.
კვლავ წააწყდები შენს ბალებში მაღლიერ თვალებს,
ნაზი ალი რომ ძველებურად ააელვარებს.
ის არ გეგონოს შენს წიაღში მპოვნელი მაღლის,
ვინც სულ მოგიხმობს, ნეტარებას ამ ძახილს ადრის –
აქ მოვა, ღამე მიჯნურისთვის ვინაც ათია
და განშორება საკუთარ თავს არ აპატია;
ვინც სატრფოს მკერდში მდგმურად თავის გულსაც სტოვებდა
და მის ნამსხვრევებს დილით ისევ რომ აგროვებდა,
ვით მკვესავ ალებს, მბჟუტავ კოცონს, ისევ რომ ბოლავს,
ბრმად რომ შერთვია მარადიულ და უცნობ რბოლას.

არც რა მუქარას შეუერთია სმენა ამათი –
ქარი ეძახდათ და ხარობდნენ ქარბორბალათი,
სულს იგრილებდნენ მქროლავ სუსხით, ლეგა ნისლებით...
ჩვენ აქ ვართ, მაგრამ თურმე იქაც ვიგულისხმებით.
შენით გათანგულ სულთა გუნდი სივრცეს მიაღვევს –
სწორედ ისინი იხილავენ ღვთიურ წიაღებს.

მომაკვდავი ქალი

თქვი, საიდან მოსულხარ,
გზა რა ჩრდილით დაფარე,
ჩემი სული ღამის მწუხრს
როგორ გამოაპარე?!

ნაწვიმარი სივრციდან
ვინ გათვალა, ნეტავი,
რომ ტუჩებთან გვიცლიდა
კოცნა გაუბედავი?

ისე, როგორც აკორდში
ჰანგი მიმაღულია,
ერთ ვნებიან ამბორში
კრთება მთელი ღუნია.

რა შევცოდე, სიცივემ
ფრთები რატომ გაშალა?
საშინელმა სიფითრემ
შენი სახე წაშალა.

ნეტავ, რამ დაგამბიმა
და გაგექცა თვალიო,
მარტომ ღამის ბარბიმი
რატომ უნდა დალიო?

დავცემულვართ ორივე,
დავრჩენილვარ ეულად –
წყვილი ცოდვა მხოლოდ ერთ
ცოდვად გადაქცეულა.

მზერა

არაფერია თვალზე ურცხვი, ყოვლის დამდაგი –
მხოლოდ მას ძალუძს ამოწუნწნოს ბაგეს ბადავი
და არა – კოცნას, სუყველაზე შმაგს და ვნებიანს.

თვით სიყვარულიც, როცა ქრება, როცა მთავრდება,
ნაპერწკალივით ისე ველარ აელვარდება,
როგორც თვალების მოკლე ჩართვით ვახერხებთ ამას.

ჩვენი გვაგები ლანდებივით უხმოდ ქრებიან,
მაგრამ თვალები როცა ერთურთს შეეყრებიან,
მათი სინათლე შეაუღლებს ჩვენს სხეულებსაც.

შემოდგომის სიმღერა

ქვევით მიიწევს დღე, წელი, კაცი...

კუნთებდაღრეცილ და ფოთლებგაშლილ
ტოტებზე ერთურთს მისჯრია ვაშლი.
ქუჩას მიჰყვება ძველი ფორანი.
საღლაც გამქრალა ჰაერი ცხელი.
ყელზე მსუბუქ ჯანღს იბერტყავს ცხენი.
ფერდობს ედება გუნდად ყორანი.
ყანა უპყრია ჭრიჭინის ლაშქარს.
აქ, ახლომანლო, ზაფხული არ სჩანს.
უცხო ძახილი დაგრაგნის ტალღებს,
რომლებიც ჩვეულ სიჩუმეს არღვევს
და ჩემში იძვრის ის, რაც არ ვიცი —
სიტყვამალული სიმშვიდის ფიცი:
მე შემოდგომას ისე ვეწვნები,
როგორც ფორანი, ჩიტი, ძეწნები
და სანამ ვსუნთქავ, არ გავეცლები.

ქვევით მიიწევს, დღე, კაცი, წლები...

თაგვი

ანუ

დემიურგის ნოქტიურნი

ნოემბრის ღამე შეისრუტავს სასტუმროს ოთახს:
წევს უცხო კაცი ძველ საწოლში და ჩუმად შფოთავს,
წიგნს ეთვლიძება, თვითონ ის კი აშტერებს ორ თვალს.
კარს უფსკრულიდან მოვარდნილი ეხლება ქარი.
ხარობს ღუმელი – მოგუგუნე და ბობოქარი.

ტუმბოზე მდგომი, აგზნებულად სხეულის მრხვეი,
გრძელი სანთელი ყელყელაობს, მიიწევს ზევით,
თავს არ გრძნობს მარტო – აჩრდილებზე სინათლის მფრქვევი.
ხალიჩის ნაფლეთს ათინათი ედება ჯანღის,
მხილველი ხდება ღრუბელივით მომრგვალო დამღის.

ჭუჭყიან ჯვალს კვლავ ხალიჩად აქცევს ნათელი,
იღვრება სითხე, წებოვანი და საძაგელი.
გამომხტარ სტუმარს წვრილ თვალეში უდგას ნაღველი.
ატორტმანებულ წრეს უცქერის და სივრცეს ზვერავს,
იატაკისკენ გააპარებს შეუცნობ მზერას.

ჩანს, ნოემბერი არ აპირებს გინებით გაცლას.
შუქის ნაგავში უცხო კაცი ძველ ფიქრებს მარცვლავს,
რასაც დასცქერის, თავის გარდა არა ჰგავს არც რას.
საიდან გაჩნდა? არ აშინებს რიალი სანთლის
და სინათლიდან გადმოტყორცნილ ბორბლებით დაქრის.

აქ თავს რა უნდა? ამ შეკითხვამ ეჭვი მოფინა,

არ მოვიდოდა, სინათლეში რომ ეფოფინა,
მაგრამ თუ დარბის, მაშ, ნამდვილი თავგი ყოფილა!
ალბათ, მისსავე წარმოსახვამ თუ აიხირა,
არაფრისაგან – არაფერში როცა იხილა!

და თავგის დავლურს უცხო კაცის უცქერს თვალები,
საათი დაჰკრავს და, ძილისგან განაწამები,
ისიც კედლისკენ მიბრუნდება, მთქნარებ-მთქნარებით.
შუქს არ ჩააქრობს – უნებლიეთ თავგზე თუ ზრუნავს –
გადაულოცავს საკუთარი სიცოცხლის უნარს.

ძალლი

უსმინე ყეფას მრისხანე ძალლის,
ყეფით რომ ყელის იოგებს დაღრღნის...
მოუხეშავი, ავი გოდებით
იბადებიან სიტყვის ლოდები.
ტანჯვით სცდებიან არყოფნის მიჯნას,
რაც შიშს, შიმშილს და ტკობის ჟინს ნიშნავს.
ვერაგ სიცოცხლეს ჟამი ვერ დაღლის,
შეხედე, სიტყვა მოგორავს მაღლით,
ყური მიუგდე, ყეფს ავი ძალლი!

მე, თავდაკარგულს, უკვე, ცხადია,
ჩემივე თავის გაცვლა მწადაია:
მსურს ვიქმნე ნაძვად, ბინდად ან ყვავად –
არ ძალმიძს ქცევა საკუთარ თავად.
სხვას აღარაფერს მავალებს კეფა
და აღმომხდება მხოლოდღა ყეფა.
აქ არის ჩემი ბინა და სახლი
და ამ სიტყვებსაც სურვილად დავღვრი,
ყური მიუგდე, ყეფს ავი ძალლი!

ნეტავი, ისიც ხომ არ დაბერდა,
ვინაც სამყაროს შექმნა გაბედა?
ხომლი, ყვაილი, გზები, ბავშვები
მხოლოდღა უფლის ბგერად დავრჩებით?
მე, შენ და დისკო – ცერად დახრილი,
ვართ მხოლოდ ყეფით ამოძახილი.
ერთ ადგილს ვტკეპნით, ღონემიხდილნი.
და ყველაფერი რაკი სიტყვაა, ამ ქვეყანაზე მეფობს სიკვდილი.

ლექსი

როგორც ეტყობა, ჩემი მისია
იმაღ ყოფნაა, რაც არაფრით არ ეთავსება
არც ჩემს ბუნებას, არც - სურვილებს. საკმარისია
ყურადღების მოღუნება – უცხო არსება
გამოდის ჩემგან, კმაყოფილი ჩემი არჩევით:
მან შემარჩია – ვიქცეე იმაღ, თვითონ ვინც არი.
და მტოვებს ასე, გაოგნებულს, სასტად დარჩენილს.
მე თვალს ვაყოლებ დაბნეული: ვერც კი ვიცანი.

გამოსვლა, 34:29

ღვთივეკურთხეული სინაის მთიდან
დაბლა ეშვება მოძღვარი წმინდა,
ღვთის მეგობარი ხალხისკენ ილტვის.
წმინდა წერილი ამგვარად იტყვის:

“არ კი უწყოდა, რომ უბრწყინავდა პირისკანი”.

აჰა, წუთიც და, უკვე იქ არი,
ხელში უჭირავს ორი ფიქალი
და ხალხი ჯარად შემოესია ...
თუმც, ეს სიტყვები თვით მოსესია:

“არ კი უწყოდა, რომ უბრწყინავდა პირისკანი”.

მიცვალებულთა ოთახების ღიბანია

მიცვალებულის არ ბინადრობს, თითქოს, სული აქ, მაინც გვიცქერის და გვეონია, მკვდრებით აღმდგარა – გარდაცვალების წლისთავიც ხომ უკვე დამდგარა... თუმცა, საბრალოს, შინ შემოსვლა აკრძალული აქვს. ახლა ჩვენა ვფლობთ მის სიმდიდრეს, სკამებს, კარადებს, ჩვენვე ვეხებით იმის კუთვნილ ფორტეპიანოს, რომელიც ხვდება, ჩვენი ხელით როცა ხმიანობს, ვის გაახარებს მისი ხმა და ვის არ ადარდებს! მიცვალებული შეიბრალე, ამასლა გვედრი, რადგანაც მალე ჩვენც მისდარი მოგველის ხვედრი.

თუმცა, ტიროდა ვილაც მასაც, ვინც დღეს მტვერია. აშრილებდა მწვანე გვირგვინს, მკერდს მიკრულ ბაფთებს, მიცვალებული მეორე დღეს უკვე მტერია, სახლის გახეხვა, მისი კვალის მოსპობა გემართებს. კვამლს აპკურებენ ინფექციას და ზარავთ შიში, მიცვალებულებს ოთახიდან მტვერით ჰკვიან, რადგან ახლა თუ არ ვიჩქარეთ, იქნება გვიან – თავს დაიმკვიდრებს საკუთარი საწოლის ჩრდილში. მიცვალებული შეიბრალე, ამასლა გვედრი, რადგანაც მალე ჩვენც მისდარი მოგველის ხვედრი.

ძველ წიგნს გადავშლი. ასოები ზედაპირს სწყდება, დაიმსხვრევა და განქარდება წყვილი ბწკარები. და უცებ, ვაზაც იღუმალი ზრიალით ტყდება – დროს აჩქარებენ, გაშმაგებით ქრიან წამები, საათის წიკწიკს მიჰყვებიან სადღაც სკამები, დაობლებული მათი მხერა შორეთს გაჰყურებს. შევხედავ დივანს, ისიც ჩუმად დამიდასტურებს, მისი პატრონი აქ ზის, მალვით განაწამები. მიცვალებული შეიბრალე, ამასლა გვედრი,

რადგანაც მალე ჩვენც მისდარი მოგველის ხვედრი.

ზარის ხმა ისმის. ვინ ესტუმრათ ახლა, ნეტავი?
გაიხედავენ, მაგრამ სტუმრის არა ჩანს კვალი.
მაინც, ყოველი შემთხვევისთვის, კარს ჩაკეტავენ.
სახლის პატრონსაც ისევ შიშით უელავს თვალი.
მას შეხვდებიან დერეფნებში, იციან, ხვალ-ზევ,
რომ დაგეშილი მისი ჩრდილი გვიახლოვდება,
უჩვენოდ იქ რომ ვერ ისვენებს და ვერ ცხონდება –
ახლაც სწუხს საპნით გადარეცხილ საკუთარ კვალზე.
მიცვალებული შეიბრალე, ამასლა გვედრი,
რადგანაც მალე ჩვენც მისდარი მოგველის ხვედრი.

ყველა ბოგანო სათავისოს მიერთმევს ფაფას.
შერიგებია თავის ბედს და არა სჩანს მწყრალი:
ნამწვს იპოვნის და ნეტარებით მოქაჩავს ნაფაზს.
ქეციან ძაღლსაც ვინ დაუშლის, დალიოს წყალი?
მიცვალებული მიჩქმალული რადაა ამ დროს?
საუნჯე თვისი სხვას რად უნდა გადააბაროს –
რად უნდა მოსწყდეს თავის ოთახს, ზანდუკს, აბანოს,
სარკეს, კვლავაც რომ დავიწყებულს უღიმის პატრონს?
მიცვალებული შეიბრალე, ამასლა გვედრი,
რადგანაც მალე ჩვენც მისდარი მოგველის ხვედრი.

იცვლება დრო და ჩვენ ღალატით დავდივართ მთვრალი,
მემკვიდრეობით ამ გვირგვინის გვიწვევს ტარება,
იმ ქვეყნად, სადაც უფლის აღარ ტრიალებს თვალი,
მიცვალებულნი ითვლებიან პროლეტარებად.
მიწას ღრუბლებად ცეცხლოვანი დასცქერის ცური.
იქნებ, დროისთვის რამეს ნიშნავს ეს აციება,
უსახლკაროთა უსახელო შურისძიება?! –
რაა სიკვდილი? ეს შურია, ვეება შური!
მიცვალებული შეიბრალე, ამასლა გვედრი,
რადგანაც მალე ჩვენც მისდარი მოგველის ხვედრი.

თოვა

ო, თეთრი ჩადრით შებურვილი ფიქრები, ნეტა,
ასე ნელა და უსასრულოდ როგორ ცვივიან?
თვალს აღარ ძალუძს
მათი სრბოლის მისნური ჭვრეტა,
თორემ ამას ხომ უეჭველად დაინახავდა –
აწონილია ყველა ფიქრი და დათვლილია.

ტრიალებს თოვლი – ცეკვა-ცეკვით ძირს დაშვებული,
შემოგვანათებს თავის ციცქნა და ცოცხალ სახეს,
ხან რომ მძიმეა, ხან რომ მჩატედ ქარში იცრება...
სიმართლეს მეტყვის ამ მიმოსვლით ფიფქთა კრებული –
ბედის დაღმასვლას ფანტელების დაცემა ამხელს –
ყველა სიცოცხლე აქ სრულდება და აქ იწყება.

თავნებობს ზოგი და ივსება ელვარე ბროლით,
მეორე – ბურთად შეიკვრება და ვერ ოკდება,
მესამე ბამბის ქულასავით მიწას ედება...
ამ ფერმკრთალ კუნძულს ხვალ სიკვდილის დაფარავს ბოლი,
ფიფქთაგან ერთი გადარჩება და არ მოკვდება –
ის გადნება და ისევ მოვა წვიმის წვეთებად.

ო, ამ სამყაროს ნელი თოვა ისე მშვიდია,
საბურვლის მიღმა სქესთა როკვის არ ვარ გამრჩევი,
ცოცხლობს იღბალი და არ ითხოვს ვინმესგან შევლას...
ჩვენ ვდნებით, მაგრამ საბოლოოდ მაინც აქ ვრჩებით,
სიკვდილი გვიხმობს და წვეთებიც მისკენ მიდიან –
თავის კალთაში შეგვაგროვებს სიკვდილი ყველას.

ღვთისმშობელი და ყვავები

ნოემბერია. ხეს აგონჯებს სიშიშველე ვარჯის.
ბუჩქნარი თრთის და, თითქოს, მართლაც გლახაკი იყოს,
რადაცას ითხოვს, თუმცა, ზეცა ღუმილით დასჯის.
და ქვა სივრცისგან ამ მონიშნულ ჯოჯოხეთს იყოფს.
როგორც თავხედი მაწანწალა, უსაქმოდ მდგარი,
ხრიოკ მინდორზე საფრთხობელა ირხევა ჩია...
გამოჩნდა დედა, ფერწასულს რომ აქანებს ქარი,
ხოლო მის პირმშოს, პაწაწინას, სცივა და შია.

ჯერ არ ყოფილა ნოემბერი ასეთი რუხი.
ქვაზე ჯდება და სულს მოითქვამს მისი სხეული.
თავსასთუმალად დაუთმია შვილისთვის მუხლი,
არც რაა ქვეყნად ამ დედაზე უფრო ეული.
ალბათ, სჯობია, ხვავრიელმა თოვლმა დაფაროს
ბნელი შორეთი, ქვა და მიწა, ხმელეთი მყარი...
თავს ასწევს ქალი და ჩხავილი შეძრავს სამყაროს –
უდაბურ მინდორს დასტრიალებს ასობით ყვავი.

დაჰფარფატებენ მოხრილ მკლავებს, თავშალს გაცრეცილს
და მარიაშიც თავს ჩაჰკიდებს დასჯილ ბავშვივით...
შავ ნისკარტებში არ უელავთ ერთი ნამცეციც –
ეგებ, სამადლოდ გამხდარიყო მათი არჩივი.
ასე ღარიბი ეს ქვეყანა არავის ახსოვს.
თვით ყვავებიც კი შეუპყრია უსასო სევდას,
მინდვრების ღუმილს მათი გუნდი ჩხავილით ახშობს –
მცირე სარჩოსაც ვერ უყოფენ მწუხარე დედას.

აღარსადაა ჭვავი, თხილი, საკვები რამე,

ჯერ ნომბერი ასე არვის არ გასწყრომია,
ტრფობისგან ასე არ დაცლილა არც ერთი ღამე,
როგორც აი, ეს, ჩუმად თავს რომ წამოგვდგომია.
და მარიამი ცდილობს ჩვილის გათბობას სუნთქვით,
შრიალებს ღამე, უფსკრულთაგან განაშავები...
შვილს ეფარება, დედაა და რალაცას უფროხის,
საგანგაშოდ რომ ირევიან ირგვლივ ყვავები.

რაც რჩება

ვიდრე ნიავი მოწყდება ტატრებს,
სლოვაკურ ყვავილს მზეს მონატრებს,
მანამდე ქარი, ქალი – ორთავე,
ერთიმეორით ნაქარგს მორთავენ.

სანამ ტევრებში ბავარიისა
ცულის ხმა აერთობს ფოთოლს სვიისა,
მანამდე ვილაც ტყის წიაღს ერთვის,
რომ ხისგან შექმნას სახება ღმერთის.

ლიგურიის ზღვა ვიდრე ზღაპრულებს
მებადურთ ტალღებს გადააპკურებს,
მანამდე ქარი გადააქანებს
ქალის თითებით ნაქარგ მაქმანებს.

ხალხო, რაშიც კი შენი წვლილია,
ამ სულის ფსკერზე აღბეჭდილია.
არავინ მიფრთხის, არ ვმართავ ხმელეთს –
თავს დახვრი და შუბლს დავაყრდნობ ხელებს.

სიუცხოვე

მან სახლს ჩაუარა და ღია სარკმელი
ძახილმა შეაკრთო – მეტი არაფერი:
პატარა გოგონა მამიკოს უხმობდა
და უცხო, ბოხი ხმა წყნარად პასუხობდა.
... შეჩერდა, აბეზარ ფიქრს თავი ანება,
თითქოს, შემოქმედის მოესმა ბრძანება,
ყინვად გარდაქმნილი, სუსხად დარხეული,
ანცი და მტირალა ბავშვის ხმად ქცეული.
ბეჩავს და უსუსურს დრო გააპარტახებს –
როგორ ჩაკირვია მიწიერ არტახებს.
შორს გადატყორცნილი მფეთქავი მარცვალი
ნახევრად მიწაა, ნახევრად – ნაცარი.
აქ სხვა ხმას ვერასდროს გაიგებს, ნეტავი?
ზრიალებს ფანჯარა, რომელსაც კეტავენ.
გრძნობს, ხისტი სხეული როგორ უცხოვდება,
მის თავზე მოსალტულ ჭირხლივით გროვდება.

ადამიანი მუნჯია

დამშვიდობებისას ერთხელაც გაკოცე.
ნერვიულად შემოგაჭდე ხელზე თითები.
შეგახსენე, ყურადღება რას მიაქციო.
ადამიანი მუნჯია.

რატომ არ გადის, რაღას უცდის მატარებელი?
მერვენება, ველარასდროს ვერსად შევხვდებით.
გაურკვეველად ვლაპარაკობ – აზრი მიწყდება.
ადამიანი მუნჯია.

თუ ველარასდროს ველარ შევხვდით –
ეს იქნება სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი.
ღმერთო, ერთი სიგარეტი შემომამშველე.
ადამიანი მუნჯია.

მივაბიჯებ ქუჩებში და მახრჩობს ცრემლები.
გაკვირვებული ვაცეცებ თვალებს.
ვერც ტირილი ამბობს იმას, რისი თქმაც მინდა.
ადამიანი მუნჯია.

დილის ჰიმნი

მე არ ვარ მკვდარი. ნასვრეტებიდან
ჯერ კიდევ აღწევს მკაფიო შუქი.
ჩემივე თავის ცეცხლზე ვთბები და
მზად ვარ, ერთხელაც ვიცხოვრო, თუკი...

სარკმელი ისევ მაფენს ღვთაებრივ,
უცხო სილურჯეს – და მე ვენტები.
მზეს, როგორც ძუძუს, ჩვილი ჰაერი
წოვს და ბაგეზე დასდის წვეთები.

ფურის ნატრული ხარირემივით
სადღაც ხომალდი ტალღებს მიარღვევს.
მთაში იელვებს – მკვდრების ლეგიონს
წამით დააფრქვევს შუქის ნიაღვრებს.

მე არ ვარ მკვდარი! მინდა ვიღმუვლო,
ვიდრე მიმსხვერპლებს დღე თუ შემთხვევა,
ერთხელაც ავშლი ყველა იალქანს
და გავცურდები. ერთხელ. ერთხელაც.

ქებათაქება

რით ცოცხლობს, ნეტავ, ის, ვინაც სწამთ, ვისაც ელიან,
ვინც სულ მარტოა და ამავე დროს, ყველაფერია?
იქნება, ისიც, შარავანდით გადაბურვილი,
თავის წიაღში იტანჯება უთქმელ სურვილით?
და მოუჩქარებს ანგელოზი მაშინ კი ფრენას,
როცა მლოცველი საგალობელს მიუძღვნის ზენას,
მსხვერპლი, ჰიმნებად აღვლენილი, მოუვლენს დარებს,
ნაწყალობევი ჩრდილი იშვებს და ინეტარებს.

ასეა კაციც. თუმცა – არა, ყველა სულდგმული,
არა პურითა ერთით უცემს სუყველას გული.
წყალი დაშრება და სიმდიდრე დარჩება უქმად,
რადგან ამ ქვეყნად სუყველაზე ნანატრი ლუკმა
სულია მხოლოდ, ერთეულებს რაიც არგუნეს.
მაგრამ თუ კარზე წრფელი გულით მოგიკაკუნეს
და ქების სიტყვა შენში ექოდ როს გაისმება,
ღარიბის გული ვარდის ფურცლად გადაიხსნება,
მაშინ შეუქებს გულუხვობას მთხოვნელი პატრონს,
ყველა არსება რადგან ქვეყნად წყალობას ნატრობს.

ლეონდა ენაზე

ენა ბაგეზე დაგვედინა, ვით მადლი რწმენის,
ვიდრე კითხვებად იქცეოდა ჟამი კეთილი,
ჩვენი გონება სამუდამო ტყვე არის ენის,
ასობსა და ბგერებს შორის გამოკეტილი.

საგნები მხოლოდ ნიშნებია, ხოლო სიტყვები
აღემატება მზის სხივებს და ლამპიონს, მბრწყინავს...
თუ გულში ჩაწვდი, ენის მადლით, იმას მიხვდები,
რომ შემოქმედის ახლომახლო დაიდებ ბინას.

ჯერ იყო მიწა. იქ კი, წამით ანატოლოები
თოთო ვარსკვლავის ხმა არავის ჯერ არ შთაესმის.
მერეღა მოვლენ ძველი ხალხის ძველი ტომები
და წარდგებიან ღეთის წინაშე, უზეშთაესის.

თუმც, ვერ იხილეს, ვინც მათ სულებს მოჰგვრიდა შვებას,
იყო დარბაზი ცისარტყელით გადაღებილი,
რადგანაც ჰიმნებს და აღვლენილ ქებათაქებას
გარშემო ერტყა ცეცხლის რკალი, ცეცხლის ჯვებრი.

ამ უნუგეშო წამთაცვლაში წლები გავიდა,
მაგრამ განათდა და გაისმა მტკიცე ბრძანება:
მიქელ-გაბრიელ გამოიჭრა ცეცხლის ალიდან,
ვერვინ მოასწრო თვალის ერთი დახამხამება.

მერე იშიშვლა მახვილები მწველმა წიაღმაც,
ერთმა კი, წელში გაზნექილმა, თავი გაწირა,
მარტო შეება საგალობლად დენილ ნიაღვარს

და წმინდა სიტყვა ხალხს პეშვებით გაუნაწილა.

მათ გაიგონეს მოვარვარე ნაწილთა ფეთქვა –
დაიპყრეს სმენა და წაჰგვარეს თვალებს რული და
შინ გაედევნენ, რომ ეძღერათ და ლექსად ეთქვათ,
ის, რაც ქვეყანას მოეფინა ცეცხლის გულიდან.

დიდი ხანია, გაცრიატდა ის ვარვარება
და სიტყვის გარსიც თხელია და დაუფარავი,
ბგერის და რითმის ჯვრის არ ძალუძს არვის ტარება,
ნიაღვრის ღველფსაც გააღვივებს, ალბათ, არავინ.

და მაინც, გვიან, ყველასაგან დავიწყებული
დაუბრუნდება იღუმალი ღამეს იერი,
ცაში ლივლივებს დაცვარული სიტყვათკრებული,
კვლავ ზეციური, შეურყვნელი და მშვენიერი.

ჩემი არსება, შვებით ჯერ რომ არ ულხენია,
გულში ჩაწვდება წმინდა სიტყვის ღვთაებრივ შარბათს...
არც არა ვიცი, არც რა მესმის, მხოლოდ მრცხვენია –
მე ამ სიწმინდის შესაფერი არა ვარ, ალბათ.

ბაღადა ავადმყოფობისა

სიკვდილი ყველას უეცარი ხელისწავლებით როდი ჩაკეცავს; როგორც წესი, ჩვენ ვიღუპებით ნელა და დიდხანს. წლიდან წლამდე ჩვენი წვალებით რათა ტკბებოდეს, ის საწამლავს მცირე ყლუპებით გვიზოგავს, ვიდრე, შემოსილი მონაზვნის თალხით, ავადმყოფობა ჩვენს ბინასთან მოაგვებს მარხილს.

საგულდაგულოდ რომ ჩარაზე – სწორედ იმ კარში შემოაღწევს და თავის ბარგსაც შემოაცოცებს, ამოალაგებს შავ თეთრეულს, რომელსაც გაშლის შენს მოჭრიალზე და არც ისე ფართე საწოლზე და მოგეხვევა. მსგავსი გძნებით არცერთი ცოლი და არც არავინ მოგხვევია, შენ გვერდით მწოლი.

ისღა იქნება შენს გვერდით და – იმ ერთის გარდა და მისი შიშით – არ იქნება მეტი არავინ. ცოლი, შვილები, მიმდგარები ოთახის კართან, იოცნებებენ, დროზე მორჩეს ეს შემზარავი წამება. ზოგჯერ, როცა მათკენ მზერას აპარებ, ის, გვერდით მწოლი, სველ თვალებზე ხელებს გაფარებს.

მხოლოდ მან იცის, რა გაწამებს, რადგან გაწამებს თვითონვე; რადგან – თვითონაა ავადმყოფობა, რომელიც გტკენს და გაწრიალებს, გიგრენს ნაწლაკებს და თვითონვე ქსოვს შენს სხეულში, როგორც ობობა, შენი სიკვდილის აბლაბუდას. რადგანაც მხოლოდ მან იცის, როდის მოელება ყველაფერს ბოლო.

და თუ საშველი აღარაა, ბნელში გატრუნულს,
კიდევაც გიჯობს, თუ აღსასრულს უხმოდ მინებდი.
უარესია, როცა ღამით სიკვდილს ნატრულობ,
ღილით კი ისევ ფუჭ იმედებს ეპოტინები.
სიკვდილმა თვითონ უკეთ იცის, როდის მოცელავს
ტკივილს, რომელმაც ვერ მოასწრო სიტყვად მოქცევა.

ან, შეიძლება, გაიღვიძო და მოხდეს ასეც:
მიმოიხედო, მოგეჩვენოს, რომ ის წავიდა.
გაიზმორები სიმშვიდით და ხალისით სავსე
ისე მსუბუქად, დაიბადე თითქოს თავიდან.
არ დაიჯერო! ასეთი რამ მომხდარა უკვე:
მასაც ერგება, სნეულებას, თავისი უქმე.

გათენებამდე დაბრუნდება და შენს ფეხებთან
მოიკალათებს, თბილ ლოგინში შემოწოლილი,
და გაგაღვიძებს გამყინავი მისი შეხება,
ის კი გიბრძანებს ეჭვიანი, მკაცრი ცოლივით,
რომელმაც თითქოს წაიკითხა შენი ფიქრები:
„არც იოცნებო! სამუდამოდ ჩემი იქნები!“

სნეული

ქრისტეს ვარსკვლავთა მეწამულ აღის
მაცქერალია ბალში სნეული,
გრძნობს, ბუჩქთან ერთად ვარსკვლავიც ყვავის,
ის კი, – სხვადაა გადაქცეული.

შიშით ამოწმებს საკუთარ სუნთქვას –
თითქოს, დაესვა ყოფას წერტილი...
თუმც, უკითხავად სიტყვაც არ უთქვამს,
მანც სუნთქვა აქვს გადაწყვეტილი.

ხალხი გულიდან უცებ ასხლეტილს,
კეთილგანწყობას, მუქთად იმეტებს:
სნეულს რცხვენია მათი აქცენტის,
იმედზე მეტად რომ აიმედებს.

დილის გაზეთი მშვიდად შრიალებს,
სათაურების ყეფაც მიწყდება
და რასაც თვალის კიდით მიწვდება,
ისიც, წამშივე მიავიწყდება.

ნუთუ, ჟამია მგლობის, ტურობის,
ნგრევის, რაც წლობით ნაშენებია?
“მე” – დამსხვრეული იდენტურობის
ნუთუ მხოლოდლა ნარჩენებია?!

“მე” ფუტკარია, ადგილს რომ იცვლის,
რადგან სხვაგანაც ფუტკრად იცნობა...
ხელებს ის მხოლოდ სითბოსკენ იწვდის
და ლაღობს, როგორც მარადისობა.

ადამიანი და სამყარო

ყოველი ლუკმა, რაც ვიგეძე, მზე იყო თვითონ. თვითონ მზე იყო ყველა ყლუბი, რომელსაც ვსვამდი. პურად და ღვინოდ გარდაქმნიდა შუქსა და სითბოს და მე მიწვდიდა ამქვეყნიურ, მიწიერ სადილს.

და ჩემი სუნთქვაც, როგორც ტალღა, ერთვოდა მუდამ სიცოცხლის ნაკადს, მის დინებას. ისეც ვნებიანს – თუნდაც ყველაზე უმცირესი ვარსკვლავის თუნდაც ყველაზე მცირე ატომიც კი არ დამკლებია.

და მე, ვინც თითქმის სამყარო ვარ, ასე უბრალოდ როგორ ვიწამო, რომ სამყარო შენი შვილია? და მაინც, ალბათ, შენ შემქმენი, ჩემო უფალო. სხვა ვინ შემქმნიდა ისე უცნოს, რომ მეშინია?

სიცოცხლის სიმაღლე

(გამოკეთების გზაზე მყოფი ავადმყოფის ნაამბობი)

ორმოცდაათის როცა გავხდები
და მზერას როცა დავუთმობ ღამეს,
სიცოცხლის საღვთო ღვინით დავთვრები,
დავეწაფები დარჩენილ წამებს.

ჩუხჩუხებს ღვინო, მაგრამ სულ წაშლის
ჟამი გარდასულ ხილვებს, სურათებს,
დროს ჩავისუნთქავ და გული მაშინ
საკუთარ ძგერას მიაყურადებს.

სწავლების ღვთიური აზრი

სულს, გაისვრება სხეულით როცა,
ღმერთი დაინდობს, უფალი განწყენდს,
რომ კვლავ იფრინოს, რომ ზეცას აწვდეს,
როს გააღვიძებს სიკვდილის კოცნა.

აკადემოფობა, სასთუმლით ცივით,
ცოდვია, ღვთისგან ნაპატიები,
უფაქიზესი სუბსტანციები
რომ გამოვტყუოთ მას, რაშიც ვცვივით.

და შენც, როდესაც გაგთანგავს სენი,
აღარ გაქვს ნება, რომ მოიღზინო,
ხვრიპო ხორციელ ვნებათა წვენი.

უარი უთხარ თამბაქოს, ღვინოს,
ჩამოიცილე, როგორც ღრუბელი,
რომ შენს სხეულში მზემ გაირბინოს.

შესვენება მიცვალებულთან

დამშორდი უცებ – ქედმაღალი, უცხო, ზერელე,
ფენსაცმელებმა დარბაზს თავზე გადაუფრინეს,
თითქოს, მათ ლანჩებს ლაჟვარდები ცად დაუფინეს –
რა სიმშვიდეა, თითქმის, ენით აღუწერელი!

მაგრამ თუ შენი გულგრილობის გავხდი მხილველი,
ეგ ფენსაცმელიც მას შემოსავს, ჯადოს წყალობით,
ვნებით გათანგულს, ვინც მათრობდა თავის ქალობით
და ვინაც ჩემთვის დედაკაცი გახდა პირველი!

ო, მისი ძვლები მოასწრებდა უკვე დადნობას,
მისი სახელი ჩემს სიღრმეში პოულობს ხაროს...
ინგლისში ახლა სხვანაირი გოგონებია!

შორს უცხო ქალი ილიმის და რაღაცით ხარობს,
მე კი, ჩურჩულით იმას ვეტყვი ახლა მაღლობას,
ვინც ფიქრშია კი, არასოდეს მომგონებია!

პატარა ბალადა დისაღმი

ჩვენ ვაფხიზლებდით ვრცელ მინდვრებს, დაო,
და ფუტკრებივით მზის გულზე ვქროდით?
ბაბუაწვერას ღუნღულა ნაოს
სულს ვუბერავდით და შევხაროდით?
ნეტავ, თუ ისევ ელვარებს პარკში
ჩვენი ნაცნობი ხრამუნა ხრეში?
გვარად — რადეცკი თუ დადის კაცი,
ყვითელი ქუდით და არღნით ხელში?
ძთლად დაბინდულნი მთვლემარე მზერით,
ნუთუ, ცდებოდნენ ჩვენსავე სხეები,
ეგონათ, უცებ იწვევდნენ ზევით
ჩუმი ყინულით მოსილი მთები,
რომელთა კალთა ბამბას ჰგავს ორკეცს,
ჰანგს, ჩამორჩენილს სასულე ორკესტრს?
ჩვენ არ ვაფხიზდით მაგიდას ტილოს,
მზის ჩასვლას ჩვენ არ ვუცქერდით დარდით?
ჩვენ არ ვხარობდით, როს სასაცილოს
ორ გულუბრყვილო თოჯინას ვგავდით?
ჩვენ გვაშინებდა კედელზე ჯვარცმა
და უნებლიეს, ვიმკიდით ნმაურს,
როგორ გადგურჩით, რომ გვკითხოს კაცმა,
ჩვენი სიზმრიდან გადმოსულ ტრაუნს?
ჩვენი სულები არ იდგნენ ტბებთან?
არ მოველოდით სიყვარულს ორი?
შორს ერთი გემი მეორეს შეხვდა,
ერთურთს შეერწყა ცისფერი ბოლი!
გახსოვს ვანძამი, ცეკვა, ხუმრობა —
რესტორანს ერქვა „მავრთან სტუმრობა.“
ხომ არ მოფრინდნენ ნეტავ, ლანდები,
რომ წამიჭირონ ბილწი ბაწარი,
ტკივილით მეკერის ეკალ-ბარდები
და ყოველივე, ყაღბი რაც არი...
ნუთუ, სუნთქავს, რაც გარდაცვლილია?
ხომ არ გვიგლებენ და დაგვცინიან?
ვინ იცის ჩემი ნამდვილი სახე?
ან რად მეგმანვის სულის სარკმელი?
დაო, საფეთქელს ხელს როცა ვახებ,
მწვავს მაშინდელი ფუტკრის ნაკბენი!

ალექსანდერ ლერნეტი-ჰოლენია

ვეება სიყვარულისა

იესო,

უფალო ჩემო!

გვირგვინი ხომ ქვეყნად მრავალს

უტარებია!

ზოგმა ატარა ეკლები შუბლზე,

შუბლზე,

რომელსაც ანაოჭებს ძალაუფლება,

როგორც ცაზე ელვის ბრჭყალები,

თითქოს დათესა იქ გაზაფხულის ჭექა-ქუხილმა.

წარსულიდან ზოგიერთი დღესაც ხელს გვიქნევს,

მათი თეთრი წვერულვაში ისე ფრიალებს,

თითქოს ქალწულთა თეთრი გუნდი შემოგვეფეთა:

ჰა, წმინდა თავი ეჰნათონისა,

და იმის თვალწინ ორი ეგვიპტე,

აზოკა, აზოკა,

სილამაზით გამაოგნებო

და გადაბმულწარბებიანო,

და შენაც, ძეო ქალწულისა,

მეფეთმეფეო,

ზეციურო,

უფალო ჩემო!

ო, მახვილებო და დეზებო,

ზაფხულის მზე რომ აგაელვარებთ,

და გვირგვინებო და კვერთხებო!

და მაშინ, როცა

სიკვდილი მოვა, ვიღაცას ზეცა

მიატოვებს და თავსზემით გადაუქროლებს

ვაზის ფოთლების გვირგვინწულავით...

აი, მაშინ

ზოგიერთი დიდგვაროვანი

ხალხში გავა და იქ ჩამოვდება, თითქოს მუხლების
სისუსტე იგრძნო. მართლაც კარგია, სიკვდილის წინ
რომ შეიგრძნო უბრალოება, ხალხს ხომ თან ახლავს
ნუგეში და თანაგრძნობა ამქვეყნიური.

მეზვერეს სახლში

შენც ხომ ასე მოხვედი მაშინ

და მიუჯექი ცოდვილების ღარიბულ სუფრას.

სიკვდილის წინ ხომ შენც გციოდა

და გინდოდა გაყინული სისხლის გათბობა,

ვით ღვინო თბება,

ცხვრის ნაკელში როცა ჩაფლავენ.

აქ, საუბარში,

ჭიქების და ჭურჭლის ხმაურში შენთან მოვიდა

დედა ვინმე, ნამტირალევი,

ის აშრიალდა

ოქროსფერი ვარდივით შენს წინ,

სურნელით სავსე პეშვი შეგახო

და იგი იყო ფეხშიშველი და უთავმალო,

და ჩამოშლოდა

ცოდვიანი თმა.

იმან ფეხებზე დაგაღვარა თმაც და სურნელიც,

ჰოი, მარიამ მაგდალელი!

დღესაც ამ სურნელს აფრქვევს სამყარო!

და მათ ასე თქვეს: “რატომ

ხარჯავს

უნეტარეს ღამეთა ნექტარს?..”

ხოლო იესომ ასე უთხრა: “თავი ანებეთ!”

რადგან ვერავინ განასხვავებს
სიყვარულს თავისთავისაგან...
და ტიროდა ქალი და შერცხვა,
ჩამოშლილ თმებში გაიღანდა დარცხვენილი პირისახე,
შერცხვა თავისი სილამაზისა,
იმისიც შერცხვა, მაღლა-მაღლა რომ აეზიდა
ბუბუს კერტებს მისი პერანგი,
როგორც შუბები აზიდავენ დადგმულ კარავს მიწისპირიდან.

თეთრი ბანოვანი

ერთი მოხუცი ქალიცხოვრობს ჩვენს ძველისძველ საჯინბოში.
ადრე იქ ნახშირს ინახავდნენ
სასტუმროსათვის. იქვე, ფარდულში, მონადირის ოთხთვალა იდგა.
აღარ ვარგოდა, მაგრამ ბოლოს ხით მოვაჭრემ მაინც იყიდა.
ძირს დაყრილი უნაგირები მიწაზე გდებად დააღპო და
გაავერანა. თავს თუ ახლიდით რომელიმე ყუთს,
იქიდან ცხენის ოფლის სუნი ავარდებოდა.
ის ცხენები ხომ უკვე მოკვდნენ დიდხანია.
ეს ქალაქი კი დღეს მთლიანად
ცვარნამშია გამოხვეული,
და თოვლი დნება. აქ, ალბათ, ბევრი
მიცვალებული დაუბრუნდა
თავის ეზოკარს,
თავის კოშკებს, რომლებიც უკვე
აბრიალდნენ განსაწმენდელის ღვთაებრივ ალში.
ცეცხლი თოვლს ადნობს, და ეკლესიებს
ხავსი ედება, მარადიულ ცხოვრებაშიც ასე არ ხდება?!
ხოლო მუნიციპალიტეტში, იქ, სადაც ადრე სასახლე იყო, კვლავ
გამოჩნდება

თეთრით მოსილი ბანოვანი, იგი თითქოს უახლოვდება
მშენიერ გოგოს,
ჩაძინებულს ბავშვის საწოლში, და ბანოვანი
ბალიშებზე ისე ეშვება, თითქოს ეცემა სასიკვდილო სარეცელთან
მომდგარ ქალთა წინ.

(ო, ღმერთო, ღმერთო!) სირბილით გაქაფულ
ძალღებს შორის გაგორებულა ცრემლმდინარი თავი ირმისა,
შუშის ვარდი ცრემლმდინარ სახის.

სამყარო

აქ რაკი მე ვარ, მაშ, ღმერთიც არის.

ამაზე მეტი რა უნდა გითხრა, უფრო მეტიც არავინ იცის, თუმცა ბევრ რამეს ხედავს

თვალი ხორციელისა: ბურთი მიწისა, და ქარაფი,

მდინარეს რომ მუჭაში წურავს: ასე ჩანს, რომ ათვინიერებს,

ხოლო გარშემო ფხვიერი მიწა

ტყით შემოსილა. და, აი, კაცნი

და ცხენები და საქონელი, დილისპირზე რომ მოძრაობენ

და ხლებიან ჰაერივით გამჭვირვალენი და თვალს გჭრიან, როცა შუადღით მოივლიან მტვრით და სხივებით

გაბრწყინებულ შემოგარეებს,

და ესეც ხომ არავინ იცის - ისინი აქვე თუ დარჩებიან,

თავის სახლებში და კედლებში,

თუ დარჩებიან შეღამებისას! და კედლებს მიღმა ვინ

შეიცნობს მძინარის

სახეს? ისინი დღესაც

ისეთები სჩანან უდაოდ, როგორებიც გუშინ იყვნენ. მაგრამ ეს

ხომ არავინ უწყის,

გუშინ რაც იყო ამ ქვეყანაზე! და მოჩანს ზემოთ განქარებულ

წინაპართა ცხოვრებაც ისე, როგორც სადღაც შორს

კვლავ შეზრდილი ხეთა ტოტები, ერთმანეთში გადახლართული.

ლირის რქებს რომ ჰგავს, ზემოთკენ რომ ვიწროვდება,

ისე, როგორც ჩემი ცხოვრება. თითქოს ვცხოვრობდე

მათი ცხოვრებით, ხოლო ისინი, შეაბჯრულნი ძველი აბჯრებით,

იმ შორეთიდან ხელებს მიქნევენ, და არც წარსულში,

არც მომავალში მე არავის დავშორებულვარ. უიმათოდ

დროც ვერა დროობს. ისინი თავის ღვთიურ ზეცაში

მრავალ სამსჯავროს გაივლიან და ცხოვრობენ ციურ მიწაზე

ანგელოზთა გუნდებთან ერთად,
თანაც ღმერთთან ნათესაობენ, და ცხოვრობენ ერთადერთი დიდი
ცხოვრებით,

როგორც მეფენი ამ ქვეყანაზე. ბედისწერა კი
აღმართულია გორაკებივით იმათ გარშემო, სწორედ აქ წყდება
დაბადება, გარდაცვალება, და ყოველივე
უხილავია, როგორც სიცხადე
და როგორც ღმერთი.

მაგრამ ადამიანურესს რაღაც უხმობენ,
ბნელია და შეუღწეველი. და მის წყვლიადმი
რაღაც იქმნება. მაგრამ თუ
კაცთა დასაბამი არის უცნობი,
მაშინ, ალბათ, ვერავინ იტყვის, ვისი ძე
იყო თავად უფალი! ორსახოვანი არის
სული და ის ცდილობს, ყოველ ყრმაში წარმოგვიდგეს
რაღაც მაღალი წარმომავლობით, ჯერ კიდევ მაღავეს
კაცთა მოღვაძე რაღაც არსებითს, მასთან კი ჯერაც დარჩენილა
უწყინარი და წყნარი მოყვასის – რომელიც უფრო დიადი ჩანს,
ვიდრე არის მოძრაობა სხვა კაცთაგანთა, - დედის
სიმშვიდე და ვეება თავშესაფარი, ის ელოდება სარეცელივით.
იმას ამშვენებს საოცარი გარემოცვა ბიჭუნებისა;
ყმაწვილები, და ზრდასრული მამაკაცები, ცხენებს გაჩვეულ
მოჯამაგირე კაცტა მხედრობა, რაინდული მხარ-მკლავი მათი,
მას ერთხელ ქორწილს გაუმართავენ
მყუდრო სახლში და კელაპტრების იალკიალში, და იცეკვებენ
ფენშიშველი მანდილოსნები, და საყვარელი ქალის თავზე
დაეშვება პირქუში ღამე და ნათება, ცითმოწურვილი.
უმკაცრესი რამ იბადება ძველისძველ, მრავალ ცხოვრებათაგან.
და სიახლოვე სიმაღლისაც ისეთი არის, ვით ყავისფერი
სამყაროს კიდე,

შორს რომელიც ჩანს და გროვდება გერმანიის სკიპტროსნებთან
და თავადებთან,
და ბრწყინვალება და მამული, სამყაროზე დიდი რომ მოსჩანს,
ვით პურის ყანა,
მობიბინე მოსიყვარულე ხალხის თვალებში.
თანაც ესეც სჩანს,
რომ სკიპტროსნებს ძველი ძალა გამოლევიათ,
მაგრამ ყლორტებს ხალხი ისევ აღმოაცენებს,
ისევ იზრდება განტოტვილი სიკეთე და ღვთისმოსავთა
გუნდებიც ისევ ყელყელაობენ,
თუმც, სარეველაც უხვად არის და უცხო ხალხიც
და ხორბლის ყანაც ისევ უხვად მოიპოვება.

და ისეც ხდება,

რომ ვიღაცა
კვდება უცილოდ
და გარსშემომდგარ მტირალ ჯამათს
აშინებს მისი სასიკვდილო ამოქშენანი,
თითქოს აბჯარი ან დაღლილი ცხენის მკერდი
იძვრის ბოლო ამოსუნთქვისგან,
თან თითქოს ოფლის მარგალიტებს მოისხამს შუბლი,
როგორც ძვირფას თვლებს, სასიკვდილო გამარჯვების
გვირგვინში ჩასმულთ. და ისეც ხდება,
რომ მოკვდავი სხეულიდან რაღაც უკვდავი განქარდება
სამარადისოდ.

ნუთუ, პეპელა ამოფრინდა კაცის პირიდან?
და ერთი გადის მეორედან
და მთავარი მხოლოდ ერთია. ნუთუ, არ უნდა ჩამოინგრეს
მთელი სამყარო და ცა არ უნდა ჩამოიქცეს
ამ სიკვდილისგან? მაშინ ხომ ღმერთიც
არ იქნებოდა, და საყდრებში და სალოცავებში

კაცნი ერთმანეთს გამოღვიძლავდნენ. ესეც ასეა: ერთმანეთისგან
 არაფერი არ განსხვავდება. და სიმყარეა
 და ის ბრწყინავს სიცოცხლეთა გარშემო და საწიერს იქით,
 უცხო ცრემლივით, კიდეც დრო გადის, და
 ურყევად მიაჩნიათ უხილავი რამ
 და არავინ იყურება მოკვდავის სულში,
 სადაც გრძელდება ყოველივე
 მას შემდეგაც კი, როცა საფლავნი დაინგრევიან
 და გარდავლენ ცრუმორწმუნენი...
 აი, ასეა: პური და ღვინო
 არის თვით ღმერთი, და საშიშია, რადგან ვერავინ
 ვერ გაბედავს, შეცვალოს იგი! და მეწამულ შუაგულში ზეციური
 სითეთრისა
 მეუფებს ქრისტე, უფალი ჩვენი; ვისაც ეს სჯერა,
 ის უდაოდ იზილავს უფალს! და თავისთავის მოწმეა ღმერთი,
 და ასეთია ჩვენი სამყარო: მას არ ნებავს, რომ სხვა რამ მოდგმა
 აღმოცენდეს ადამიანთა სიყვარულისგან, მას მარტოდმარტო
 ტრაპეზი ნებავს.
 და მიეცა მოციქულებს, როგორც თავადებს, პური და ღვინო, და
 შეიდრა
 მაშინ ზღურბლი ღვთისმშობლის სახლში, და მან განბანა
 კეთილთა ფერხნი.
 დაინახავს ყოველივეს ღმერთის თვალი და ისინიც დაინახვეს,
 ვინც ის განგმირა,
 ხელახლა აღმდგარს ასფოდელის ფერდობიდან,
 და დაბრუნდება მისი სული ცის ქუხილიდან,
 ანი და ჰოე, დასაწყისი და დასასრული, პირველი და
 უკანასკნელი, მაგრამ იგი არავის განსჯის,
 რადგან: მკვდარს უკვე აღარ ძალუმს ვინმეს მოკვლა ან
 გაცოცხლება,
 მაგრამ, როგორც გადმოგვცემენ,

დაიწერა წერილები და დაიგრაგნა
ალმოდებული წიგნებივით ხილული ზეცა, და იმასაც, როგორც
ნადირს,
საყვირებით მოუხმობენ ანგელოზები.

ალაფი

I

ალაფი უხვად დააგროვეთ! და ხის ჯვარიც აღმართეთ
იქვე, მაგრამ ზედ ნუკი ჩამოკიდებთ
მოკლული მტრის
რკინის თორ-აბჯარს; მისი ელვა და ბრწყინვალეობა
აშეშებს მოკვდავს! და არც მოკლული მხედართმთავრის
სამოსელი დაჰკიდოთ მასზე,
ზედ ოქროს ძეწკვი რომ უფლრიალებს; თქვენიც
მუნდირი ჩამოკიდეთ (ის გააშეშა
თქვენმა ტკივილმა);
ჯვართან დაარტყვით მახვილები, როგორც სხივები,
ზედ დაახურეთ მუხარადი,
ფრთებით შემკული,
დაახურეთ მიწაქცეულ
მეომარს თავზე,
თანაც ჯვარის ირგვლივ
დაფდაფები დაახვავეთ,
ისინი ხომ სიკვდილის ხმით ჟღერენ ყოველთვის;
ხოცეთ არწივი!

დაე, შემორჩეს აქ ოდესღაც აღმართული ეს მონუმენტი!
იდგეს ის, შავად აღმართული,
ვიდრე სულმთლად დაინგროდეს,
ვიდრემდე დაფნა დაჭკნებოდეს, ჩაქრებოდეს დიდების ცეცხლი,
და ეს წვიმა დროშის აბრეშუმს
ვიდრე ცრემლებით დაასველებდეს,
ვიდრე იარაღს ჟანგი შეჭამდეს,

და ეს ადგილიც ასე იქნება:
ოდენ ბალახით დაფარული ერთი ყორღანი.

და სადაც გაისმოდა როსმე მუქარის ხმები, იქ ახლა
შეყვარებულები ხვდებიან ხოლმე,
ასე ამბობენ: შევხვდებით ძეგლთან. მაგრამ ძეგლის წარსულ
ამბავს ვერ იხსენებენ.

.....
და ძალუძად ძეგრს გოგონას გული,
მაშინ, როცა სიყვარულის შესახვედრად მიემურება! ქარი
უწეწავს თმას და, როცა
ქარი ჩადგება, თითქოს ჰაერს შეეშინდაო, უცბათ
შეკრთება ისიც და მორცხვად
მიმოიხედავს და იკითხავს: “რატომ
ჰქვია ამ ადგილს ასე?”
და ვაჟი ეტყვის:
“ოდესღაც აქ მონუმენტი აღმართულიყო, ის იდგა, როგორც
გაფრთხილება ამქვეყნიური.
მაგრამ ის უკვე აღარ არსებობს...”

*

თქვენ, წასულებო, ჩემზე ადრე აქ რომ იყავით, დაგიძახეთ და
ჩახვედით ჩაღმა; მიწისქვეშეთის შესასვლელთან რომ ჰკიდია
მცენარეთა უღვავები, იმათ ფეხით გადაუარეთ;
(იქ, შესაძლოა, ადრე იყო საფეხურებიც);
თქვენ ახლა სუნთქავთ სიკვდილის ჰაერს, ობობების ქსელით
დაქსელილს; თქვენ,
ქვესკნელის სამეფოში მობინადრენო,
გთხოვთ, მომიკითხეთ სიზმრების მხარე, მოიალალე აჩრდილთა
გუნდი,

მკვდართა ჭალების წყვდიადი და სულთა შავი ესკადრონები!
მომიკითხეთ მღელღელები, ნაცრისფერები, ისეთები, ღელაჩემი რომ
სედავდა
საკერავი მაგიდიდან თავაწეული, რადგან მზე უკვე ჩასულიყო
და ავდრის წინ აჩრდილები ბორიალობდნენ,
და მაშვები ფართხალებდნენ და შორს ჭეჭა-ქუხილი ჭეჭდა...

*

მაგრამ სადა ხართ თქვენ,
აწ უკვე არარსებულნი? როგორც ამბობენ,
მკვდრების მხარეც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს.
ყოფიერებავ, შენ აქაურ ყოფნას კარგავ, რომ მარადის ყოფნაში
იშვა.
ვინ იცის, რომ თქვენ აქ იყავით? განა უფრო ცხადად არ
სჩანხართ
სიცოცხლისმიღმურ სინამდვილეში?! მართლაც, განა რას ნიშნავს:
ყოფნა!
ესეც - მისი შესაძლებლობა: მცურავ გემებზე დაკიდებული
სიმძიმეები,
სწორედ ისე, როგორც მაშველებს ხელით ბლუჯავენ
წყალწალებულნი, ხოლო კაცნი
მაგიდის ირგვლივ თავ-თავიანთ წონაზე ბჭობენ, რაც მაგიდის
ქვეშ უფრო იგრძნობა.

.....
სულებო, თქვენ, ვინც ამ ჭალებში აღარ ცხოვრობთ და ახლა
სადაც სხვა ჭალებში ხართ,
სადაც ქალები, ჩადრიანი მთვარეებივით,
თქვენ დაგტირიან და წყაროს წყალიც იმეორებს თქვენს
სახელებს, მივიწყებულს;
თქვენ, ვისაც ქართან ერთად უკვე ვეღარ გხედავენ, მხოლოდ

იგრძნობით ქარის ქროლვაში,
თქვენ, ვინც უკვე არ დადინართ მთრთოლვარ ბალებში,
მაგრამ სჩანხართ იმ თრთოლვაში, ჟამიჟამ რომ ბალებს
დაუვლის.

თქვენ, ვინც სახლში აღარა ცხოვრობთ,
აჩრდილებო, ანარეკლებო, წარსულის ხმებო, მოთამაშენო!
ამბობენ, ზოგნი დაქრინართ მაღლა, საგვარეულო ხის ტოტებში
მოტორტმანენი. იქვე დაქრიან ფრთაშესხმული ირმები და
იქვე ნამცეცა არწივები
ფარფატებენ, როგორც პეპლები. და ხის კოჭრებში წვეროსნები
ცხოვრობენ, ხოლო
ფშანებიდან იყურება უცნობი მამრი.

და ყველაზე იღუშალი, კაცი იგი, მთელს ხმელეთს რომ
მიეკუთვნება,
მონაზონივით ცხოვრობს აქვე; აი, მისი ცხოვრების აზრი:
“Excubias tuetur.”

*

რა არის ანდა რას ნიშნავს “ქვევით”, ანდა “ზევით” რა არის,
ნეტავ?
სარკე ურევს მარჯვენა და მარცხენა მხარეს. მაგრამ არ ურევს
“ზევით”-ს და “ქვევით”-ს.
და მაინც რაღაც ნიადაგ ურევს იმათ ერთურთში.
განა, არ ატანს ნესტი კედლებში? და მიწისპირა ოთახებში
არავინ ცხოვრობს. ვინც აქ იყო, ზევით ავიდა. აქ მიწაც
მიწვივ ზევით მიიწვეს
და რომ შეხვიდე ძველ ტალანებში, ახლა სულ ერთი საფეხურით
მაღლა უნდა ააბიჯო, ან ნახევარი საფეხურით
დაბლა ჩახვიდე.

სიღრმეები განუწყვეტლად მიიწვევენ

ზემოთ და ზემოთ საღამოების ჩრდილებივით, რომ მალღდება
კომკებზე,
მთებზე. ზემოთ მიიწევს აქ სიბნელე, როგორც სისველე
იმის სამოსში, ვინც მდინარეს მიაპობს ახლა, ზემოთ მიიწევს,
თითქოს რაღაც მომაკვდინები, ვით წვენი ხეში, და
კენწეროთა ნელი შრიალი
ფანტავს იმას თავის გარშემო, ეპ, ასე არის: ზემოთ, ზემოთ
მიიწევს იგი,
რაც ქვემოთ გვიხმობს.

.....

II

მე ვერ ვიჯერებ, რომ ეს სამყარო
აგებულა მიწისგან და ზღვათა წყლებისგან,
და ბორცვებს იქით კვლავ ბორცვებია,
და იმათ თავზე - ზეცის გუმბათი.
და ასე ვფიქრობ, - რომ სამყარო უნდა იყოს
როგორც ერთი საგანი რამე, რამე ეული,
სულაც ერთი ხელისოდენი, და თანაც მრგვალი:
როგორც ქვა, როგორც ოქროს კვერცხი; იქნებ, ხე იყოს;
მოკვდავმა ხომ უნდა იცოდეს, ეს საგანი სადაა ახლა,
ხოლო იმის შუაგულში
უნდა ძგერდეს ძალა ვარსკვლავის,
ის უნდა იყოს ოქროს ვაშლზე მეტი და მძიმე
და ვინმეს უნდა ეკუთვნოდეს,
ვისაც ტანზე ძალაუფლების მძიმე მანტია შემოგარსვია.

აი, ასე პოულობენ მიმოფანტულ ქვებს,
მიმოფანტულებს მდელოების საღამურ ბინდში, და პოულობენ

ნის ნამტვრევებს,

წყლის ნათრევებს, გადატყაულებს,
და დაფიქრდები, რომ ეს ყოველი ძალზე ბევრს ნიშნავს.
საგანი ხომ მხოლოდ ის არის,
რასაც ჩვენ მასში ამოვიკითხავთ.
პატარა არის ეს სამყარო, ის უხილავ ჯგაღოს
ხელშია, და სად არის ეს საგანი, რაც ეგება ვინმემ იპოვნოს,
აილოს ხელში, მერმე ისევ მოისროლოს, ან დაიტოვოს
და თან წაილოს და დიდხანს ჭვრიტოს,
ისე, როგორც მბრძანებელი ოცნებით ჭვრეტს ოქროს ვაშლის
მრუშე ანარეკლს, ამდენი ხანი ხელთ რომ უპყრია
და რომლიდანაც სურათები ამოდის ხოლმე.
ასე პოეტი ჩასცქერს პირქუშ სიცარიელეს, მის წინ რომ არის
და სამყარო ტორტმანებს მაშინ
და მას სწვდება გულის სიღრმემდე,
სწვდება ზეცას და უშორეს ვარსკვლავთ.

III

ახლა კი უკვე მსურს მოგწერო, თუ სად მიპოვი,
როცა კვლავ მოხვალ. ჯერ იარე
ქუჩა-ქუჩა იმდენ ხანს, ვიდრე არ მიაღწევ იმ ადგილამდე,
ვარდის ბუჩქებთან სადაც ანწლი აყვავებულია.
ხოლო მერე, იქვე, ხელმარჯვნივ, კარმიდამოს წინ,
დაინახავ დამტვრეული ოთხთვალის ბორბლებს. და იქ, აღმართი
სადაც იწყება,
შენ გადაუსწრებ იმ ოთხთვალას, რომელშიც ორი ცხენი აბია.
ეტლში ბრმას ნახავ.
ხოლო იქვე გადაღუნულ ღობისძირში მამალი ყივის. ბოლოს
ახვალ შემაღლებულზე,

სადაც ქვიშრობში

იფნის კორომს გადაეყრები.

და იქიდან დაინახავ შორეულ ტყეს,

ცის ტატნობზე წალიკად მავალს.

ტყეში თვალს მოჰკრავ ერთ მოხუც კაცს, იმას სძინავს და

მისი გულიდან გაბარჯული ხე ამოზრდილა.

იმ ხის გვირგვინში უნდა მეძებო, კაცის გულიდან რომ ამოსულა.

და მე განძრევა არ შემიძლება, ამიტომ თავს მოვიკატუნებ, ვითომ

მართლაც ვერ დაგინახე.

მიდი, შენც ასე მოიქეცი და ჩამიარე.

არ მობრუნდე, უბრად ჩავლილს მინდა თვალი გამოგაყოლო.

როცა იფიქრებ, რომ ველარ გხედავ,

მაშინ იძლე რე, რომ მესმოდეს შენი სიმღერა,

ვიდრე შენს აჩრდილს ჩაყლაპავდეს უსიერი ტყე.

ოსიანის საფლავთან

(ოსიანის სიტყვებით)

ქარო, უხილავო მეოცნებე! ნარშავას რომ არწევ ლორაზე,
შენი ხმა, ნაზი ნიავექარი ხეობებისა,
სულ მცირე ხნით კონას ათხოვე.
მთის ნაკადულო, შენი ჩივილი,
მოდის, მეეტლე ფინგალის ვაჟს გაუნაწილე!
ქარო, მარადის მოუსვენარო, კვლავ ფრთებს რომ იქნევ აქ
გადავლილ ქართა კვალდაკვალ,
მიცვალებულის ბრმა ბედისწერას
ნაპრალებში რომ ჩასძინებია,
ეკუთვნის თქვენი იავნანა, თბილო წვიმებო!

გორაკზე
ორი ხე გადმოხრილა,
ხოლო ქარში ხავსი ჩურჩულებს.
ვიწროა ახლა შენი სამყოფი, შენი ბნელი ნავსაყუდელი.
სამი ნაბიჯით გადავზომე შენი საფლავი,
რა ახოვანი იყავი ადრე!
რუხთავიანი ოთხი ქვა დგას შენს საფლავზე:
შენი ხსოვნის მცენარეები;
აქ მაღალ ბალახს, ქარიანში მოჩურჩულეს,
თითქოს მღვიმისკენ გაურბის თვალი.

მე გამოვედი გარეთ
ჩემს თავში ჩაღრმავებული,
როგორც სარდალი დიდი ბრძოლის წინ.
სუყველა თავის საფლავის ბორცვს დაემებს აქეთ,

განმარტოებით და პირქუშად დგანან ისინი,
ქარის ზუზუნში ამ ბორცვების სიმღერაც ისმის,
ნაწყვეტ-ნაწყვეტად ერევა ჰაერს.
მე გარდაცვლილთა სულებს ჩაეძახე:

“მოხმაურე კუნძულთა მეფევ! მამაც კომპალის შთამომავალო,
მომღერალო საფლავებო, თქვენს ბნელ სულებში
მიცვალებულთა ცისფრად ნაფერი არმიები წამოდგებიან,
განგმირულთა აჩრდილებო, რომ ამზადებთ მომავალ ბრძოლებს!
ამოდით თქვენი მღვიმეებიდან, ამოდით
ბორცვთა ნაპრალებიდან! ხატებო, თქვენი სიმაღლიდან
დაბლა ჩამოდით!

შენედე ერთი, წელიწადი მობრუნდა ისევ, კვლავ გაცოცხლდნენ
ნაკადულები,
შენი ჭალები, გარმალარ! მერე რარიგ საამოდ შრიალებენ ჩემს
ირგვლივ და
ირხევიან ყვავილნი მძიმედ, და ზაფხულის
ჰაერი ისევ სავსე არის თაფლის სურნელით.
აქ ბალახობენ ირმები, მთების ეს ქორბუდა ვაჟიშვილები.
ეს მაშინ ზდება, როცა შუადღის მზე თავის ცხელ სხივებს
ჩამოაფენს
და სიწყნარე გაიფინება ნისლიან მთებზე”.

ისინი თავებს მალლა სწევენ ქარში და ისმის
ფრინველების ფრთების ტკაცუნი. ალბათ, ისინი ხედავენ სულებს,
აქ რომ დადიან ისეთივენი, ერთ დროს რომ იყვნენ: აჰა, დიდი
ტრენმორი მოდის,
ფინგალიც მოდის ნისლის სვეტივით, და მერე უჩინარდებიან,
კვლავ ქრებიან გმირები ცისფერჩაფხუტიანი. სიკვდილის მკლავო,
დათ-მარუნ!
კრომგლას! შენ, ბრინჯაოს ფაროსანო, სარდალო შტრუტმორ!
და შენც,

კორმარო! თქვენი გემები ზღვებს სერავენ
ისე, როგორც მოჩვენებები. ვხედავ რუხ უღინს, სხივოსან რინოს,
ალპინს და კიდევ მოძღერლებს ვხედავ, გხედავთ ტკბილხმოვან
მინონას და

შენ, ოსკარის საყვარელს, გხედავ,
შენ, ლუთას შვლების მწყემსო ქალწულო!

მოდით, აქ დარჩით, დალოცვილებო! აკურთხეთ ჟამი! ეს რაღა
არის, აქ რომ არავის და არაფერს
არ სურს დარჩენა! დარჩით, დარჩით, გევედრებით! ზამთრის წვიმა
ჩავლილია, ყვავილები ხატავენ
მინდვრებს, კანას ყლორტებმა
გამოიღეს ნაყოფი უკვე. ტყის პირს მტრედების ლულუნი ისმის.
დარჩით, სამხრობის თბილმა ქარმა რათა გაგათბოთ,
დარჩით, ვარსკვლავნი ღამისა ვიდრე და - კონკათლინი,
ალისფერი ტონთენა ვიდრე
გამოანათებს!

გაფრენილი სულები კი ჩუმად სტვენენ მუხის ფოთლებში.
ისინი სადღაც იკარგებიან, ცივ ქარებზე ამხედრებულნი,
და ჩურჩული გაისმის ირგვლივ:
«რატომ მალვიძებ, გაზაფხულო?
ასე რატომ მეუბნები:
“შე დაგნამავ ციური ნამით”...
სულ ახლოს იყო დაჭკნობის ჟამი,
სულ ახლოს იყო ქარიშხალი,
ჩემს ფოთლებს რომ მალე გაფანტავს.
ხვალე აქ მოვა ვინმე ყარიბი,
ვისაც ჩემი სილამაზე თვალით უნახავს,
ის მინდვრებში დამიწყებს ძებნას
და ვერ მიპოვის... »

.....
მინც რა არის, რომ გამქრალი ისევ ჩერდება,

რომ სიმძიმე კარგავს თავის თავს, რომ უხილავი აგრძელებს
ყოფნას,
ხოლო კაკლის სურნელოვანი კენწერო ზეცას შეერთებია,
და სურნელი, ის რომელსაც ეთამაშება, ჯერ კიდევ სუნთქავს;
აქ შენი მუხაც აღარსადა ჩანს.
ძირს იწევენ საფლავის ქვები,
საცა არის მძინარის მკერდზე
ჩაიქცევა სამარის ბორცვი!

მაგრამ მე ამ სულს ჯერაც შევიგრძნობ.

ღვთაებრივი რამ უკვდავება სულაც არ არის,
კაცი იმას ეზიარება, როცა იგი თავისუფლდება
სიცოცხლის და სიკვდილისაგან. არაფერია მარადიული,
გარდა იმისა, რაც არავის დაუნახავს, არავინ ხელით
არ შეხებია. და ასე არის: ჭაობის ხახა ცისფერ სამოსელს,
ტყავს და ცაცხვის კუბოს ფიცრებს
ნაცარტუტად რომ გადააქცევს, და ბრინჯაოს ორნამენტსაც ჟანგი
ამოჭამს;
და დაიშლება ძვლები და ხელთა ნაზი სხივებიც,
ეგ სულერთია, ხმაღს ეხებოდნენ ბრძოლებში თუ არფას
უკრავდნენ;
ასე მოხდება: ხავსმოდებული კოშკები და დაჩრდილული
სიმაგრეები
დაიქცევიან და პალატებს სარეველა დაეუფლება;
და მიდამო გადახმება, და კლდეები ჩამოიქცევა,
მთლად სამყაროს სიცარიელე დაეუფლება და ისიც, მთვარე,
ვარდისფერი ღრუბელივით
რომ მიგორავდა ღამეულ ცაზე,
ისიც დაბლა ჩამოვარდება!

თუმცა ჯერ კიდევ მესმის სიმღერა.

ფრაგმენტები დაკარგული ზაფხულებისა

I

ნაშუადღევს,
როცა მოელვარე მზის სარკე
თეთრქათობა ცაზე
დაბლა ეშვება; როცა მდებლობები
ქარში ბრწყინავენ; როცა თქორი
ჩურჩულებს ველის ყვავილებში –
მაშინ თავი დაანებე ძველისძველ სურათებიან
დაბინდულ დარბაზში
ფიქრს წინაპართა
გამუდმებულ საყვედურებზე!
თითქოს ცრემლების ხმა გაისმის
შენს გარშემო. ისინი მართლაც რომ ჩამოცვენილიყვნენ,
კედლები ვერცხლივით აჟღერდებოდნენ.
მოშორდი ფანჯარას,
სადაც დიდხანს იდექი,
რომლის ქვეშ ბალი ისე მოჩანს,
თითქოს წყალში ლივლივებდეს.
გამოდი სახლის წინ,
სადაც ფირუზისფერი ციალებს, სადაც
ზაფხულის ძაფები ერთმანეთში გადაქსოვილა, სადაც კლდეები
და ტყეები ზურმუხტოვანი
ზაფხულის საღამოებს ანათებენ...

II

მთვარისადმი

ამო ციალი, ხან კრავისებურ ღრუბელს,

ხანაც ზღვის ჩქაფუნს, ხან კი ჩაძირულ
სასაფლაოს გაღავანს რომ აათინათებს –
მწყემსი გოგონას ატლასის კაბამ თითქოს აქა-იქ
ვერცხლისფერი ყვავილების იაღკიალი გამოაჩინა!

ის ადგილი, სად მოშრიალე ვეჯვილში ერთ დროს საალერსო
სიტყვით თვრებოლით,
ახლა ზაფხულის მიწურულის ღამეებში ცვრით იფარება,
და ცრუ ნათება
ფარავს ციალს შორეული ვარსკვლავებისა...

III

ახლა იქ, სადაც – მერამდენიმე კვირაა უკვე –
გაბმით ცრის წვიმა შემოდგომის,
სიბნელეში ტყე-ჭალების
ხმამაღალი შრიალი ისმის,
და შერევიან ცის ცრემლები
წყაროს, რომელსაც, თითქოს სანთლებით გაჩირაღდნებულს,
ნეკერჩხლების ნეშომჰალას ქვეშ
მწვანედ ხასხასა წიწმატელები ზამთარშიც კი გვირგვინივით
შემოვლებია. არ გაისმოდა ხმები? ეჰა, მხოლოდ აჩრდილი
მიცვალებულის ბორიალობს ბნელში უაზროდ,
და შეყვარებულ წყვილთა ნაბიჯებს,
ზაფხულიდან შემორჩენილებს,
მლის და მარხავს წვიმის შხეფები...

IV

აი, უკვე გაზაფხულს უსწრებს
და ამოდის თოვლის ზემორე

გაგანია ზაფხული. და მოიწევენ
მისი წვიმები ვერცხლისფერები. აი, ანათებს
მიტოვებულ მინდვრად ყაყაჩო. და უხილავი
ფოთლის ღრუბლებით იბურება ტყის ნაპირები; და გუგული
ეხმიანება უსმინარ და იღუმალ ძახილს...

ბრწყინავს ქამხაგადაკრული სარეცელი,
სარეცელი იმ ზაფხულის სიყვარულისა.
სასიკვდილო სარეცელი. ბალიშები გაციებულა. სად წასულხართ,
შეყვარებულნო? რომ მიილტვით
კვლავ ერთურთისკენ,
კვლავ ერთმანეთი მოგნატრებიან! ხოლო ზაფხულს თქვენ
ენატრებით!

როცა პირველი ფანტელები ჩამოცვივდება,
თქვენს აჩრდილებს გააშიშვლებს
თოვლი პირველი.

სოფელი

სახლის წინ დადექ! ნაშუადღევია... მგონი - ივნისი. შენ უხმობ
დაღლებს,

მაგრამ ისინი არ მოდიან...

სახლის ფანჯრები ღიაა და გამოღებული ფანჯრებიდან
ოთახები შემოგცქერიან,
როგორც ადამიანები, თითქოს ოთახებიდან ადამიანები
შემოგცქერიან...

თუმცა, შენ იცი, რომ იქ, შიგნით, არავინ არის. მარტოდენ ფარდას
არხვეს

ქარი. აქ სხვა უკვე არავინ აღარ იცხოვრებს.

სახლი ხომ გამოძვინდობებასავითაა! შენ მიღინძარ, თითქოს უკვე
უკანასკნელად,
და იცი, კიდევ ბევრჯერ წახვალ... შენ ეს

იცი ერთდროულად! და ცა თეთრად მოჩადრულია,

როგორც საფლავი გოგონასი. ო, რა
სიწუმე გარტყია გარს ღაცლილ სოფელში! საშინელი
წინათგრძნობა აქვთ
გარშემო ბორცვებს, იმის გამო, რაც უნდა მოხდეს...

მაგრამ შენ იცი, რომ ეს რაღაც არ მოხდება. შესაძლოა, ეს უკვე
მოხდა დიდი ხნის წინ. შესაძლოა,

მოსახლენი ჯერაც შორს არის. და ქარი როცა
შემოუბერავს, ის მოგიტანს შორეული ჭექა-ქუხილის სურნელს.
დაჰბერავს

სამხრეთის ქარი და ცივი თქორი წამოვა უცებ...

მდელოები ბიბინებენ ვერცხლისფერ მტვერში. ან რა არის,
რასაც მოელი,

რაც არასოდეს მოვა, ალბათ, რაც შორს არის ამ
სამყაროდან!

უამრავი ყვავილია, ქარს რომელიც მოუტანია, და ბაღის
გზებზე ჭკნებიან და ცივი წვიმა ტირის ფოთლებში.

მიმართვა

თქვენ, უძველესი ქაოსიდან დაბადებულნი,
უფსკრულთ წიაღმა და მლამიობმა აჩრდილებმა რომ გაგაჩინათ,
რომ აღმოცენდით ცის და მიწის და ეონის უწმინდესი
სამყოფელიდან! მაშ, თქვენ ღმერთები
უნდა გიწოდოთ? ღმერთთა საწყისი? გოლიათები?
დაბადება, სამყაროს შექმნა? წარღვნა, დღე და ეთერი გქვიათ?
იქნებ, თქვენ ხართ
კაცნი პირველნი? იქნებ, იმათი წინაპრები ხართ? ანდა,
იქნებ, ანგელოზები? ... თუ თქვენ არა ხართ
ეს ყოველივე, ან ერთდროულად ყველაფერი ხართ,
და ყოველივე ამაზე მძლავრნი –
მაშინ, იცოდეთ,
გარქმევთ ტიტანებს!

თქვენ ჯერაც ისევ საწყისები ხართ,
ჯერაც ცალ-ცალკე განუყოფელნი!
თქვენ, ჯერაც ისევ სამყარომდელნი,
როცა ჯერ კიდევ ბავშვები გერქვათ, შვილები
ღვთის და ადამიანთა, თქვენ კრონოსის საბრძანებელში
ერთად უსხედით მაშინ სუფრას
სამყაროს გარიჟრაჟისას.
და მწირ მიწებზე მოიალალე მაშინდელი
ხარის და ფურის ეჭვნების ხმა ქარმა წაიღო.

ახლა, როცა მიწიერი
ზეციერისგან გაყოფილია,
ახლა არსთა გადაგვარებას
დასასრულისკენ როდი მივყავართ,

არამედ უკან, საწყისისკენ მივემართებით, რადგან ასეა: როცა
მოღვმას

აღარ ძალუმს
სიარული ღმერთებისაკენ,
სწორედ მაშინ ამოხეთქავს
დამწყვდეული პირველსაწყისი.

მდელოთა ნიმუზს

მდელოთა ნიმუზებო!

მოფრიალენო, ვარსკვლავების ქვეშ რომ გეძინათ!
რა უსასრულო ჩანდა ის ღამე! თქვენ მიაღწიეთ
უსაზღვროებას. ზეაიხედავთ: როგორც ვერცხლი,
ბრწყინავს ჰაერი. და ტყე, აქამდე ჩრდილივით რომ გაწოლილიყო,
მეყვსეულად მოახლოვდა და ის მტერივით
ჩადგა თქვენს შორის. დილა უკვე ეგებება მამლების ყივილს.

ჟრუანტელივით თბილი და ცივი ნიავი უკვე ერთმანეთს ერწყმის.
აი, უკვე აშრიალდნენ ფოთლები ბაღში. უკვე ციმციმებს ნამი
აბურღულ ბალახბულახში. ცას უკვე სწყდება
შავი ჩადრი, თითქოს სწყდებოდეს
მხრებს იმ ქალისას, ვისი მზერაც
ყოველივეს ცისფერში სძირავს. და ლაჟვარდიც
ელვარებს უკვე.

განა, ახლახანს არ იყო ჟამი, “გუშინ” რომ ერქვა?
ახლა დილაა. ახლა ოთხთვალა
მზის ბრინჯაოსი გაივლის ბორცვებს.
როგორც გრუნუნის სოფლის გზებზე, ისე გაისმის
თვლების ხმაური. უკვე აღმა მიიწევს გზა და
ზეცას თავის ქსელში ახვევს ბედაურთა თბილი ნაორთქლი.
ისინი ქმენით მიიწევენ. ოთხთვალას გვერდით
მიაბიჯებს მეეტლე და მას აღვირი უპყრია ხელში.
მიბრუნებული, თითქოს უკან მიმავალი,
ყოველივეს თვისი მზერით მოიცავს იგი.

მზეს ეფიცება ჭრელი გველი კაკაპასიის

ნასიცხ ფერდებზე. უკვე ელვარებს კილიკიის
მარმარილოს თავი, რომელიც
აქ უგრძესი ღამეების ძილს მისცემია. მზემ სხივები სტყორცნა
პროპონტიის. ისტერიის შესართავი კამკამებს.
ჩრდილოეთისკენ იძრვის ნათება, სარმატიისკენ და სკვითების
სამეფოსაკენ. მიცურავენ ბაცი ნისლები დაკიედან, პანონიედან,
და ალპების თეთრ მწვერვალებზე ჰყვავიან
ვარდნი.

*

ფუტკრის ზუზუნი ახმთანებს ირგვლივ ზეცის მწვანე მდელოებს.
მტვერში კვალს ავლებს ეტლის ბორბალი. ჟამიდან-ჟამზე
ცხენები თითქმის საეთერო სიმაღლეზე შეყოვნდებიან.
კუდებს გავაზე მათრახებივით იტყლაშუნებენ და ასე ღგანან
და სულს ითქვამენ, ბაწრებს
ცერად ეყრდნობიან, და დღეც ჩერდება.
ახლა უკვე მტვრის ღრუბლები კიდევ ერთ საათს
გაატარებენ ცხენთა თავებზე.

ტყისპირი უფრო დაბლა იხრება, ღუმან ველები,
ჩალის ღერები, სიჩუმე. მხოლოდ
ღრო რძისფერ სურნელს ქსოვს და ნაქსოვში
აერთიანებს სივრცეს და ველურ
მტრედების ძახილს. ყვავილი მიმქრალ
ხმას აყურადებს.

ნუთუ, ეს მუხის კენწეროა, აქ რომ ირხევა?
ვინ არხევს იმის კენწეროს, ანდა
იმის გვირგვინში ვინ იხედება? ან, ეს რა არის,
ზღვის აჩრდილივით მწვანე ველებს რომ მოეფინება?
მალლიდან მოდის რაღაც ქუხილი. უხილავი

შრიალებს და ვერცხლად იღვრება
ჩალის ღერებზე. ქარმაც თავი შეგახსენა, უკვე შუაღლეა.

*

ტრაპეზის მერე გამოხვალ და: კვლავ ველეხია.
თანაც არაფერს გიმხელს დარბაზი, სადაც ახლახანს
სუფრას უჯექი, კედლები ყოველს თავისთავში ჩაიბრუნებენ,
არც კარები გიმხელენ რამეს, იატაკების მოლაპლაპე ზედაპირი
თავისთავში მალავს ყველაფერს, ოთახები ასე ცდილობენ, რომ
ყველაფერი გადაგიმალონ. მაგრამ ეს რაა? ხმაური უხმო.
და აქ მთელ ზაფხულს ჩუმი, ჩუმი ჩურჩული ისმის.
რა ნელ-ნელა იძრვის სურათი, ნელა ირხევა მოსასხამი,
რიალებენ ნელა საგნებიც, თითქოს ცაში არსებულები.
ზაფხული ზაფხულს მისდევს. შენ კი ამას ვერ ამჩნევ.
მაგრამ, ერთხელაც, ხომ უნდა ნახო ეს ყველაფერი.

ბრმავ, გაუფრთხილებელი, შენ თითქოს ჩქარობ
და ამ ყველაფერს აფუჭებ, შენ ხომ
ჯერაც ვერ ჩასწვდი ამ საგნების უთქმელ სიფრთხილეს.
შენ შენთვის ხარ და ისინი კი თავისთვის დარჩნენ! და - უეცარი
რამ ხმაური:

ბაღში ყვავილთა ფურცლები ცვივა,
სულ სხვაგვარია ფანჯრებზე მათი
თეთრი ჩრდილების აკამკამება. იგრძენ მუქარა მაღალ ბალახთა,
ჩალის ღერები წვიმის კედლებად გადაქცეულან. ო, საგანთა
მილეულო დუმილო, და შენც, ზაფხულის ბზუილო, მიწყევ
არარსებულო! მერე სახლისკენ გაიხედავ და ვერც კი იგრძნობ
ბედისწერას, იქ რომელიც ჩასაფრებულა, და
შენს გარშემო ვერ შეამჩნევ ცხოვრებას,
ბელს რომ გამოკლებია! ო, შორით, შორით მოციმციმენო,

შუადღის შორნო ხატებანო და სიცოცხლის მაღალნო კოშკნო,
დიდო ღმერთებო! აჰა, ქარს მოაქვს შორი სურნელი
მოიალალე ცხოველებისა.

ხომ არასოდეს გვიბრძანებენ ძლევამოსილი და ცოცხალი
გარდაცვლილები,
რომ ჩვენც აღვსრულდეთ? გრძელი ზაფხულები, და ზაფხულის
გრძელი დღეები! ჟამი ილევა, კოშკურაში
რეკავს საათი. მზის საათის
უხმო ისარი გადაადგილდა, და დრომ ერთი საათით იკლო.

დიდი დროა უკვე გასული, ზაფხული კი აღარ თავდება.
ის ზაფხულიც ისევ დადგება, რამდენიმე წლის წინ რომ იყო.
გამეორდება ჩვენი ყრმობა, მოუსვენარი, ჩვენი ბავშვობის შიშებიც
ისევ დაბრუნდებიან,
ჩვენი ცხოვრება აღარ იქნება, დაბრუნდება
თქვენი ცხოვრება. ასეც მოხდება: იცოცხლებთ ჩვენით!

ვიცი, ისინიც გაჩნდებიან,
ვისაც გულებს არ აუჩქროლებს
თეთრი ბორცვების მონატრება, ვის თავებზეც დაიხრება
ბნელი ღამე, ტანფენშიშველი...
ღამე, რომელიც სიბნელეში იხსნის საბურველს
მოციმციმე ვარსკვლავთა ქვეშე
იმ ღმერთების შესახვედრად,
ვისი სამწყსოც მომავალია.

ბედისწერისადმი

ნუთუ, ისევ ის ზაფხულია? და ფიქრობ, შეუძლებელია ისევ ის იყოს.
თუმცა, ფლოქსი ჯერ არ ყვავილობს,
არ დაცვენილან ცაცხვის ფოთლებიც. ისევ ისაა, ის ზაფხულია.
მაგრამ - რომელი? ის პირველი? განა, დიდი ხანი არ არის,
რაც სხვა დადგა, ეგებ გაისის, ანდა სულაც იმ გაისის
მერმინდელი ზაფხული არის? როგორც ამბობენ, გარდაცვლილები
ვერ ამჩნევენ, რა დაემართათ, და, უდიდეს გარდაქმნაში

მონაწილეებს,

ჰკონიათ, თითქოს სხვა ოთახში გავიდნენ, თანაც ისიც ჰკონიათ,
რომ რაც იყვნენ, იგივე დარჩნენ, მათ არ უგრძენიათ ეს

გარდასახვა,

არც ვარსკვლავების, არც თავისთავის

შესვლა სიკვდილში – და შენც უკვე სხვა ზაფხულში ხარ.

მაგრამ მერე

საგანთა მიღმა (რომლის მოხილვას შესაძლებლობას სულ

ვერავენ წარმოიდგენდა) გაიხედავენ,

და არასწორად დაცემულ ჩრდილზე

და თავისთავის გარდასახვაში

ისინი უცებ სულ სხვა რამეს აღმოაჩინენ

და რომ იგრძნობენ, ეს ყველაფერი

აღარ არის უკვე სიცოცხლე, სიკვდილია ეს ყველაფერი,

გულები მწარედ აუთრთოლდებათ!

შენც სწორედ ასე აღმოაჩინე; და, უფრო მეტიც,

შენ გგონია, აღმოაჩინე, რადგან ეს ჯერაც სიცოცხლეა,

და ისევ ისე ზაფხულია მაცოცხლებელი,

კვლავ ის არის და არ თავდება.

და შენ ის უნდა გადალაზხო, ისიც და - მერე სხვა ზაფხულებიც,

კიდევ მრავალი სხვა ზაფხული, შემდეგ და შემდეგ.

დღენი დგებიან და მზეები ამოდინან მოჟღარუნე ეტლებით და
ბრინჯაოს ცაზე შუადღე ჩერდება, საათები მიიწვევენ შუადღეთა
თეთრ დინებაში. საათებს ითვლი? გრძელ დღეებს ითვლი?
ითვლი, რამდენჯერ დადუმებულა შადრევანი, რომლის შხეფიც
სწვდება გაზონებს,
და რამდენჯერ შებრუნებულხარ ოთახში და
მერე ისევ გამოსულხარ ზაფხულის ბაღში. მაგრამ რომელი
ზაფხული იყო? შენ ეს არ იცი.

აქ რომელი აუხსნელი ნება
გაკავებს? ვინ გერეკება
მარადისში, სადაც უკვე დრო დასრულდა დიდი ხანია?
რა არის ბედი, შენ რომ გტოვებს ბედის გარეშე?
ნუთუ, თქვენა ხართ,
თქვენ, ნიმფებო ტყისპირისა,
ნეკერჩხლის ჩრდილი
სადაც წყაროსკენ დაიხრება, იქ საავდრო
ჭექა-ქუხილს გამოურევთ და
ჰაერის სხივებს აფენთ ფოთოლთ ქვეშ?

სწორედ იქ, იმ დროს,
როცა ნისლით ცა იფარება,
თქვენ გამოჩნდებით. და სიწყნარეა ისეთი, რომ
გაიგონებთ საღამოს ხანს ბუზების ბზუილს;
და იღუმალ ხმას, მთის წყაროს ჩხრიალს
ყურს უგდებს შველი,
თითქოს იგრძნო მთის კორომში
ცეცხლის სუნის უეცარი მოახლოება.

უხმოდ ირჯებით, ძლიერებო,
გაავდრების წინ! უხმოდ

აბამთ წვიმის ძაფებს გარეშემოში.
იღუძალ ბრწყინავს ჰაერი უკვე და ფოთლები
უნილავ ბიძგს ელოდებიან, როცა კენესით
დაიხრებიან და მაშინ, როცა წვიმის ცვარი აციმციმდება,
ფოთლები თითქოს შეკრთებიან, რომ წვიმამ ახლოს ჩაუარა;
და სხივი მიწას დაეცემა. და მკრთალი ელვით ციმციმებს
სივრცე. და გვირგვინებზე ეცემა ღამე. და იწრიტება
წვიმის შრიალი და ღრუბლები ირინდებიან
და ვარსკვლავები ჩნდებიან ცაზე.

*

ის თუ იგრძნეს მდელოებმა, რომ ეს ქარია,
იმათ რომ არხევს? იქნებ, ჰგონიათ, რომ თავისთავად
ტრიალებენ თავის სიზმრებში? და ესიზმრებათ კვლავ სხვა
ზაფხული?

წიგნს თუ ახსოვს, აჭრელებულს ვარაყით და
გრავეიურებით, სადაც ზეცა მოქუფრულია
და პირქუშია ცხოვრებასავით; ის თუ ახსოვს, რომ ეს ქარი
ფურცლავდა მაშინ, როცა ბალახის მაგიდაზე
ობლად იდო, მივიწყებული? იფიქრებდი, თითქოს
ვინმემ დაიძახაო... არა, არავის
დაუძახნია... ამაოდ
იდო ის, ყველასგან მივიწყებული! მოკირწყლულ ბილიკს მაინც
თუ ახსოვს ქარი იმედგაცრუებისა,
უკუქცეულის ნაბიჯები თუ ახსენდება? ანდა, საგნებმა
თუ იციან, რომ ისინი კვლავ არსებობენ? ბედისწერა ხომ იმას
ნიშნავს, რომ ეს გახსოვდეს,
საკუთარ თავს რომ ვერ გაექცევი...

*

ვინ იფიქრებს, რომ მაინცდამაინც იმას დაითმენს,
რასაც წინასწარმეტყველი ეტყვის, ან რა მოხდება მის
ცხოვრებაში? ვისი გული აძგერდება
ვაჟკაცურად, როგორც ბრძოლის წინ, იმ ბრძოლის წინ, საუკუნეთა
შემდეგ რომელიც უნდა მოხდეს? ან ვინ
იფიქრებს, რომ სამყარო
მხოლოდ გუშინ არის შექმნილი? რომ აღსასრულის
შავი დღეები უეჭველად ხვალე დადგება?

მაგრამ ეს არის ბუნებაში,
ჯერ კიდევ არის. ჯერაც არსებობს წარსული და
მომავალი. ახლახანს იყო, წითელ პარასკევს...
...ეს ყოველივე განა მართლა ახლახანს მოხდა? განა დიდი ხნის
წინ არ იყო უკვე? სწორედაც
იმდენი ხნის წინ, რომ ბუნებამ თავადვე იგრძნო! და ამას
გრძნობდა ყოველ წელიწადს! და შენც
მიგიღო და შეგიფარა თავის ძველისძველ უკვდავ ხსოვნაში! და
შენ გრძნობდი იმასთან ერთად,
რომ შავმა შიშმა აიტანა სუყველა და სუყველაფერი. ისინი შიშით
დაშლილ სახეებს შემალაგენ ერთმანეთის უბეებში და ილღიებში.
წყლები სტიროდნენ მაშინ ჯვარცმულს. ყვავილებმაც კი
შეიგრძნეს ეს და ისე ატირდნენ, როგორც ტირის უდანაშაულო
დამნაშავე,
და შეიგრძნეს ერთმანეთის ნათესაობა,
ეს გრძნობა კი მოდიოდა მიწის გულიდან,
თავი იგრძნეს დანაშაულის მონაწილედ და მაშინ მდებლობს
ფრუანტელმა დაუარა,
იალაღებზე დაზრა კვირტები.
და ეს იყო მომავალი, რაც უკვე იგრძნეს?

უსასრულო მომავალი, რაც უკვე იყო,
მაგრამ ვერ კიდევ არ მოსულა
და არც ქარი ამოვარდნილა.
ის დადიოდა ოთახებში და ჩიოდა,
მაგრამ არა იმათ გამო, ვინც წავიდა, ქართან ერთად გადაიკარგა,
არამედ - მხოლოდ იმათ გამო, ვინც იმასთან ერთად მოვიდა,
ვინც სულ მალე ქვეყნად უკვე აღარ იქნება...

წინასწარ ვინმეს რომ სცოდნოდა,
რაც იციან მდელოებმა,
რაც იციან წყალმა ან ქარმა,
რომ იცოდნენ, მაშინ, ალბათ, უფრო სხვაგვარად
იჭრიალებდა ბედის ბორბალი,
რადგან ჩვენ ვართ მისი მცოდნენი...

გამგზავრება

ოდესმე, როცა გაემგზავრები, ნუ იფიქრებ, რომ მართლა
მიდიხარ, რომ თითქოს იცი, საით
მიდიხარ; ხოლო შენს სახლს მოუსვენრობა
მოიცავს და ცხენებიც უკვე მოგელიან, გამზადებულნი.
თანაც, ყველა გემშვიდობება და შენი ბარგი
კიბეზე ჩააქვთ; აქ ვილაცას
დილაბნელზე გაუღია კარიც, ფანჯარაც, რაც იმას ნიშნავს,
რომ ნამდვილად მიემგზავრები, თან მიგყვება ორპირი ქარი; და
შენ მთელი დღე
უნდა იმგზავრო, შენს დღეს შეავსებს დამშვიდობება, და იმგზავრებ
მთვარიან ღამით; და მერე ისევ მთელ დღეს იმგზავრებ;
ხოლო ეტლისთვის სახურავი უკან გადაგიწევია
დაგარშემო ნაცრისფერი წვიმა ეშვება,
წვიმა მწვანე გაზაფხულისა; და თანდათან შენი მეეტლეს
უცხო გონია და მიმწუხრისას ეუბნები,
რომ გააჩეროს ცხენები და ისიც აჩერებს. ჭრიალი, მთელ დღეს
რომ გაისმოდა,
ბორბლებში ჩაკვდა, და სიწყნარე აყვავდა ირგვლივ! მხოლოდ
ერთი ჭრიჭინობელი
ხმიანობს ისევ, მაგრამ მალე
ისიც ჩუმდება. ეს
ყოველივე
ხდება მაღლობზე... აქეთ და იქით
მდელონი დაღმა დაქანებულან; ეტლის ბორბლებზე დახვეული
გზაც
დაბლა მიიწევს, და ეს გზა თითქოს არსაიდან მოსულა და
კვლავ არსაით მიეშურება; და აქ... ცოტა ხნის მერე კი ეტლში
წამოდგები და ქვემოთ ჩამოხვალ

და მდებლობებს გადაივლი და ყველაფერს ჩამოიშორებ
უკან და უკან. მათ არ იციან,
შენ კი მაშინ თითქოს იცოდი, თუ შენი გზა
რომელ მხარეს გაგიტაცებდა. ხოლო ძეწნები,
ისე, როგორც სველი ნისლეები, იხრებოდნენ ბალახებისკენ; და
მიადექი
ქვის გალავანს, იქ, სად ბორცვების შესაყარია. ეს ადგილი ჰგავს
ჩანგრეულ სარდაფს, სამშენებლო ნაგვით სავსეს, შავ სიღრმეში
რომ
მიექანება, და იკარგება ქლიავეების დახრილ ტოტებქვეშ; და შენ
დიდხანს იყურები ტოტების
ქვემოთ, ხოლო ნაგვით სავსე ჯურღმული
შენს ოცნებებს ირეკლავს ისე, თითქოს ოდესრაც მივიწყებულ
ჭას ჩაჰყურებდე. და მაყვლის ბარდებს
გვერდზე გადასწევ, ფენს დაბლა ჩადგამ,
შენს გარშემო იშლება მიწა;
მერე ჩადგამ კიდევ ორ ნაბიჯს, მერე - მესამეს, და ვეღარ ხედავ
დღის ელვარებას,
უკვე დაბლა ხარ, მდებლობების ქვეშ; და ჩადინარ საფეხურებით
და გადინარ თაღებში მერე, ხელის აქნევით მოიშორებ სახიდან
რალაც ამოუცნობს, რაც უჩინარი ფრთებივით გირტყამს,
შედიხარ კლდეში და შორიდან გესმის ხმაური,
სადღაც ქვემოთ თქრიალებენ მდინარეები, ქარს მოაქვს შენსკენ
იმათი ხმა, როგორც შხეფები, როგორც ზაფხულის
უთვალავი სველი ჩრდილები... აჰ,

ამას კი ნუ დაიჯერებ, რომ ყოველივე ასე მოხდება! და თუ
წახვალ, მაშინ მაინც
ვერ გასცილდები სახლის უკან აყუდებულ ჟასმინს და ვარდებს
და მდებლობებსაც ვერ გასცილდები. და შენ არ გინდა
გამგზავრება და არც ის იცი,

საით უნდა წახვიდე, რისთვის. გული კვლავ
უკან-უკან გაბრუნებს; და მოტრიალდები - ო, რა კარგი
იქნებოდა,
რომ არ გეცადა დაბრუნება და უკუქცევა! ეხლა დგახარ
ხეების ძირში, - ისინი შენ ველარ გამჩნევენ; და მიაბიჯებ
ლორდიან გზაზე, გზა შენს ფეხქვეშ აღარ
ხრაშუნობს, და დგახარ შენი ფანჯრების წინ და ვერავინ
შენ ველარ გამჩნევს; და ბრუნდები ისევ შენს სახლში
და ვერავინ შენ ველარ გხედავს; ისე ახლოს ხარ შენ იმათთან,
როგორც სუნთქვა საკუთარი, და ისინიც შენ ველარ გგრძნობენ;
და შენ გინდა, რომ გაესაუბრო, მაგრამ არა, არ შეგიძლია,
გინდა იყვირო და ამას ხედავ: ისინი შენ ისევ გგლოვობენ, შენს
ხმას ისინი

ვერ გაიგებენ. და კარგად ხვდები, რამდენი დღეც
არ უნდა იდგე, რამდენი წელიც არ უნდა იდგე იმათ წინაშე,
მაინც ვერ შესძლებ, შენს თავს ველარ დაანახვებ,
იმათ ველარ დაუბრუნდები...

სადაც ველური

ვარდენი ჭკნებიან, სადაც კაკლის ხე დახრილა ფლოქსზე,
სად, სახლთან ახლოს, ნეკერჩხლების შრიალი ისმის,
ამ სახლთან ახლოს გიყვარს ხოლმე წამოწოლა შენ ზაფხულის
გრძელ დღეებში, და დრო გაგყავს და დროს აცდენ, თუმცა
დროის გაცდენა შენ უკვე აღარ
შეგიძლია, და, თანაც, ამჩნევ,
რომ შენ უკვე რაღაც სხვად იქეც. ეგებ, მართლაც მიწა ხარ უკვე,
და იძირები ნიადაგში. უკვე მართლაც მიწას ეკუთვნი,
და ბალახი იზრდება შენზე,
და ყვავილები გეზრდება თმაში...
ისინი ასე ყვავილობენ, ასე ჭკნებიან...
და შინისაკენ იყურები გამუდმებით, ო, შინისაკენ!..

იქნებ, ჯერ კიდევ ასე გეგონა,
დილით ფანჯარა როცა გაიღო, რომ შენ
საწოლში გამოიღვიძე,
საუზმე მოაქვთ.

გარკვევით ხედავ, რომ ვიღაცა დადის ოთახში,
და გეჩვენება - ის შენ ხარ თითქოს, ეს შენ იყავი და ხედავდი,
როგორ ელავდნენ
სარკეები, ვერცხლის ჭკალები... შემდეგ კი თითქოს სიჩუმე დადგა
და ოთახშიც არავინ ჩანდა. შემდეგ კი
ისევ დაინახე ორი მოახლე, ისინი ერთად საქმიანობდნენ,
ორნი იყვნენ, ალბათ, იმიტომ, რომ სიმარტოვის
ეშინოდათ. და ესეც არის:
იყვნენ კი როსმე ისინი შენი მოახლეები? იქნებ იყვნენ. იქნებ
სულაც უცხოებია.

შენ ისინი ვერ გაიხსენე.
მათ რომ იცოდნენ, რომ ისევ აქ ხარ, მართლაც
მაგრად შეშინდებოდნენ! არა, შენ ეს არ გიფიქრია. შენ
დაინახე, დაამთავრეს სამუშაო და თავ-თავისი სახლებისკენ
წავიდნენ უკვე.
ამასობაში მზეც ნელ-ნელა ამოვიდა, შენი ფანჯრები ღია დარჩა
და უკვე შიგნით ქარი გადი-
გამოდოდა, და შენ ფიქრობდი, რომ წასული
იყავი და შინ სადილად დაბრუნდი მხოლოდ.

ნასადილევს
კვლავ შენს ოთახში შედიხარ და ხურავ დარაბებს,
რათა ცოტა ხნით დაისვენო... ქარი შრიალებს და დღე
გაგრძელდა, ხეთა ჩრდილები
რიალებენ გაზონებზე (კანკალებდი შემცივნულივით,
შემოდგომის მიწურული მდგარიყოს თითქოს), და აღარავის
გაუღია დარაბები. ნაშუადღევის მზეში სახლი
დუმბილმა დანთქა, ხოლო იყო მზესუმზირები, ხოლო იყო მზის

საათი... ზოლო შენი დარაბები
დახურულიყო. ასე მთელი დღე, ასე მეორე
დღესაც, და იმის მერეც ასევე...

აქ კი შეშინდი,

აქ გონს მოხვედი (ასე ოდესღაც
თითქმის ყოველდღე გემართებოდა), ახლა უკვე ვეღარ შეძლებდი
დარაბების გაღებას და ვერც სხვა რამის გაკეთებას
ვეღარ შეძლებდი. შენ ხომ
შენ უკვე აღარ იყავი.

უფრო და უფრო მცირდებოდი
და ასეც იყო, სხვები დილით ფანჯრებს
იმიტომ კი არ აღებდნენ, რათა შენ გაეღვიძებინეთ,
არამედ - მხოლოდ იმის გამო, რომ შენ სახლში აღარ იყავი.

რადგან მათ უკვე

გაგიტანეს. მოახლეებიც სამუშაო ოთახს იმიტომ გილაგებდნენ,
რომ შენ უკვე აღარ იყავი, აღარ იყო ოთახიც შენი.

აქ ამყარებდნენ დროებით წესრიგს,
სანამ, ერთ დროს შენს სამყოფელში,
სხვათა ცხოვრების უწესრიგობა დაიწყებოდა.

არა მარტო შენ, არამედ - ისიც, რაც შენ დატოვე,
უკან-უკან მიედინება, იცვლება ისე, როგორც
მკვდრის სახე,

გარდაისახვის და ქრება, ქრება. ჩუმად იცვლის გარემო სახეს!
სინათლე ქრება, მერე შიშის ჟრუანტელი დაუვლის ველებს,
და ისე, როგორც შემოდგომის მალენიავში, შადრევნის სარკეს
ნეკერჩხალი უხმაუროდ დააყრის ფოთოლს.

და მერე ამჩნევ, როგორ იცვლება ხან აქ და ხან იქ კონტურები
და კიდეები სახურავისა,
აქ იცვლება ყველაფერი: მახინჯდებიან სახლები და

ეს ბორცვებიც მახინჯდებიან,
თუმცა, დრო ამას ველარ ამჩნევს,
ამას შენ ამჩნევ. რადგან უკვე აქ დღეები კი აღარ არის, უკვე
წლებია, უთვალავი
წელიწადები. და შიგნით, სახლში, შენი ძველი მელანქოლიის
ოთახები უკვე გამქრალა, სადღაც გამქრალან ძველისძველი
საფეხურებიც,
განქარებულა სიყვარულის ნამცეცა ცა და
წაშლილა უკვე ბედნიერების ძველი ზღურბლები...

დაფნის ფოთლებისადმი

მღუმარედ იდგა ის ზაფხულის ქართა ქროლვაში,
დაფნის ხე, კვირა კვირას მისდევდა, ის კი იდგა
გარინდულ ბაღში უძრავად და ემუქრებოდა...
(მაგრამ ვის?.. შენ და მხოლოდ შენ და ყოველთვის შენვე!)
და ის რასაც გემუქრებოდა, შენ ახლა იწყებ
იმის მოსმენას მქუხარე ცის ქვეშ, და აღმოაჩენ,
როგორც უცხო ქმნილების ხმას, ის ხომ შენ ზარდე,
ის შენს სახლში გაახარე, ისმენ იმის ხმას, გაუბედავს,
მაგრამ ნამდვილ ხმას. შრიალებს ქარში ნაავდრალი
ფოთოლი და მერე ჩუმიდება, მერე კვლავ იწყებს
შრიალს. მაგრამ სხვა ხეთა ხმიანობა
გაერევა იმის ხმაურში.
და ძლიერდება უფრო ბნელი ხმა, ის თავიდანვე,
სჩანს, რომ იყო დაუძლეველი.
და შენ გრძნობ, რომ ამ ხმაურიდან შეიძლება წამოვიდეს
დიდი ბრძანება, და იცა, რომ უდავოდ მოვა, უდავოდ მოვა
დაფნის ბრძანება. ოთახიც კი გრძნობს ამას, უკვე დიდი ხანია,
აი, ოთახი, რომელშიც შენ ცხოვრობდი და ელოდი ავდარს,
ახლა ჩრდილები რიალებენ ამ ოთახის კედლებზე და
სურათები, ჩრდილთა ჩრდილები... და, სადაც არის,
ჭექა-ქუხილის ოქროსფერი ხმაც მოვარდება.
აი, მაშინლა წამოდგები,
ფანჯრები რომ ჩაკეტო და... დაგაგვიანდა, რადგან როცა
შემობრუნდები, დაინახავ მაგიდაზე
განძარცულ ვარდებს,
ცეცხლოვან ცის ქვეშ
შრიალებს წმინდა ფოთლეული. სიყვარულის ფოთლები კი
ხალიჩაზე მიმოფანტულა...

გარდამოსნა

აბა, დახედე ჩემს სურათებს! არა როგორც მამაშენი, როგორც
შენი მამის
მამა, წარმოვსახავ ჩემს თავს უკვე სულმთლად გადახუნებულ,
შემოდგომის ხის ჩამოცვენის და დამჭკნარ ფოთლებზე,
შენი წინაპრის გულიდან რომ ამოზრდილა, ეს ის ხე არის...
ეს სურათები სპილოსძვლის გადაყვითლებული
ფირფიტების ხატი როდია, მსუბუქ ჩარჩოებში ჩასმულები
კედლებზე ციცქნა ლურსმნებს უჭირავთ. რა მძიმე იყო ჩემი
სიკვდილი,
იმისი ხმა მძიმედ დაირხა!.. კედლის შპალერი, უშველებელი, ჩემი
გვამის სიმძიმისგან მთლად დაგრეხილა... სიმძიმისგან
განგმირული იმ ტიტანისა, ვინც მე წარმოშვა უფრო ადრე,
ვიდრე ზეცა გუმბათოვანი შეიქმნებოდა, რომელიც, თავად
ბრინჯაოს ცის ერთი ფთილაა,
თანავარსკვლავედებით დაფხავებული...
ხოლო ჯვრიდან ნიკოდემუსის შეჭურვილი მსახურები და
იოსებ არიმათიელი გარდამომსნნიან.

ქვემოთ მიცდიან მოწაფეები,
ხარებივით მჩხვერენ ისინი, მძლავრ ხელებს ჩემკენ
გამოიწვდიან, წმინდა ქალები, იმათ თმებში უფრო
მეტი სიცოცხლე სუნთქავს, ვიდრე ამათ მთელ მოდგმაში...
შეხედე ერთი! არ შეუძლიათ ჩემი დაჭერა და აი,
მათი ხელებიდან
ძირს ეცემა ჩემი სხეული,
ეს ზემძიმე, გაუგონარი ტვირთი, ისეთი, რომ მიწა იძვრის
და ბნელს შერთული ზეცის გუმბათი უცებ ზარივით ახმიანდება...

უფინაუ

1

ქარის ქროლვა სივრცეს ავსებს
გადამალულ ცეცხლის კვამლივით.
კუნძული. მუხების ძუნძული. მათი ფოთლები
იხრებიან წმინდა
მიწაზე. იშლებიან იები.
ამ დროს შეგიძლია სიღრმეში ჩაიხედო,
მიაყურადო მკვდრების ბედისწერას
და გერმანელთა აღსრულებას. რადგან სუფთად
დარჩა აქ თავისი დანაშაულის
და უცხოთა სირცხვილისაგან
მიწა ჩვენი,
დიდი რაიხი.

2

გაჰკვივიან
ფარშევანგები.
ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს,
რომ ეს ას-
თვალა ფრინველები
გემბანზეც ჰყავთ
და კოშკის ძირშიც?
გორაკებს შორის
ღელე ჩამოდის, ლილიების ფერებით სავსე.
ეკლესიის ეზოში კი ცაცხვი დგას ერთი,

მოჩურჩულე ნიავს არის გადახვეული.
იალკიალებს ტბის ნათელი
ოთახებთა ჭერზე,
ცარიელ სახლში.

და თქვენც აქვე ხართ,
სურათებო გატეხილ თვალთა!

3

ისევ იგრძნობა
დამარხული დაფნის სურნელი
ცაცხვის სუნთქვაში,
ილანდება გვირგვინის ბრწყინვა
მოლიცლიცე
წყლის სარკეებში.
და ჟღერს
სამეფო საყვირების ხმა,
სატრიუმფოდ რომ ჟღერდნენ ერთ დროს. იხმიანეთ,
ჰეროლდებო,
იხმიანეთ, არწივებო და ლომებო, და თქვენც ფუტკრებო,
იზუზუნეთ
მოყვავილე მწვანე ფოთლებში!

სასაფლაო

... მთელი ცხოვრება იყო,
როგორც მთელი სიკვდილი.
დ'ანუნციო

არა, მე არ დამსიზმრებია, მაგრამ თითქოს
გალვიძებულს შემწევდა ძალა,
შენი შავი სამარიდან, სადაც დიდხანს
იწექი მშვიდად, ისევ უკან რომ გამომეხმე, -
შენ წრიალებდი, საბრალო და შეშინებული
აჩრდილი, თითქოს ვერ გვხედავდი,
დაბრძალებული შენი თვალებით
და ხელებით ეხლებოდი
სასაფლაოს უცხო გალავანს, და ფიქრობდი, რომ ეს იყო
შენი აღდგომა. ახლა შეხვდები პლატეს ბატონებს,
დე მონთეის და დე ლა ტურის,
რარონის სერებს,

და იზაბელა დე შევრონს და
საშინელი სამსჯავროს სცენის
ვეება ფრესკას ეკლესიაში,
და ვერ ხედავდი. და შენ გჯეროდა,
ანგელოზთა ღვთიური სუნთქვა
ბლონაის დროშებზე
ატოტებულ ლომებთან ერთად
აუშვებდა ვერცხლისფერ
მწვევრებს, - მაგრამ აქ არც რა აღმოჩნდა და
არც არავინ არა ყოფილა. ეს იყო მხოლოდ:
საშინელმა ქარიშხალმა,
აქ რომ ტრიალებს,

შენ ხელები ჩაგავლო და
კინალამ იქით, როდანუსისკენ გადაგიყოლა,
უფსკრულებზე
გადაგატარა და წაგილო ტრიალ-ტრიალით, გადაგატარა
საფლავებზე, სადაც
ხელოვნურ გვირგვინების
ზიზილები კიღია ისევ,
და უკვე აღარ ეკუთვნოდი
ძველ გარდაცვლილებს, და არც
ახალი გარდაცვლილი გეთქმოდა უკვე
და ეს მთელი შენი სიკვდილი
იყო, როგორც მთელი სიცოცხლე.

შენიშვნები

რილკე რარონშია დაკრძალული.

პირველი სტროფის ბოლოს მოხსენიებულია შუასაუკუნეების რარონისა და მისი შემოგარენის უმდიდრეს დიდგვაროვანთა სახელები.

იზაბელ დე შევრონი იყო ქალბატონი, რომლის სულიც, როგორც ამბობენ, დღესაც მიუძღის კოშკს, რილკეს სამკვიდროს, დასტრიალებს.

რანონის ეკლესიაში არის გრანდიოზული ფრესკა, რომელზეც საშინელი სამსჯავროა გამოსახული.

რილკეს საფლავი ეკლესიის კედელთან მდებარეობს. ირგვლივ, გლეხთა საფლავის ჯვრები, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, ხელოვნური გვირგვინებით არის მორთული. თავად სასაფლაო რონის ხეობაში, მაღალ ქედზე, მდებარეობს და მუდამ ძლიერი ქარებით არის გარემოცული.

ეპიგრაფად მოხმობილი ფრანგული სტრიქონები, რომლებთანაც გვაბრუნებს ლექსის ბოლო ორი სტრიქონი, მომდინარეობს დ'ანუნციოს «Mar-tyre de Saint-Sébastien»-დან, რომელიც წარმოადგენს ტექსტის ერთ ნაწილს მოთხრობიდან ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების შესახებ.

მაცხოვრისადმი

როცა მუსიკა, მოწყვეტილი დღესასწაულებს
და სხვა ხმაური დამცხრალია, ჩამქრალა ჩქამი
და ბრწყინვალეობა საზეიმო შესამოსელთა
მიინავლება, იცრიცება და ღარიბდება;
ოდეს წყვილი დუმილია და მკაცრ სიბნელეს
ფოთლები წყნარი გაოცებით აჩურჩულებენ,
და ვარსკვლავები, წუხელ ზეცად მოკიაფენი,
ფარგანამკრთალნი ეშვებიან მიწაზე დაბლა;
როცა შუაღამე, ძილნაკლული, სიზმარფხიზელი,
დაეშუქრება დედამიწას კვლავ დღედ მოქცევით
და დაქანცული ირგვლივეთი ამაოდ ცდილობს
გადაივიწყოს საკუთარი უძლურებანი;
დაღლილი თვალი თრთის მზის ალზე და ჩიტთა სტვენა
ყურს ვერ დაიპყრობს, გულს უცხო ხმად ეხამუშება,
შენ გიხმობ შეველად, ერთადერთო უფალო ჩემო,
შენი უსაზღვრო, მიუწვდომი ღმობიერებით.
რალად ღირს ქვეყნად გამარჯვება, დიდება, დაფნა
და ან ნადავლი მეომრის და მონადირისა?!
ნაზი მიჯნურის რონინი და საამო ტანი,
მისი თმის, მისთა თვალთა ელვის მშვენიერება
შენს ძვირფას სისხლთან ფერმკრთალდება, უფალო ჩემო!
შენ, ჩვენი ჭირის მოზიარეს, განკაცდი რაც კი
და ადამის ძის შეიძინე ჩვეულებანი –
შეიცნე შიში, ჩვენი ცოდვის გამო მოგვრილი,
და სიკვდილითაც შეიმოსე, ღმერთო ძლიერო!

ხარ აუხსნელი, ისეთივე, მოგველის რაიც,
ხარ საშინელი, მომავალი გვიქადის რასაც,
ძრწოლა, რომელსაც ვერ ავცდებით, და სიკვდილი ხარ,
ხვალ უსათუოდ მოგვაკვდინებს რომელიც ყველას.
შემოგვახვეი ჯვარნაცვამი ხელები, მხსნელო,
და ზიარება მოგვანიჭე იმავე ხელებით.
რა უბადრუკი, უსასოა ადამიანი,
ვისაც არასდროს შეუგრძენია შენებრი ღმერთი,
ღმერთი, რომელსაც მოკლავდნენ და არ მოკვდებოდა.
შენ არ გეცხოვრა, რა ეთქმოდა სიცოცხლეს ჩვენსას,
ცად რაღა გვეცნო, არ შეგელო რომ მისი კარი,
რანი ვართ ქვეყნად, თუ ზესკენელში არ აღგვამაღლებ!
ჩვენ, ჩასახულნი ცოდვის ძალით, შობილნი კვნესით,
მწემოკლებულნი, ცრემლდინარნი და საბრალონი,
ვიდრე ოთხფეხთა უუნარო ნაშიერია.
ვართ ფერბნელი და სახიფათო ძაფის გორგალი
და – აღმომჩენნი მანკიერი ქვეყნიერების.
შენ კი მტვრისაგან აღგვამაღლებ წამისად, მწეო,
და შენი სისხლით კვლავ განგვიწმენდ სულის სამოსელს.
ნუთუ, ვერავინ ვერ იპოვე უფრო ღიადი,
რომ ჩვენს მაგიერ, ღმერთო, იმას მიმსგავსებოდი?
რად არ გვარიდებ შენს წყალობას, რად მიუტევებ
და ცოდვილს ზრახვის მიუბოძებ თავისუფლებას?
როცა ღვთისმოსავს დაამცირებს ავი მკრეხელი
და დედამიწას მათი მოდგმა ეპატრონება,
რად არ დათქერავს მრისხანების რაშები შენი
ამ ბილწ სამყაროს - უფლის სახლის გაპამპულებას?
თუ შენ შექმენი ყველა არსი, მთმენი ცოდვისთვის

და ადამის ძე მხოლოდ თავის ანაბარაა,
კაცი - ღვთისაგან, ბუნებისგან დაბუდდა მხეცი,
და ჩვენში ახლა ცხოველური უფრო მძვინვარებს.
თუ ვერ დაიხსნი შენს მიერვე შობილ ქმნილებებს,
მაშინ რად არ გსურს, ყოველივე ფერფლად აქციო?
განა, შენს მიერ არ გამყარდა ხილული არსი
და სხვა ათასი შენვე მოსრე, ღმერთო, სამყარო?
იმათ ნანგრევთა შემოსუნთქვა ძილს არ გვანებებს
და მათი მტვერი მკერდზე ჩქერად ჩაკვედინება
და მტვერში ვხედავთ ჩვენივ სისხლის ვიწრო ხვეულებს.
რად აბატონებ საცოდავს და საძულველს ქვეყნად,
ხომ გამოგვცადე საოცარი ძალის დათმენით!
რა სხვაგვარი ხარ, ო, მას მერე, მძლეო უფალო,
რაც ქვეყნად ჩვენი მგავსი არსით იმოსებოდი,
რა სხვაგვარნი ვართ ჩვენ, მოკვდავნი, მას მერე, ღმერთო,
ხოლო მკაცრი და შესაზარი გახდა სამყარო!
უნდა გვჯეროდეს, რომ გავნეს და აღსრული ჩვენთვის,
რახან ეს საქმე უსუსური სისულელეა,
ჭეშმარიტია აღდგომა და ცად ასვლა შენი,
რახან ეს საქმე საქმნელია შეუძლებელი.
იყავი კაცი, ანუ სოფლად ახლა აღარ ხარ,
გეწოდა ღმერთი, არც აროდეს ყოფილხარ ანუ,
და მაინც შეგთხოვთ შეწყალებას, უფალო ჩვენო,
ჩვენ ხომ არავინ დაგვრჩენია ქვეყნად შენს მეტი,
და - არაფერი, გარდა შენგან შეწყალებისა.
რა ვიქნებოდით, თუ შენ აღარ შეგვიბრალებდი,
შენ არ გეცხოვრა, რა ეთქმოდა სიცოცხლეს ჩვენსას,
ცად რაღა გვეცნო, არ შეგელო რომ მისი კარი,

რა იქნებოდი, ჩვენთვის თავი არ გაგეწირა?
ისეთი უცხო, სავალ გზაზე როგორიც გველის,
და - საშინელი, სამომავლოდ რომ გვემუქრება,
ძრწოლა, რომელსაც ვერ ავცდებით და ის სიკვდილი,
ხვალ უსათუოდ მოგვაკვდინებს რომელიც ყველას.

პირველი ოლიმპიური ჰიმნი

პიზავ, დიდებით შემოსილო,
და დამწნველო გვირგვინებისა,
შემკვრელო ყვავილთ დიადემების,
ტირიფის ტოტებისაგან
აღმმართველო ვერცხლისფერი იალქნებისა;
შენ, სხივოსანო ბრძოლის ველო,
ზაფხულის საფირონის ალში მიმომცურველო,
ოქროს მტკერი რომ გეყრება გულზე;
არენავ, სპილოს ძვლის ფილებით მიმოფენილო,
შენ, ტახტრევანო ღმერთებისა,
შენვე, სარკვე გაუბზარველო,
ოლიმპია, იდუმალებით აღსავსე ვარდო
გამარჯვებების!

შენ ხომ ჰერაკლემ
დაგაარსა, ალკმენეს და ზევსის ნაშობმა,
თვინიერმა და უწყინარმა, ის იყო, როგორც ჭექა-ქუხილი
მატყლის ღრუბლებში გახვეული,
ის მდედრს ჩრდილივით დაეფარა
ამფიტრიონის სარეცელზე,
ტირინტელის სახლის თაღებქვეშ, იგი ხომ
მისი მფარველობით მოვიდა თებეს,
თან მოიყვანა პატარძალი, ვინც თვალებს
ხრიდა (როგორც ამბობდნენ, იმისი ბედი
ხელთ ეპყრა კრეონს), ვინც შორს
გასწია და გაშალა სალაშქრო დროშა,
პტერელაოსის წინააღმდეგ იშიშვლა ხმალი.
კომაითოს, იმის ქალიშვილს,

რომელიც ასტიდამეას ძის
სიყვარულს დაებრძავებინა,
ჯერ კიდევ არ მოეკვეცა ოქროს კულული, იმ თმებში ხომ
უკვდავება სახლობდა მისი,
და მერე იყო:

ჩათვლემილ სახლში კიდევ ღმერთი,
რომელიდაც სხვა ღმერთთან ერთად,
მერცხლის ფრთისებრი ფეხოსანი,
ის, მიკენელ ქალთან მივიდა,
ქალი კი მას არ მიიკარებდა, სანამ
ძმების სისხლს არ აიღებდა!

თითქოს გაისმა

სიბნელეში სტვენა. მერე კი
იქ ვიღაცამ დაიჩურჩულა. ხოლო მერე მისი საწოლის
ჩარდახი უმაღლ გადაიხსნა ვარსკვლავიან ღამის წიაღში.
და იქ იდგა ორი ღანდი: ერთი,
მომცრო, ჰერმეს კილენელის, და მეორე, უფრო მაღალი,
როგორც მირაჟი, ამფიტრიონის
მოჩვენება. და მან წარმოთქვა:

“გიხაროდეს, საყვარელო!

შენ მიკენელ ქალწულთა შორის

ბედით ვერავინ შეგედრება.

ნაზღვევია სუყველაფერი. პერსევსის მოდგმას მშვიდი ძილი

დაუფლებია.

წყევლას აგისხნი. ეს ხომ მე ვარ. მკვდარი არის პტერელაოსი!“

და დაიხარა, მოციმციმე მავანი როგორც,

ვისაც ტანთ მოსავს სამკაული ან ვარსკვლავები,

და ეამბორა მას. ჰერმესი კი

გაუჩინარდა, როგორც სიზმარი, ასტარტესი

დაეშვა ციდან, და ამ წუთში, ამ სიბნელეში

ჩაისახა ჰერაკლე. ხოლო შემდეგ,

ამფიტრიონი როცა მოვიდა,
მათ არ იცოდნენ, რომ ის კაცი სხვა კაცი იყო,
და რომ ის ქალიც სხვა ქალი იყო,
ორისგან ორ ვაჟს რომ ატარებდა,
პორფირისაგან შობილ იფიკლოსს,
ოქროსკულულას,
და მეორეს, ჭექა-ქუხილის ღმერთის ნაშიერს.

და რადგან მისგან წარმოიშვა
ოქროს გვირგვინის დამდგმელი და გამარჯვებათა
დიადი დედა, ოლიმპია,
არავითარმა უკეთურობამ
მის ზღურბლს არ უნდა გადააბიჯოს.
მაგრამ, ზოგნი,
როგორც ამბობენ,
იმ უწმინდესი სახლების მკვიდრნი,
იფიდემია სადაც იწვა პოსეიდონთან,
ან ტირო, ენიფეუსთან რომ
აქაფებულ სილაში იწვა და მეწამული ტალღა
ადგა ორივეს თავზე, თითქოს
ვარდებით დახუნძლული,
და გედებისგან
იშვნენ ისინი,
და - მცურავი ხარებისაგან,
და - ოქროცურვილ წვიმებისაგან,
და - ჩრდილო ხალხთა ღმერთებისაგან,
მარტორქის რქის მახვილებით,
და - აზიის სულებისაგან, კუს ჯავშნიანი
და - ჩრდილოეთის ირმის რქებით, და,
გვიამბობენ, ზეციური დიდი ხანია
– რარიგ საძნელოც უნდა იყოს

მათთვის ჩვენი ჰაერის სუნთქვა –
მშვიდად ღვანან მოკვდავებთან
ერთად ღვანან და მეტოქეობენ
ხუთჭიდში და ოთხცხენოსნებში
და ბევრ სხვა ასპარეზობაში
ალფეუსის ნაპირებზე,
თითქოს ყველანი გაათანაბრა
მირონმა
და ამბროზიულმა,
რაც იმთავითვე
იმათ მიწიერ
მხრებზე ბრწყინავდა.

რამეთუ ღმერთებისგანვე
მოდის, რამეთუ ღმერთებისკენვე მიდის
ყოველივე, ზეციური კი
დედებს უშრომლად როდი ეძლევათ,
და ასულთაგან
ის არავის უტარებია, გარდა ერთისა.
ხოლო შენ, გასხვიოსნებულო,
ოლიმპიავ, ყური დამიგდე!
თქვენც მისმინეთ,
საბრძოლო ეტლებზე ამხედრებულნი,
მორკინალნი და
მორბენალნი,
აბჯროსანო მხედრებო და
ფალაგნებო და ცხენოსნებო,
ხეშმეფაფრიან რაშებზე ამხედრებულებო!
თქვენც ისმინეთ, წმინდა ბორცვებო,
გარეშემო კუნძულებო,
ელის, არგოლის,

შენ, კორინთო, მოოქროვილო,
კადმოს ქალაქო,
შენც, შვიდკარიბჭიანო თებევ,
ო, სირაკუზა, დიდო ქალაქო,
თქვენც ისმინეთ, აქაველნო და
გოთებო და სკვითებო და
დისკოსებრო რომო, ისმინე,
შენც, გერმანიავ,
შენც, ეგვიპტევი,
მავრიტანიავ,
ბიზანტიავ და აფრიკის ხალხნო,
და თქვენც, ორივე ინდოეთო,
ისმინე, სრულად დედამიწაო:

ყველა ღმერთის
ერთადერთი საზომია ადამიანი,
და მიწიერნიც
არ მოდიან ციდან არასდროს,
არამედ ოდენ მოკვდავთაგან წარმოსდგება
ყველა დიდი ადამიანი.

იქნებ, ყოველი,
რაიც უკვე გარდასულია,
ვინც არ წასულა,
ისევ ბრუნდება,
ბრუნდებიან არყოფილნიც, რომლებიც ოდენ
ახლა მოდიან, ანუ - ღმერთები.
მარადიული მხოლოდ ის არის,
რაიც აღსდგება,
რამეთუ უკვე ჭეშმარიტი არაფერია,
და ნამდვილი ის არის ოდენ,

რაც ერთხელ უკვე გარდასულა,
და რაც ამის მერე იქნება!

ასეა ნაწინასწარმეტყველები!
ღმერთები კაცთა ძეებისგან
წარმოსდგებიან,
რათა რბილი კვერთხით
მართონ ჩვენი სამყარო,
ბოროტება ალაგმონ და
მოწყალება გამოიჩინონ!
იმათ ფეხქვეშ
აყვავდება უდაბნოები,
და, სადაც იყო ეკალნარი,
იქ ვარდები
აღმოცენდება!

მაშ, წამოდექით! აღიკაზმეთ,
და თქვენც იმათ დაემსგავსეთ!
ნიკეს ფრთებმა
უკვე დაგჩრდილეს,
გუნდრუკი მოაფრქვიეთ
ოლიმპოს!
კვიცებს ფაფარში ჩააწანით
წყურვილი და მოლოდინი გამარჯვებისა,
ღიღებთმოსილ შარავზეზე
აადინეთ მტვერის ღრუბელი!
მოკვდავთა შუბლებს
ეცხოს მირონი,
ისინი ხომ ღმერთებს მოჰგვანან,
უბრძოლიათ იმათ ღმერთებთან!
მაგრამ თქვენ კი, დანარჩენებო,

ტრიუმფით შედით თქვენს ქალაქებში,
ალიკაზმეთ გვირგვინებით და
დიადემებით,
ქოროებო, ქსოვდეთ ჰიმნებში
ალმასის სტრიქონთ,
ოქროს ალვირი
ამოსდეთ რაშებს
გამარჯვებულთა დაბრუნების
აღსანიშნავად!

მეორე ოლიმპიური ჰიმნი

ოგინედის ბიჭის,
ალკიმედონის
გაბრწყინებულ აჩრდილს
მოვუხმობ;
ის ხომ ღმერთის
შვილიშვილია; მოვუხმობ თერონს,
ეტლის მზიდავს,
პოლინიეკეს,
ცხელ ძარღვებში სისხლი რომ უღულს;
პსაუმის მაცდურ მირაჟს მოვუხმობ,
აგეზიას და აფარმოსტოსის
აჩრდილებს ვუხმობ,
გმირებს, დიდებით შემოსილებს,
აგესიადამოს ლორკელს ვუხმობ,
დასავლეთის ქარის ქედზე მდგარს,
და თქვენ მოგიხმობთ,
თქვენ, ნემეას გვირგვინოსანო,
დელფოსის და ისთმოსის მკვიდრო!

გარდაცვლილთა ხეობების
მწუხარედ მთროლოავ,
ჩამოსაცვენად გამზადებულ ფოთოლთა ქვეშ შეაბიჯეთ,
მუხლამდე შედით, შედით მკერდამდე
ვერცხლით ნაფერ მდელოთა
ბინდში, ვით
გარეული ფრინველების
უხმო გუნდები
(ყოველ მაღლა ახედვაზე

ცას რომ უფრო უახლოვდებით), ო, დაბრუნდით
კვლავ უნუგეშო
მდინარეებით, წვიმის ტირილით,
გამოსცურეთ ლელქაშში და
აჰყევით მერე ორჯოლ ქარებს
დედამიწის უფსკრულებისკენ,
თვალი უსწორეთ ჩვენი დროის
თვალისმომჭრელ შუქს და შეხედეთ,
შეხედეთ ოლიმპს!

ერთმანეთს აღარ ერკინებიან
დღეს მსოფლიოს დიდგვაროვნები, კვიპროსელი თავადები,
როდოსელი მხედრები და აქაველი გრაფებიც აღარ, -
სახეები რომ დაუფარავთ რკინის ნიღბებით, რაშები უნაგირიანი,
აღარ დგანან ერთმანეთის პირისპირ უკვე
მარტორქის ღერბით დამშვენებული სიცილიელი დიდებულები;
არც ინგლისელი ბატონები ოქროსფერი ქვედაკაბებით,
არც გერმანელთა მხედრები დგანან, მუზარადებზე
ცაცხვის ფოთლები რომ ეხატათ, ფარებს აღარ ეყრდნობიან
საფრანგეთის მეფეები
ქარით გალუნულ
შროშანებით დამშვენებულებს.

არამედ ჩვენი ქალაქების
დასალიერზე ქარს აყოლილი მტვერით ადის
მალლა-მალლა ტრიალ-ტრიალით, და
სირბილს იწყებს, სიღარიბის კვარტალებში
(რადგან ქვეყნად ასეთებიც მოიპოვება)
თავს ყმაწვილკაცად შეიგრძნობს და დასალიერზე
მუშტი-კრივში იმართება ასპარეზობა. თუმც, გაჭირვება
და სიღარიბე უფრო ძველი სულაც არ არის,

ვიდრე ბევრი სხვა ამ ქვეყანაზე...
ეს რას გიშველით, უსახელონო,
ათჯიღში და შუბის ტყორცნაში?
რაში გარგიათ მთელი თქვენი გამარჯვებანი?
საბოლოოდ ხომ არაფერი არ დარჩება, გარდა იმისა,
რომ ვინმე ერთმა მორბენალმა
სხვებზე უფრო სწრაფად ირბინა?! თუ მამა უფრო სწრაფი იყო,
შვილიც უფრო სწრაფი იქნება?
გეკითხებით, შორს რომ გადახტით,
ეს რომელიმეს თუ გამოგადგათ?
რომელმა მოდგამ ისახელა თქვენით თავი,
ან რომელი ერი გახდა უკეთესი
მაშინ თქვენი გამარჯვებებით?
ბრბოდან გამოსულთ
ისევ ბრბოში დაგაბრუნებენ!

რადგან თქვენ თქვენს დროს
თქვენი ძალის მიხედვით საზღვრავთ,
ზომავთ თქვენივე საათებით
დროსაც, სირბილსაც,
ისე იქცევით, როგორც თქვენ გინდათ! გამარჯვებათა
ღვთიურ დროს კი სხვა საზომი აქვს.

რადგან თქვენს სივრცეს
თქვენს გარშემო ისევ თვითონ მოაგუმბათებთ,
გაზომეთ ტყორცნის სიშორეები,
გადაზომეთ ის მანძილი, მიზნამდე რომ ღევს!
ხოლო ღვთიურ სიშორეებს,
ოღესლაც რომ ახლოს იყო, ვეღარ გაზომავთ!

აბა, შეხედეთ თქვენს სამყაროს,

რა იყო და რას დაამსგავსეთ,
ნუთუ, ის მართლა თქვენი არ არის? ხილული და უხილავი
კოსმოსის და ვარსკვლავის ჩათვლით
ის ღვთიური აღარ არის, ის უკვე კაცის ნახელავია,
ის თქვენია და მაინც თქვენთვის
ის ყველაფერზე უფრო უცხოა, ასე შორი
არასოდეს არ ყოფილა ქმნილება თვითონ შემოქმედისთვის.
მამებს და შვილებს ასეთი მტრობით
ერთურთისთვის არ შეუხედავთ,
და ცხოველებსაც ასე უაზროდ
არ შეუხედავთ თავ-თავისი ნაშიერისთვის.
დიდი ხანია თქვენ საკუთარ სამყოფელში აღარ ბინადრობთ,
დიდი ხანია უკვე, რაც გძინავთ, გძინავთ დრო-ჟამის ხილების
ქვეშე.
დიდი ხანია, რაც ისწავლეთ თქვენი შიშის გადავიწყება (რადგან
იმ შიშს ველარ უძლებდით)

და აღარაფრის გეშინიათ,
არც სიკვდილის, აღარც სიცოცხლის. მომაკვდინებელ ცოდვებს
ვერ ხედავთ, ველარ ხედავთ ჭეშმარიტებას,
მხოლოდ ერთადერთ სინამდვილეს ჩასცქერთ თვალებში.

თქვენ მოტყუვდით გამარჯვებებით!
ნეტავ, კვლავ იდგეს გზის ბოლოში
გაბრწყინებული ალკეოსი, ძე უკვდავი ანთეოსისა, ისე, ვით მაშინ,
როცა ალექსიდაძმოსი
სულ პირველი მივიდა მასთან.
ან დანაელი ქალიშვილები!
ნეტავ, ხედავდეთ,
ეს რომ თქვენა ხართ!

თქვენა ხართ, რადგან

ეს სამყარო მარად არსებობს და ის მარად მებრძოლთ უცქერის.
ის, დაღუპული, გაუგონარი. ის ისევ არის,
ის დაიღუპა.
და თქვენც ისევ ხართ, განა მართლა აღარ ხართ უკვე.
განა მართლა აღარ იქნებით...

არა, სამყარო ნამდვილად არ დასრულებულა,
ის, რაც დასრულდა, ისევ ისე
ყოფნას აგრძელებს. და რაც გრძელდება,
ისიც მთავრდება, და თქვენეული აღსასრული
ქვეყნიერების აღსასრულია.

გოტფრიდ ბენისაღმი

„ცხვრებს გამოვჭერი ყელი,
სისხლით ავავესე ორმო,
აქ თავს იყრიდა მერე
სასტიკ აჩრდილთა ქორო - ;
ხმლის და მომხდარის ამბავს
წვრილად ჰყვებოდნენ, სუამდნენ,
გედთან, კუროსთან შერწყმულ
ქალთა ქვითინიც ვნახე“.

რომ გაჰყოლოდი შენც იმ სავალს, რომელიც ერთ ღროს
იმან, ტანჯულმა, გაიარა ღამის კიდემდე;
და მიგელწიათ შენ და ყველა შენს თანამგზავრსაც
თქვენი ხომალდით ნაპირამდე, ალვით, თხმელით და
ტირიფებით რომ დაფარულა; და თქვენ გეზილათ -
ისეთი წყნარი ნიავია და ზღვა უძრავი -
იქ სველ ქვიშაში ოდისევსის ძველი ხომალდის
ჩონჩხის კვალი და გაგეთხარა (თუ ვერ ჰპოვებდი
ორმოს, რომელიც მან გათხარა) ახალი ორმო
შენ ღრმად მიწაში, ოთხკუთხა და არშინის სიგრძის,
და შიგ ჩაგესხა სისხლი, როგორც იმან ჩაასხა,
სისხლი ორი ცხვრის, არა, სისხლი ორი ომიდან
დატოვებული დაჭრილების, სახინრების და
დახოცილების გულის სისხლი, და - ყველა ცრემლი,
სამყარომ მათვის რომ დაღვარა; რომ მოსულიყო
ერებოსიდან ყველა სული, აწგარდასული
ხატნი ქალთა და მამაკაცთა, ყმაწვილების და
ჯერაც საბურველმოუხდელი პატარძლებისა;
ბავშვებისა და მეფეების, ქურუმებისა,
მონებისა და მეომრების, ხანმოთეული

ჭაღაროსნების და, აგრეთვე, წინასწარმეტყველ
ადამიანთა აჩრდილების, რომლებიც ერთ დროს,
ჯერაც ცოცხლები, ხალხს შიშს ჰგვიდნენ, როგორც ნამდვილი
მოჩვენებები; და ურიცხვი ხალხის ნაკადი
თავმოყრილიყო ამ ორმოსთან მთელი თავისი
ბრწყინვალეობით და მორთულობით, სამკვდრო გვირგვინით
თავშებურული, ვინ აბჯრით და ვინ სხვა სამოსით
დამშვენებული, და ამ სისხლს და ამ ცრემლების ტბას
დაწაფებული ხალხისთვის რომ რამე გეკითხა,
დამუნჯდებოდა უმაღლ ყველა, როგორც მუნჯდება
ნებისმიერი, დაკითხული შენს მიერ; უმაღლ
ზურგს შეგაქცევდნენ ეტლები და მხედარიც ყველა
ზურგს გიჩვენებდა; ბნელ ღამეში შებრუნდებოდა
ყველა მათგანი, შებურული მსვლელობა კაცთა
და - კურობთან და გედებთან შეუღლებული,
მოქვითინე და მოვაგლახე, ქალების რივი.

ჯაკობო ლეოპარდისადმი

„და როცა ეს სასურველი სიკვდილი ჩამთან ახლოს იქნება და ამით მოახლოვდება ჩემი უბედურების დასასრული, როცა მიწა ჩემთვის უცხო ველად გადაიქცევა და ჩემი თვალთახედვიდან გაქრება მერმისი...“

შენ განადიდებ იმ ბედნიერ დღეს, ამ ქვეყნიდან შორს რომ წაგიყვანს, გაგარიდებს მოკვდავთა სადგომს; დედამიწას რომ მოგაჩვენებს, ვით უდაბურ ველს, ბინდში გახვეულს დაგანახებს მხარეს უფერულს, გაქვაგებულ და უშველებელ შემოგარეებს; შენ იცი ისიც, ანდა, ფიქრობ, რომ შენ ეს იცი, რომ ეს სამყარო როგორც ქრება შენი თვალიდან, მერმისიც ასე განქარდება... საიდან იცი, რომ აგიხდება, რაც იცი ან ფიქრობ, რომ იცი, კეთილშობილო ახალგაზრდა ოჯახისშვილო! შენ ლაპარაკობ, ვით მავანი, ვისაც არათუ ოჯახისშვილი არა ჰქვია, არამედ თავზე ჭერიც არა აქვს, არაფერი არ აბადია. მათთვის მძიმეა სინამდვილე და შიში ზაფრავთ ამ სინამდვილის ნაკლებობის. მათთვის სიკვდილიც არ ღირს იმად, რომ ჩაუფიქრდნენ მის საიდუმლოს. შენ კი დრო გქონდა საამისოდ და, თანაც, ჭარბად, და შენ გჯეროდა, რომ სიკვდილის ამოსაცნობად შენი სიკვდილიც გეყოფოდა. ახლა კი, როცა გარდაცვლილი ხარ რა ხანია, რა იცი? არც რა. ვერ შეიცნობენ გარდაცვლილნი ვერც საკუთარ თავს და ველარც - სიკვდილს. რადგან არის სიკვდილი მანამ, სანამ ჩვენ აქ ვართ. როცა ვკვდებით, ის აღარ არის.

ხოლო ის, რაც შენ იგულისხმე, უკვდავებაა.
მაგრამ უკვდავი პოეტია, ის შენ იყავი,
და უკვდავია ერთადერთი, რომელიც ქვეყნად
სიკვდილით ცხოვრობს. ხოლო იმათ, სხვა დანარჩენებს,
მხოლოდ სიკვდილით რომ კვდებიან, ძალა დროისა
შეაგროვებს და გადაფერთხავს, და ჯერაც ცოცხალთ,
სამყარო ისე დაივიწყებს, როგორც უცნობ მკვდართ.

ქრისტესადმი

ძლევამოსილო,
მოსულხარ ვინაც,
არა თვალუწვდენ, ბრინჯაოსფერ გზათაგან ცისა
და შორი ზღვების საიდუმლო უფსკრულებიდან,
არც დედამიწის წიაღიდან გვწვევიხარ სტუმრად
და არც მწვერვალთა სიმაღლიდან შემოიქეცი...
აღამიანის მოდგმისაგან იშვი, უფალო,
მაგრამ მე მაინც
დიდთა თანა გიმღერ ოსანას,
ტიტანებს გადრი
და შეუქმნელს შეუქმნელთაგან,
უბიწო ქალწულს,
წმიდა სამებას,
ცაგრეუსს და
თვით მძლე ჰერაკლეს, მე შენ გიწოდებ
უზვიადესს ღმერთთაგან, ღმერთო!
და სიტყვა შენი, გატყორცნილი საბრძოლ ლოდივით,
დაეწევა და უმაღლესად მისწვდება მიზანს.
და ელვის სხივს ჰგავს შენი ხელი,
ამ წუთისოფლის სამართალში ამოდ ელვარეს...

არ არსებობენ უკვდავები ამ ქვეყანაზე,
ჩვენს მსგავსთა გარდა. დიდი საქმენი
ქმნეს გმირებმა,
უფრორე – ღმერთთა,
უდიდესი კი
აღამის ძის ნახელავია.

კავკასია

ზეცა,

თითქოსდა, ისე მძიმეა,

გოლიათებს თუ შეუძლიათ მისი ტარება.

მას დასავლეთში შესდგომია მხრებით ატლასი,

აღმოსავლეთში კი - მისი ძმა,

ვისაც სკვიტები

კავკასიას უწოდებენ და აქ ისე მაღლა ატყორცნილან

რქები მთებისა, რომ ზაფხულობით

მათი ჩრდილები

აღწევენ ფრენით სანმატიენში

და თანაისსაც გადასწვდებიან.

ხოლო ზამთრობით განფენილია

ჰიპერბორების მთიანეთამდე.

აქ ჩამავალი

მზის სხივები

ელავენ ღამის მესამედამდე,

ხოლო სხივები მზის,

ჯერ კიდევ არამოსულის,

ასხივოსნებენ მთის მესამედს,

და რადგან ეს მთა თეთრი ქვებისგან

არის შემდგარი, ის, ვით მთვარე,

გზებს უნათებს ადამიანებს.

აქ, ერთმანეთში ჩახლართულ და პირქუშ კლდეებში,

ყოვლისშემძლე ღმერთმა ტიტანი,

როგორც ღრუბლები, ისე შემალა.

ციდან აპურებს და ანაყრებს

მას აარი, ვინც,

თევზებზე მეოცნებეს მიმსგავსებული,
სარაგოსის შორი ზღვებიდან,
ოპირიდან და
ბერნშტაინის ნაპირებიდან;
ჰებრიდებიდან, სადაც მოქცევა
ცახცახებს დღისით და ბორგავს ღამით,
თვით ყველაზე შორი ტულებად
გროვდება ერთად
და ჰერკულესის სვეტებს შორის,
ბოსბორის გავლით
მოცურავენ და სიღრმეებიდან
მისტირიან იმავე ბოსფორს
ქათქათა ოკეანიდები,
და მის ღელვას მღელვარებით თანაუგრძნობენ.

გაყოფილია, სახელდობრ, ორად,
ნახევრად ღვთიურ
და უმაღლეს ნებათა შორის,
იღუმალება
მსოფლიოზე ბატონობისა.
არც ზეცა და არც
ადამიანთა
კეთილშობილი ქვა
იმას არ ფლობს. ზოლო
მძარცველებს ცეცხლოვანი რეგიონისა,
თავად ღმერთები
ელვის სხივებით
გადააქცევენ ნანადირევად,
რათა ცოდვისთვის
დაიტანჯოს კლდეთა ლოდებზე.
მას თანაუგრძნობს ყველა ზღვა და ყველა სმელეთი,

die Schluchten und Triften all
mit tausend Augen der Blumen,
wo die Bienen summen und der Vogelsang
tönt, widerhallen die Klage.

თანაუგრძნობენ ტყის ნაპირები,
ყურეები და ყვავილების ათასი თვალი,
სადაც ფუტკრები მიძობზუიან, ხოლო ჩიტების ამო ჭიკჭიკი
ექოებად ეფინება არე-მიდამოს.

გერმანეთი

რომ ეკმოდეს მხოლოდ საფლავთ გუნდრუკის კვამლი,
ამოდიოდეს მარტოოდენ აკლდამებიდან,
მხოლოდ სანეშტე ლარნაკებს რომ დასტრიალებდეს,*
და - საკურთხეველს, თავის თავში დამტეველს მკვდართა –
გმირის გახრწნილი ნემტისა და რჩეულთა მტვრისა –,
რომ ასდიოდეს ცეცხლის ალი! რომ ინთებოდეს
მხოლოდ იქ, სადაც მსხვერპლშეწირვა აღსრულდებოდა!
ო, გერმანეთო, დიდებულო საკურთხეველო,
მოსრულ ლაშქართა აკლდამაო და მონუმენტო
იავარქმნილი ქალაქების, დამუნჯებულო
ქვეყანავ მკვდართა, გიგანტურო ქვის სარკოფაგო!*

თუძც, დუძდა მწყემსი უძაღლესი და მარჯვენათი
ტახტს მიჰყრდნობოდა, კაცსა და ლომს, ხარსა და არწივს
რომელიც ეპყრა, მარცხენა კი ქარტეხილებით
აზვირთებუღი სამხრეთისკენ გაეწვდინა და
ბრინჯაოს ბაგე ჩაერაზა სიტყვათა რისხვის
და წყევლა-კრულვის უძძიმესი ტვირთის წინაშე,
შენ მაინც მოგხვდა არნატყორცი სხივი, ვიდრემდე
რომის გრგვინვა და მეხტატეხა აჟღერდებოდა:
წყეუღიმც იყოს იმპერია, რომელიც ერთ დროს
იყო მსოფლიო! ბრწყინვალება დიად არწივთა
უბირ დაცინვად შემოიქცეს, ხოლო მეფეთა
ძალაუფლება გადაიქცეს ბრბოს მრისხანებად!
იქცეს ქვეყანა სამყოფელად ველურ მხედართა
და მოძთაბარე ურიცხვ ტომთა! ყველა ნათელი
ერთბაშად ჩაქრეს! წაიბიღწოს, რაც იყო წმინდა!
წესის აგება არ ეღირსოთ მიცვალებულებს,*

არ გადაიქცეს ღმერთი წმინდა ღვინოდ და პურად!
ყველა ნაყოფი დედისავე საშოში ჩაღპეს,
ჩაღპეს ნაყოფი ცხოველთა და მინდვრის საშოშიც
ჩაღპეს ყოველი ჩანასახი, ირგვლივ ყველა ტყე
გახმეს...

პირველმა იმპერიამ* თავად გაფლანგა
თავისი თავი. და მეორეც* დაეცა, რადგან
თავისი თავი დაივიწყა. მერე მესამემ
სინარბით ყელი გამოიჭრა, ის ძალადობდა,
იტაცებდა და ცრუობდა და სხვას აბრალებდა
ყველაფერს, რასაც სჩადიოდა; ნადავლს ძალავდა,
საჭმელ-სასმელსაც აყალებდა, სისხლსაც, პატივსაც,
გვარიშვილობას, დიდებას და თავად სიკვდილსაც.
ის მართებულად აცხადებდა ყველაფერს, რასაც
შენ იწონებდი, თუნდ ყველაზე დამამცირებელს,
ყველაზე ბინძურს და საზიზღარს. რაც არ მოგწონდა,
რომც ყოფილიყო მაღალი და კეთილშობილი,
წარმოადგენდა დანაშაულს. სიყალბის მეტი
შენს დიდებულებს არაფერი ჩაუდენიათ;
შენს მხედართმთავრებს ეს შეეძლოთ მხოლოდ და მხოლოდ:
მოემოქმედათ, რაც ღირსებას დაამცირებდა;
შენს გმირებს მხოლოდ ეს შეეძლოთ: მკვლევლობა. შენ კი
ასე გგონია, მე მძლიაო ჩემზე ძლიერმა.
არავინ იყო შენზე მეტად ძლევაძმოსილი!
შენივ გლახაკნი ზეიმობენ შენს დამარცხებას.
არ არსებულა ქვეყნად დღემდე ისეთი გლახა,
ვის გვამსაც მასზე უბადრუკი ვერ გაძარცვავდა.
ბრბოდ გადაქცეულ ხალხს აფურთხებს სახეში ეს ბრბო.

ვინ გადაგარჩენს, თუ სამყარო ფუჭად გახარჯვი,

მთელი სამყარო?! ის შუაგული სად არის ახლა,
დედამიწის წრე გარს რომ ეკრა? რომელი კრძალვა,
რომელი რიდი შეაკავებს სიმყიფეს, ყვირილს,
ცუდმედიდობას ხალხებისა? ის – არა, ქვეყნებს
შენს ირგვლივ მუსრი რომ გაავლე, მოაზროვნენი
შენი ხმაურით დააბნიე, მოგრიხე ჯვარი,
რომელზეც ღმერთი გაკრულიყო წმინდა არწივის
გადაშლილ ფრთებზე*, თვით დროშებიც, შენი დროშები,
წაბილწე, შენვე გადარეცხე შენი ღიღება;
ის – არა, რომ შენ აღარა ხარ, არამედ – ის, რომ
შენივე თავი და რაც შენთვის ძვირფასი იყო,
გაყიდე! შენი უმაღლესი მისია, შენი
ეს იმპერია დააქციე, რაც დალუპვაზე
უფრო მეტია, ყველა საზარ ხვედრზე მეტია.

არ დაცემულა ისე ტროაც, როგორც შენ – ორჯერ!*

არ ავარდნილა ხანძრის კვამლი პერგამოსიდან
ისე ძლიერად, როგორც – შენი სამფლობელოდან;
არ ჩაძირულა თვით ფარისიც, დაიფობოსიც*
იმსისქე ფერფლში, როგორშიც – შენ, ამდენი ცხედრით!
არ შეიქმნება არა ჰიმნი შენს სადიდებლად!
როგორც დიდებულ შვილიშვილებს დარდანოსისას*,
ისე არავინ მოიგონებს შენს ბინძურ სახელს;
შენ უკვდავებას მოგანიჭებს მხოლოდ სირცხვილი,
მხოლოდ ცრემლი და წყველა-კრულვა შთამომავალთა.
თვით ბაბილონსაც*, ნანგრევებში, მტკვერში დაძირულს,
ისეთი ბედი არ რგებია, შენ რომ გერგება,
შენ, უდაბნოდ და ქვიშად ქცეულს*... არც ბაბილონში,
არც ილიონში ტყე არ ხარობს! შენთვის კი ვნატრობ
უსიერ ტვერებს, რომ დაფაროს შენი სირცხვილი!

წმინდა ბინდ-ბუნდო ოდინდელი! მაღალი ძრწოლაჲ!
ერთ დროს ქროლავ და მიმოხედვავ ხშირ ფოთლოვანთა,
მოშარიშურე წინათგრძნობავ კენწეროებში!
მირაკრაკებდა წყალი კლდოვან ხევებში, იქვე
მომწესხავ ხმათა ლივლივი და მზის ათინათთა
თამაში იყო საცნაური. ხოლო ამჟამად,
რაკილა თავად წააქციე კეთილშობილი
შენი სვეტები, გოდოლნი კი ძირს დაანარცხე,
შენს სახიარ და გამრუდებულ სახეს მყვირალა
შუქი ეცემა. წაქცეული ტიტანები კი
ქვეშ დაიტანენ, ჩამარხავენ ტანაყრილ ჩინართ;
ზათქით იმსხვრევა უდიადეს არსთა ლაშქარი,
უკანასკნელი სასოება, ბოლო იმედი,
ეს საკრალური გაზაფხული.

მსოფლიოს ტყეო!

ეს რა დამართე საკუთარ თავს! და რომ დამართე,
რატომ სულ ბოლოს! და თუ მაინც ბოლოს და ბოლოს,
რატომ დიდი ხნის წინათ არა*, ვიდრე ფრიდრიხთა
იმ გველეშაპის კბილებიდან ნათესი ამო-
იყვავილებდა, საზარელი! განა, ოდესღაც
შენ სულ სხვაგვარი არ იყავი? კი, მაგრამ როგორ!
განა, რით არ ხარ შენ იგივე? არ შეგიძლია
იყო იგივე და შენ მაინც ის ხარ, ვინც იყავ?
და შენი ძრწოლა არ ეცემა ორივ სამეფოს,
შენს წინ გადაშლილს? განა, ისე არ შეურაცხყოფს
იმ კეთილშობილ აჩრდილებს და არ ასამარებს
მსოფლიოს ნათელს ბნელ ღამეში? არ ამახინჯებს
და არ აყალბებს უსპეტაკეს ხსოვნას? ასეთი
არც ჰაინრიხი, არც მანფრედი, არც კონრადინი
არა ყოფილან.* ფრიდრიხებიც კი – არა!

ნეტავ,

იმ მეფეებმა* თუ იცოდნენ, რა ჩარგეს შენში,
რომლებიც ავად ეპყრობოდნენ, არად აგდებდნენ
ხალხს, მათ რომელიც ზეცისთვის და დედამიწისთვის
საშიშ, მაწინააღმდეგებელ ბრბოდ აქციეს; იმ მეფეებმა
თმა გადაპარსეს კეთილშობილთ, მათვე მოარგეს
კეთილშობილ მხრებს მდაბიოთა თავები მერე!
ერთ ბატონს ერგო სკიპტრა, თავად იყვნენ ეს ერთი.
და როცა ბოლოს მდაბიოთა შორის უარესს
გზა ხსნილი ჰქონდა, იმპერიაც მან იმეპყიდრა.

არავინ დარჩა შენში უკვე ისეთი, ვისაც,
ბოლოს და ბოლოს, ის ლაგამი, სხვებს რომ უღებდა,
თავისი ხელით თავის პირში არ ამოედოს;
ვინც მათრახსაც და დეზებსაც არ შეგუებოდეს.
არავინ დარჩა შენს მეომრებს შორის ისეთი,
ვისაც ის ჯოხი არ ენატროს სხვის გასაროზგად,
რომლითაც თავად მას როზგავდნენ ოდესღაც. მეტიც:
არ დარჩენილა შენში ერთი მხედართმთავარიც,
რომელსაც ერთხელ დადებული თავისი ფიცი
არ გაეტეხოს, წარმოთქვამდა როცა მეორეს.
არავინ დარჩა, ჩინ-მენდლები და ტკბილი სიტყვა
რომ არ შეეტკბოს, გარეწარმა როცა უბოძა.
მაგრამ ვინც უკვე აღარ არის თავისუფალი,
მას, ვით სიკვდილი, შიშის ზარს სცემს ის მბრძანებელი,
რომელსაც ადრე არასოდეს უბატონია.

და როს ლაშქარნი აიშალნენ, უდავო იყო:
უღელი, მათ რომ ქედზე ედგათ მრავალი წელი,
ერთობ დამძიმდა, ნავიც ერთობ გადახრილიყო;
მათი ხელებიც და მუხლებიც ცახცახს მოეცვა,

როცა შეუდგნენ მოქმედებას, ყოვლად ამაოს.

დანაშაული სხვებს არასდროს გადააბრალოთ!
არც ეს და არც სხვა რომელიმე დანაშაული!
როდესაც ხალხი ის არ არის, ვინც ერთ დროს იყო,
მაშინ არც თქვენ ხართ, ვინც იყავით; ხართ და აღარც ხართ
იმავედროულად, ვით ეს ხალხი, მყოფიც, არმყოფიც;
დიდებულთაგან ერთ-ერთმა რაც მოიმოქმედა,
თუ თქვენც იგივე ჩაიდინეთ, ჩაგიდენიათ
ის, რასაც სწადის ბოგანოთა შორის ბოგანო.
ნუ იტყვით: „არა, მე კი არა, ეს კაცი იყო!“
ნუ იტყვით: „არა, მე კი არა, ის ქალი იყო!“
თუ ცოდვა-ბრაღი ყველას გაწევთ, დაე, ატარეთ
ეს ბრაღი ერთად! თითოეულს უკვე ვერასდროს
ჩამოაცილებთ იმას, ყველას რაც შეხებია.
კერძოთა ბედი ამ მსოფლიოს აღარ აღელვებს.
როცა თქვენ გთვლიან, ნუ აჰყვებით გადამთვლელთ თვლაში;
როცა გწონიან, როდი ნიშნავს, რომ თქვენც წონიდეთ;
განგიკითხავენ? თქვენ არავის განიკითხავდეთ...
რას უწოდებენ დანაშაულს, ბოლოს და ბოლოს?!
რაკი თქვენს შორის ხმა ერთმაც კი არ აღიმადლა,
არ აუჯანყდა ყოვლისმომცველ ამ დანაშაულს,
თითოეული თქვენთაგანი დამნაშავეა!
მაშ, დაიდრიკეთ და ატარეთ თითოეულმა!
ტარება არ გსურთ? ამით ტვირთი არ მსუბუქდება,
მაინც მოუწევს თითოეულს მისი ტარება!
ვინც ამ ტვირთს ნებსით შეუდგება, აწევს მსუბუქად.

სად უმაღლესი ხე*, გრიგალი წმიდათაწმიდა,
ძღვევამოსილი ღრუბლეული, გასაოცარი,
ველურ ველთა და მდელითაკენ დაიდრიკება,

ამოიტირებს სადაც წყარო, უჩინარნი კი
ერთურთს ჩურჩულთ გაუგებრად ესიტყვებიან
და შეუცნობელ ბედისწერას ნისლებში ხვევენ,
იქ დიდხანს თქვენი ბედისწერაც იყო ფარული.
მისგან გაქცევა ნიშნავს მხოლოდ მის გამოხმობას;
და მის წინაშე ქედის მოხრა სიდიადეა,
ქედის მოხრაზე უარი კი – სიდიადეზე
უფრო დიადი საქციელი, რამეთუ, ალბათ,
ეს ნიშნავს სურვილს, ბედისწერის მოთოკვის სურვილს...
და ოდითგანვე ეს არ იყო თქვენი ოცნება?

არა? მაშ, რატომ ანაცვალეთ თქვენი მამულის
ურიცხვი წმინდა გაზაფხული სხვა ხალხთა ზამთრებს?
თავზარდამცემი ჯირითით და მჯილებიანი
მუზარადებით*, უამრავი გაშლილი დრომით
როგორ გაბედეთ გალაშქრება ჰუნების მხარეს,
ციებ-ცხელებით გაწამებულ ბიზანტიაზე,
ღვთის საფლავისკენ, მერე – რომზე, კვლავ და კვლავ რომზე,
მბრძანებლურადაც, მუდართაც, გამარჯვებითაც,
მუხლზე დგომითაც, კვიპროსისკენ, ეგვიპტის ხვატში,
მერე – ორივე ინლოეთის მხურვალეებაშიც,
სისხლიან თოვლთა ველ-მინდვრებზე, სადაც ხელს რკინა
ისე გიწვავდათ, როგორც ცეცხლი, წყალსა და ხმელეთს
მიმოფარავდით დაჭრილებით, დახოცილებით,
გაყინულებით! იმთავითვე არ დაიღუპეთ,
როცა განჭვრიტეთ ბედისწერა გარდაუვალი?!
თქვენ არ იყავით, რაკი ერთხელ მთელი სამყარო
ცეცხლის ენებმა უნდა ლოშნონ*, ცეცხლში რომ დაწვით
მთელი სამყარო? დასასრულის ცოდნა დიანაც
დასასრულია.

ხალხი, არა რათა ეცოცხლა,
არამედ – რათა მომკვდარიყო, უკვე ამისთვის
განწირულიყო! ამით ტრაბახს უნდა მოეშვათ!
ვინც მრუდედ ცხოვრობს, მრუდედ სიკვდილს ვერსად წაუვა.
თავი ნუ მოგაქვთ მორჩილებით, თქვენ ის ხალხი ხართ,
ვისაც არ ძალგიძთ, მორჩილებას უარი უთხრათ!
თავი ნუ მოგაქვთ და ნურასდროს ნუ წამოგცდებთ, –
გავიყინეთ და ვიშიშმილეთ, გავიხრწენითო!
თქვენს ხრწნას სათავე იქ დაელო, თქვენი საკვები
და ყველა განძი როცა იმათ გადაულოცეთ,
ვინც დაგიმონათ. თავს ნუ იქებთ, რამეთუ მონებს
არაფერი აქვთ სატრაბახო! თქვენს მონობას კი
ღრმა წარსული აქვს. თავს ნუ იქებთ! უბადრუკია,
ვინც სათნობად რაცხავს ასეთ უბედურებას.

ნამდვილ შიშშილს და მორჩილებას ახლა ისწავლით,
როცა არავინ იშიშმილებს იმის მიზეზით,
რომ თქვენ შიშშილობთ, და არავინ დამორჩილდება
იმის გამო, რომ თქვენ ისურვეთ მორჩილად ყოფნა.
ყოველთვის ჰქონდა შერეული თქვენს მსახურებას
ძალაუფლების წყურვილი და მოთხოვნილება,
თქვენს სიდუხჭირეს – ფუფუნება, თვითდამცირებას –
მედიდურობა. მსახურება უნდა ისწავლოთ
პირველ ყოვლისა, და ისწავლოთ თავის გაწირვა,
უამისოდაც რაკი თავი უკვე გაწირეთ.
ღიან, ამბობენ, თითქოს თქვენ ხართ თავისუფალი.
თავისუფალი, მაგრამ ვისგან? თქვენ მონები ხართ
თქვენივე თავის. თქვენ ეწევით თქვენსავე ჭაბანს
და – სიდიადეს, გადაქცეულს არარაობად,
იმას, რაც უკვე არაფრისთვის არის ვარგისი,
რასაც ჯიუტად არ იშორებთ, თან დაატარებთ,

რაც უსაშველო სიძიმია, იმ კაცის მსგავსად,
თავისი თავი თვითონვე რომ უნდა ატაროს,
რაკი მას ფეხქვეშ მიწა უკვე გამოცლილი აქვს.

ნუ გეგონებათ, კიდევ მოვა რაღაც მერმისი,
რომ რაღაც მსგავსი კიდევ ერთხელ განმეორდება,
ან – ასეთივე. მართალია, რაც ქვეყნად არის,
მოდის იმისგან, რაც ყოფილა, და რაც იქნება,
მოვა იმისგან, რაც ახლაა, და ყოველივე
ოდესმე ისევ დაბრუნდება. მაგრამ იგივე
როდი იქნება! ის იქნება ისე, როგორც თქვენ
ხართ და აღარც ხართ ამავე დროს ის, რაც იყავით;
ისიც, რაც მოვა, ის იქნება, რაც იყო, მაგრამ
იმავედროულად არ იქნება ის, რაც ყოფილა.
მაშ, რა იქნება ის, რაც მოვა? ის სხვა იქნება.
ვიდრე მზე ნათობს, აღმოხდება, მოეფინება
ადამიანთა ჭირთათმენას და მერე ჩადის,
ვიდრე საშო შობს და ვიდრემდე სამარე შთანთქავს,
იქნება სხვა და მერე ისევ იქნება სხვა და
ისევ და ისევ სულ სხვაგვარად იქნება.

არა

იმისთვის, რათა უსაშინლესს ასცდეთ, და არა
იმისთვის, რათა ითქვას ის, რაც აღარასოდეს
უნდა დაბრუნდეს და არც ძალუძს მას დაბრუნება,
რათა დაგიცვათ უარესზე უარესისგან,
სიგიჟის ახალ ტალღათაგან და სირცხვილისგან;
არა იმედთა წასართმევად და არც იმედთა
გასაღვიძებლად! ნუ დასტირით ძველ მიცვალებულს!
მიცვალებულებს იმ სიცოცხლის ფერუმარლით
ნუ ალამაზებთ, აღარ არის რომელიც უკვე!

სიკვდილის სამყოფს ნუ შემოსავთ ბრმა ელვარებით!
დაფნის გვირგვინით ნუ დაფარავთ! დამალულ დროშებს
ნუ დახრით! აკი, გამოსცადეთ ცრუ ბრწყინვალება!
შერჩეთ ღირსება მკვდრადყოფნისა თქვენს გარდაცვლილებს.

უსაშინლესიც რომ არ მოხდეს, მაინც მოხდება
იმაზე უფრო უარესი, ვიდრე ახლაა.
თქვენ თუ არ იცით, რა უნდა ქნათ, თქვენს ირგვლივ მყოფმა
ხალხებმა ეს ხომ კიდევ უფრო ნაკლებ იციან.
სამყარო, თქვენ რომ შეადრწუნეთ, მხარს არ დაგიჭერთ,
საკუთარ თავს ხომ – მით უმეტეს. მას მხოლოდ ახლა
ეხსნება ყველა ის ჭრილობა, თქვენ რომ აჩუქეთ;
სისხლმა, რომელიც თქვენ დაღვარეთ, მოგვიანებით
უნდა იხუვლოს და გადმოსკდეს; თქვენი მსხვერპლისგან
არ მოელოდეთ უფრო დიდ მსხვერპლს! ვინც თქვენ განგმირეთ,
მათ უნდა ექცეთ სარგოდ თქვენი უბედურება.
მაგრამ ვერავინ ამოიცნობს თქვენს დანაშაულს
და ვერ გაიგებს, რა ტანჯვა და წამება გერგოთ
მის დასათმენად, და ვერავინ ამოიკითხავს,
სინამდვილეში რას და რატომ გაუტანჯინხართ,
და ვერ ჩახვდება, კვლავაც როგორ გაიტანჯებით!
არის ისეთი საშინელი დანაშაული,
რომლის საზღვრებსაც ვერ მისწვდება მონანიება.
რას სჩადიოდით, თუ იცოდით – თქვენ კი იცოდით! –
უნდა გცოდნოდით მაშინ ესეც: არ შეიძლება,
რომ მოქმედება საბრალებო სკამზე აღმოჩნდეს.
თქვენ კი სწორედაც მოსამართლის წინაშე დგახართ,
ძირს გექაჩებათ, მიწისაკენ, სამართალი და
დანაშაული, რომლისთვისაც თავი გაწირეთ.
გაქრა სამივე იმპერია. სამყაროს ჯერაც
სწამს – ოდინდელზე მეტადაც სწამს –, რომ სამყაროა...

თუკი მიგაჩნდათ მართებულად თქვენი ქმედება,
რომლითაც ყველა დანაშაულს თქვენშიც და სხვებშიც
მშვიდი სინდისით ჩაახშობდით, გაამართლებდით
მობარებული განძეულის მიტაცებას და
საუკუნეთა წიაღიდან სტუმრად მოსული
სისხლის მკვლელობას, თქვენივე და სხვისი სისხლისას,
ხელთა და გულთა ძალადობას; თუკი მიგაჩნდათ
და არა მხოლოდ გეგონათ, რომ უფლება გქონდათ,
თუკი იცოდით და იქმოდით დარწმუნებულნი,
მაშინ შეგეძლოთ ეს ყოველი დაგედოთ თასზე
იმ სასწორისა, რომ ეშვება ციდან მიწამდე
და, როგორც ღმერთი, ისე სწონის იდუმალებით,
და მოგეხარათ ჭეშმარიტი სამსჯავროს კართან
ქედი, და მხოლოდ საკუთარი თავის იმედად
არ იქნებოდით, არც საკუთარ ძალაუფლებას
მიენდობოდით, და იტყოდით მაშინვე უარს
თქვენს მცდელობაზე – ბედისწერას აღმატებოდით.
ახლა მოითხოვთ, რომ სხვაგვარად გაგასამართლონ
და არა – ისე, თქვენ სხვებს როგორც ასამართლებდით?
თქვენ რა, მოითხოვთ იმ სამართალს, თქვენ რომ შელახეთ?!
არავინ განსჯის გამარჯვებულს! ასე რომ, ვაი
დამარცხებულებს!

სადაც მოხდა საშინელება,
იქ უარესი ეს იქნება: ისე მოიქცეთ,
თითქოს რაც მოხდა, მომხდარიყოს სანახევროდ და
თქვენც სანახევროდ გედოთ ბრალი დანაშაულში;
ვით იძულებით დაჩოქილი გარეწართ ზროვა,
თქვენც სანახევროდ იჩოქებდეთ, სანახევროდ კი
აიშვათ, როგორც გარეწრებმა აიშვეს ახლა.
ფუჭი იქნება უარისთქმა იმაზე, რასაც

ჯერ კიდევ გუშინ თაყვანს სცემდით; ფუჭი იქნება
არ მოისურვოთ იმად ყოფნა, ვინც დღემდე რჩებით;
მჯიღებს იცემდეთ იმავე მკერდში, ჯერ კიდევ გუშინ
გაფხორილები რომ უშვერდით ბინძურ ბრძანებებს;
სწორედ იგივე ამოსუნთქვით გამოხატავდეთ
სასოწარკვეთას, გამოხატავთ რომლითაც იმედს!
არადა, ასე განა რისი გეიმედებათ?
რომ ამ უბადრუკ თქვენს სიცოცხლეს შეინარჩუნებთ?
რომ შეიძლება უფრო დიდი მოვლენაც მოხდეს,
ვიდრე ეს თქვენი დაღუპვაა? ალბათ, ორივე!
დიდი ხანია იმედოვნებთ და იქვე მალავთ
თქვენ ამ იმედებს! თქვენ ეს უკვე მესამედ სცადეთ!
ბედისწერა კი თავის სათქმელს ერთხელ ამჟღავნებს.
ჩაღენილს უკვე ვეღარ შეცვლი. თქვენ იმედოვნებთ
თქვენი თავისთვის, სულაც არა – იმისთვის, რასაც
იმედოვნებდით.

შეიძლება მოხდეს, უეცრად,
თქვენ ბედისწერამ კიდევ ერთხელ ამოგირჩიოთ,
ვით აგირჩიათ დღემდე ხშირად, მაგრამ ის მაშინ
თქვენს შორის სულ სხვებს ამოირჩევს და არა – იმათ,
ვინც უკვე სრულად დაიხარჯა, რაც უკვე სრულად
ამოიწურა.

ჩავლილია უკვე ყოველი.
დაღუმებულია ყველა ზათქი, ყველა ქუხილი.
სისხლით გაჟღენთილ ბორცვებს უკვე გუგუნ-გუგუნით
გადაუვლის და მოშორდება ღრუბლების ჯარი.
თითქოს, გიგატურ არსებათა ვეება მხრებმა
შავი აჩრდილი მოიშორეს, მტვერი ეცემა
იმას, რაც უკვე მტვრად ქცეულა. მკრთალ სინათლეში

აქა-იქ ქუფური ნანგრევები გამოიკვეთა;
 დაუმარხავი ძვლების გროვა; ძლივს შესამჩნევი
 ბორცვ-საფლაავებით აგებული ერთი საფლავი!
 ო, აღსასრულის დღე, რომელიც დღე არ ყოფილა!
 ო, ღამე! მკვდარი ეს სიჩუმე, სავსე ხმაურით!
 მკვდარი ჰაერი, სავსე ხმებით! არ გყოფნით, განა,
 ო, აჩრდილებო, ეგ დიდება? ყველა დიდება
 შეცდომაა და სიბრიყვეა! თქვენი დიდება
 თქვენს შეცდომებზე ბევრად უფრო უარესია.
 რა გაბობოქრებს, თვალდათხრილო, ტუმბობრეცილო,
 დაჟანგებული აბჯრითა და ძონძის დროშებით
 აღჭურვილო და უსასრულოდ მოფუთფუთე ბრბოვ?
 თქვენ თუ იმ სისხლით იკვებებით, რომლის შესახებ
 ისევ ჩურჩულებთ, მაშინ, ვიდრე ყვირის საყვირი,
 არ გელირსებათ მოსვენება; ვიდრე ლაშქარი
 გამოდის ველად, ვიდრე ჯერაც აირეკლება
 უძირო ზეცა, ხანძრით სულმთლად გაწითლებული,
 წითლად შეღებილ გუბებში, შემზარავი და
 მაინც აღმძვრელი უსასრულო აღფრთოვანების,
 კეთილშობილი და წყეული იმავდროულად,
 მძლავრი, დიადი, უბადრუკი; ვიდრე ბრძოლების
 ბოლო ხმაური და გუგუნის ბოლოს ატეხილ
 ქუხილთან ერთად დავიწყებას მიეცემოდეს.

შენიშვნები

* არ არსებობს კათოლიკური საკურთხეველი, რომელზეც წმინდანთა რელიქვია, თუნდაც ასეთი რელიქვიის რაიმე დეტალი, არ იქნებოდა წარმოდგენილი.

* მითითება ნოსტრადამუსის სიტყვებზე:

[ვილაც] შორს წავა სიკეთის გზაზე; მერე მარჯვნივ

ჩამოჯდება ოთხკუთხა ქვაზე,
მარცხნივ დარჩება მთელი სამხრეთი,
ხელში [ექნება] ბოსტონის დაჭმუჭნული ქალაღი, რკინის სკივრი.
(*ძველი ფრანგულიდან თარგმნა ირმა ტაკველიძემ*)

ბოსტონი - ბანქოსებური თამამისთვის განკუთვნილი ქალაღი.

* მინიშნება იმ გარემოებაზე, რომ იმ ქვეყნებში, რომლებსაც ეკლესია დასჯიღა, ტაძრები დაკეტილი იყო და არც მიცვალებულისთვის წესის აგება და არც მესის გაღობა ან წაკითხვა არ შეიძლებოღა.

* იგულისხმება კეისართა იმპერია.

* იგულისხმება კაიზერთა ათასწლოვანი მმართველობა.

* იმპერიის დიდ გერბზე გამოსახული იყო მრჩობლი არწივი ჯვრით, რომლის ვერტიკალური ძელიც ფრთიღან ფრთამღე იყო გაჭიმული და რომელზეც მაცხოვარი იყო გაკრული.

* ჰერაკლეს და აგამემნონის მიერ. რამეთუ არა მხოლოდ უსამართლობის გამო, მხოლოდ ელენეს ვერეთ წოღებული მოტაცების გამო, დაიწყო ომი ტროას წინააღმღეგ, არამღე სამართლიანობის გამოც, კერძოდ – ღელა-სამართლიანობის გამო. ელენე სპარტას ისეთივე მემკვიღრე იყო, როგორც კლიტემნესტრა იყო მიკენის ერთმმართველი მბრძანებელი; მაგრამ მენელაოსს თავისი თანამღებობა, თანამღებობა დიდი გამღებლისა, ისევე არ უნღოღა ფარისისთვის დაეთმო, როგორც აგამემნონს არ ემეტებოღა საკუთარი თანამღებობა ეგესთასთვის. ჩვენს ძაღებს კი აღემატება იმ შორეულ ღრთა უკეთ განჩხრეკა და იმის გარკვევა, ჰქონღათ თუ არა უფღება ლეღას ქალიშვიღებს, სხვა სასიღობისთვის მიემართათ.

* პრიამოსის ვაჟები, ელენეს სასიღობი.

* პრიამოსის სახღი.

* კიროსის მიერ.

* საიღუმლო გამოცხადების მერე.

* ჰოჭენშტაუფენებისა და პრუსიეღებისგან, მათი მეორე სახელით.

* მეოთხე; ფრიღრიხის ნაბიჭვარი; ფრიღრიხის ვაჟი.

* ეს ორივე ფრიღრიხმა მოიმოქმეღა.

* მსოფლიოს ხე.

* ღირსების.

* აბოკალიფსის მიხეღეთ.

დანართი I

ფრანც შერშელი

რატომ, ღმერთო ჩემო

რისთვის შემქმენი ჩემო უფალო და ღმერთო, მე,
რომელიც აღმოვცენდი, უცოდინარი სინათლის შუქი,
და ახლა ვფარფატებ ჩემი დანაშაულის ქარში?
რისთვის შემქმენი მე, ჩემო უფალო და ღმერთო,
სიტყვის ამპარტავნებად,
და ამას რომ ვამბობ,
თან ვატარებ უსაზღვრო სიამაყეს
და საკუთარი თავის შორეთში
ვარ მარტოობა?!
რისთვის შემქმენი ამად, ჩემო უფალო და ღმერთო?

რატომ, რატომ არ მომეცი მე
ორი ხელი, დახმარებით აღსავსე,
და ორი თვალი, ნუგეშის მომცემი ორი ვარსკვლავი
და – ხმა, წვიმად მოსული სიკეთის მუსიკა
და – შუბლი მბჟუტავი
ჩაგვრის ნაზი ლამპისგან
და – სვლა ათას ქუჩაში
სალამოს, რათა ვატარო ყველა
ზარი დედამიწისა
გულში, ტკივილის გულში უკუნისამდე.

შეხედე, გაცივებულია
რამდენი ბავშვი ახლა, ლოგინში ჩაწოლილი,
და ნიობი ქვაა და არ შეუძლია იტიროს

და ბნელი ცოდვილი მიშტერებია
თავისი ცის განზომილებას
და ყოველი სული ეცემა ღამით
ხიდან, ოცნების ფოთოლი შემოდგომაზე
და ყველა მიიწევს სითბოსკენ,
რადგან დაზამთრდა
და თბილი ტკივილის დროა.

რატომ არ შექმენი, ჩემო უფალო და ღმერთო,
სერაფიმად, ოქროსად, სასურველად,
რათა კრისტალის ხელები ავადმყოფებს დავადო,
კვნესის კარებში შევიდე და გამოვიდე,
მისალმებული და დარქმეული:
ძილად, ცრემლად, ოთახად, ერთობად, ბავშვობად, დედობრივად?!
და რომ დავისვენო ღუმელთან სკამზე,
და მხნეობა ვარ და - ბალზამი შენი სახლისა,
მხოლოდ ფრენა და მაუწყებელი მონახულება, და ჩემი არაფერი
ვიცი,
და მონუსხული დილის ნამი შენი სახისა!

კვირა საღამო

ჯერ კიდევ არ დამითოვებია ეს ვარსკვლავები.
ჯერ კიდევ დამცხრალი ტკივილის სიტკბოებით ვარ მოცული.
თუმცა, სანამ სულის განსაზღვრულობა
ხვალინდელ ვარსკვლავეთში გამდევნიდეს,
ჯერ კიდევ მივედინები გრძელი სამყაროს ღამეში.
ჯერ კიდევ დავფარფატებ მიცვალებულებთან
ვერგადვიძებულ ტყეებში და მდებლობებზე.

კიდევ ერთხელ დაეშვებიან ჩემი გავლით
დაკარგულის მტირალი სურათები,
ვიდრე პირველი ქარიშხლები აკივლდებოდნენ,
ვიდრე უცხო სხივები დაეცემოდნენ,
ვიდრე საშინელი “ხვალ” ფოლადის ხელებში მომიმწყვდევდეს.

სასოწარკვეთა

დალამდა
და ხვალაც გათენდება, ალბათ,
მანქანები ისევ ივლიან.
კარებზე ზარი დარეკავს.

დედაჩემი ზის აქვე.
მე არ მეკუთვნის მისი სახება.
ბევრს მელაპარაკება.
მე ვფიქრობ შეუცნობელ არარსებულზე.

ჩემი დაიკო იცინის.
რა ადვილად შეეძლებდი მის შეზიზღებას.
ჩემს მარტოობაში იხარშება
ბოროტი სიტყვა.

მე ასე ვარ ამოქოლილი
და ყველაფერი სიყვარულს მისტირის.
მეც სიყვარულს მივტირი
და მაინც არავინ მიყვარს.

ალექსანდერ ლერნეტი-ჰოლენია

გერმანია

გუნდრუკის კვამლი მხოლოდ საფლავს რომ ეკმეოდეს,
მხოლოდ სანემტე ლარნაკებს რომ დასტრიალებდეს,
ან საკურთხევლით, ბნელ წიაღში მკვდარს ან გმირის ნემტს,
რჩეულთა მტვრის კვალს რომ მოიცავს, სწორედ იქიდან
ამოდრიოდეს ცეცხლის ენა! ნეტავ, მხოლოდ იქ,
მხოლოდ იქ, სადაც მსხვერპლს სწირავენ, დიდი ხანია,
რამდენად მეტი რამისათვის, ო, გერმანიავ,
შენ, დახოცილ და იავარქმნილ სპათა აკლდამავ,
შენ, დახოცილ და იავარქმნილ ქალაქთა ძეგლო,
შენ, დახოცილ და იავარქმნილ მკვდართა სამარევ!
და, თუმცა, დუმდა მწყემსი იგი, უზენაესი,
მარჯვენა ხელით სწორედ იმ ტახტს რომ მიყრდნობია,
რომელიც ხელში კაცსა და ლომს, ხარსა და არწივს
აუტატიათ. მარცხენა კი სამხრეთისაკენ
გაუშვერია, ჩაურაზავს ბრინჯაოს ბაგე,
სიღყვათა რისხვის, უსაშველო წყევლის წინაშე.

ხომ მაინც მოგხვდა, მაინც მოგხვდა სხივი, რომელიც
საკუთარ თავში ჩაისახა რომამდე ადრე!
და იმპერია, მთელ მსოფლიოდ ქცეული ლამის,
წყეულიმც იყოს! და არწივთა მძლე ბრწყინვალება
გარდაისახოს მკრეხელობად, ბრბოს მრისხანებად
გარდაისახოს ყოვლისმპყრობი ძალაუფლება,
ხოლო ქვეყანა – ველურ ტომთა უხეშ სავანედ.
დაუშრეს ნათლი მარადიულ წმიდათაწმიდას,

უპატიურად ეგდოს გვამი მინდორთა ზედა,
არ გადაიქცეს ღმერთი ჩვენი პურად და ღვინოდ,
და დედაკაცთა და ცხოველთა საშოთა შიგან
ნაყოფი ჩალპეს. და მინდორთა საშოში გაქრეს,
გაუდაბურდეს და გათხელდეს და გახმეს ტყენი.

თუ პირველ რაიხს გაეფლანგა თავისი თავი,
მეორემ თავი დაივიწყა და გზად დაეცა,
მესამეს სძლია სიხარბემ და თავიც მოისპო,
სძალავდა, კლავდა, დანაშაულს სხვას აბრალებდა,
ძალავდა ნადავლს, იტაცებდა და აყალბებდა
სასმელს და კერძს და სისხლს და გვარს და თვით

სიკვდილსაც კი.

რაც შენ მოგწონდა (თუნდაც, მცდარი), მას თვლიდი სწორად,
ზნეკეთილობას მოისთვლიდი დანაშაულად,
ღიადთა საქმე ტყუილად და ბილწად შერაცხე,
გმირთა – მკვლელობად, მხედართმთავრებს ცილი დასწამე,
არა, შენ ძლიერს, შენზე ძლიერს, არ უძლევიხარ,
შენნი გლახაკნი ზეიმობენ შენს დამარცხებას.
არა არს გლახა, მასზე გლახამ რომ არ განმარცვოს,
ბრბო კი აფურთხებს ხალხს, რომელიც ბრბოდ გადაიქცა.

ვინ უნდა გიხსნას, თუ სამყარო ფუჭად მოლიე?
ახლა რა წერტილს დაეყრდნობა დედამიწის წრე?
ახლა რა ძალა დააბრკოლებს ყიჟინს ხალხისას?
არა ის ძალა, ქვეყნები რომ გააცამტვერე,
მოაზროვნენი დააბნე, ჯვარი მოგრიხე,
წმინდა არწივის ფრთებზე გაკრულ უფლის ხატებით,
დროშა წაბილწე, და დიდება ჩირქით მოირწყე,
ო, არა ის, რომ აღარა ხარ, არამედ თავი
და იმპერია და იმედი და ყველაფერი

რომ წაახდინე, ამას ჰქვია უკვე დაღუპვა.

ასე ტროაც არ დაცემულა, პერგამოსიდან
ასეთი კვამლი ხანძრებისა არ ამოსულა,
ასეთ ფერფლს ქვეშ არ დამარხულა თვითონ პარიზიც,
დაიფობოსიც, როგორც – შენ და შენნი მებრძოლნი.
არა სიმღერა შენს ხსოვნას არ შემოინახავს,
როგორც – ზნემშვიდი შვილიშვილნი დარდანოსისა,
მხოლოდ ცრემლი და წყევლა-კრულვა გაგაუკვდავებს.
ასეთ ნანგრევში ბაბილონიც არ ჩაძირულა,
ბაბილონში და ილიონში ხე არ იზრდება,
ნეტავ შენს თავზე ტყემ იხაროს, რომ გადაფაროს
შენი სირცხვილი, საუკუნო შენი სირცხვილი.

ერთ დროს შენც იყავ წმიდა ბინდი, მაღალი ძრწოლა,
ქროლა და ქსოვა კურთხეული ფოთლოვანისა,
გრძნეული ცოდნა კენწეროში დაბუდებული,
და ტკბილხმოვანად ჩამოქროდა წყალი ხევებში,
იდროდნენ ხმები, თამაშობდნენ ათინათები,
ახლა, რადგანაც შენ სვეტები, კეთილშობილნი,
თავად მოშალე, გოდოლნი კი ძირს ჩამოყარე,
და ამიტომაც შუქი გიპობს დაბრეცილ სახეს,
და დახოცილი ტიტანები მარხავენ ნერგებს
სხეულთა ქვეშე და ხმაურით იმსხვრევა ჯარი,
უკანასკნელი მოლოდინი ამ გაზაფხულის.

მსოფლიოს ტყეო, ეს რა ვნება შეჰყარე შენს თავს!
და თუკი ამას იზრახავდი, რალა ბოლოსკენ?
და თუ ბოლოსკენ, რატომ დიდი ხნის წინათ არა?
სანამ ფრიდრიჰთა გველეშაპის ღოჯ-კბილებიდან
ამოხეთქავდა მთელი მოდგმა, ყველაზე გულღრძო.

განა, ოდესღაც სხვანაირი არ იყავ? როგორ?
ახლაც იგივე არ ხარ, განა, რაც ადრე იყავ?
როგორ? არ ძალგდის იყო იგივე, და მაინც ის ხარ?
განა, ეს ძრწოლა არ ეცემა ორსავ სამეფოს?
და არ ბილწავს და შეურაცხყოფს ბრწყინვალე აჩრდილთ?
ძირავს მსოფლიოს დღეს ღამეში და წმინდა ვნებებს
ამახინჯებს და აყალბებს და აუდაბურებს!
არც კონრადინი, ჰაინრიჰი და არც მანფრედი
და ფრიდრიჰებიც ასეთები არა ყოფილან.

შენში რა ჩარგეს, იმ მეფეთ თუ უწყიან ნეტა,
ვინც ზიზღითა და უგულობით უმზერდა იმ ხალხს,
რომელიც მერე მიწისთვისაც და ზეცისთვისაც
უსაშიშეს და უსასტიკეს ხალხად აქციეს;
ვინც კეთილშობილთ თმა გაპარსა და მდაბიოთა
თავები დადგა კეთილშობილ გვაძების მხრებზე.
ყველა ბრძანება იქ ერთ ბატონს უნდა გაეცა.
და როცა ტახტზე სულ ყველაზე მდაბიო აძვრა,
ეს იმპერიაც მისი ნების ნაწილად იქცა.

შენში არავინ დარჩა, ვისაც სხვათა ალაგმვას
ჩვეულს თავადვე არ ესინჯა ლაგამთა გემო;
არავინ, ვინაც არ იგუა მათრახი, დეზი,
არავინ გყავდა მეომართა შორის ისეთი,
ვისაც ჯოხავდნენ, და ჯოხები არ ენატროს, რომ
ოდესმე სხვები გაელახა, და უფრო მეტიც:
მხედართმთავარი სიტყვამტკიცე, ფიცშენახული
არა ყოფილა შენ გარშემო და არც – ისეთი,
ვინც არ მიიღო ხოტბანი და ორდენ-მედალი
არამზადათა და ავკაცთა ბილწი ხელიდან.
მაგრამ იგი, ვინც აღარ არის თავისუფალი,

უფროთხის იმას, ვინც მეუფებს და არა ბატონობს,
უფროთხის სიკვდილის მორიალე აჩრდილზე მეტად.

და როცა სპანი აიშალნენ, ტვირთიც დამძიმდა,
და ნავის კიჩო მეტისმეტად გადაიხარა,
და ცახცახებდნენ კიდურები იმ ქმედებისას,
სინამდვილეში რომ არც იყო მათი ქმედება.

დანაშაული სხვებს არ უნდა გადააბრალლო!
როდესაც ხალხი აღარ არის ხალხისნაირი,
მაშინ არც თქვენ ხართ, უდავოა, თავისნაირი,
იმაგდროულად ხართ კიდევ და თანაც არა ხართ,
ისევე, როგორც ხალხი არის, და თან არ არის.
და თუ მიბაძავთ, რასაც სჩადის ვინმე ზეპური,
ეს მიანიშნებს, რომ მდაბალთა ქცევას ერგებით.
ნუ იტყვით: არა, მე კი არა, ივია, ივი!
თუ ყველა სცოდავთ, მაშინ ყველამ ატარეთ ტვირთიც.
რაც საერთოა, თითოეულს ვერ ჩამოაცლი!
არა, მსოფლიოს არ სცალია ცალკეულთათვის,
როცა გთვლიან და გაჯგუფებენ, თქვენ ნუ აჰყვებით,
როცა გწონიან და გზომავენ, თქვენ ნუ აჰყვებით.
გასამართლებენ? ნუ გაკიცხავთ და ნუ აჰყვებით,
რადგან რა არის, კაცმა რომ თქვას, დანაშაული,
მითუფრო, როცა მის წინაშე ყველანი ღუმდით
და ბრმად ჰგუობდით, ყველა ერთად დამნაშავეა.
მაშ, დაიხარეთ და ატარეთ ტვირთი სათქვენო,
ვინც არ გაურბის, ის მსუბუქად დაძლევეს სიმძიმეს.

იქ, სადაც ხეა უმაღლესი და ქარიშხალი
გაველურებულ მინდვრებისკენ მიიდრიკება,
იქ, სადაც წყარო ოხვრა-კვნესით ამოიდვრება

და უჩინარნი ჩურჩულებენ და შეუცნობელს
ფარავენ ყოფას, რაც ისედაც დაფარულ იყო,
მისგან გაქცევა ნიშნავს მასთან მიახლოებას,
მასთან ქედდახრა – სიღიადეს, ქედუხრელობა
კიდევ უფრო მეტ სიღიადეს, და, იქნებ, სულაც
მის არსებაში განივთებას ნიშნავდეს კიდევც.

ხომ გსურდათ კიდევ! და თუ – არა, მაშ ოდითგანვე,
წლიდან წლებამდე, გარდასული გაზაფხულები
თქვენი ერისა ზამთრის ლუკმად რატომ აქციეთ?
რად გაილაშქრეთ ჯირითით და ზარადთა გვრგვინვით
ციებ–ცხელებით დაოსებულ ბიზანტიამი,
და მერე რომში და კვლავ რომში ღრჭენით, ზარადით,
გამარჯვებით და მუხლისჩოქზე კვიპროსისაკენ,
ეგვიპტის ცეცხლში და – ორივე ინდოეთისა
და – სისხლიანი, სისხლიანი თოვლის მინდვრებზე,
სადაც რკინაზე, როგორც ცეცხლზე, გეწვოდათ ხელი,
გაყინულებით, გვაძებით და მომაკვდავებით
ფარავდით ხმელეთს. ბედისწერის, გარდაუვალის,
ურჩი განჭვრეტით არ დაღუპეთ თავი თქვენივე?
რაკი მსოფლიო აღიგვება ოდესღაც მაინც,
სწორედ ამ მიზნით წაუკიდეთ ცეცხლი სამყაროს.
ჰო, აღსასრულის ცოდნა თვითონ აღსასრულია.

ხალხი, რომელიც არ ცოცხლობდა, რათა ეცოცხლა,
არამედ – რათა მომკვდარიყო. თავს ნუ შეიქვებთ!
ვისც არასწორად უცოცხლია, არასწორადვე
მოკვდება კიდევ. და ნუ ტკებებით მორჩილის როლით,
რაკი არ ძალგიდთ წინაღუდგეთ, არ დამორჩილდეთ.
ნუ მოგაქვთ თავი, რომ დაეცით, გა-ცა-იყინეთ,
იშიმშილეთ და გაიხრწენით. ახლაც იხრწნებით.

თქვენი სიძლიდრე დამმონებელს ჩაუგდეთ ხელში,
და თავს ნუ იქებთ, ვინაიდან თქვენ მონები ხართ.
და თავს ნუ იქებთ, ჰო, ნუ იქებთ! უბადრუკია,
ვინც სათნობად რაცხავს ასეთ უბედურებას.

და თუ რას ნიშნავს შიმშილი და მორჩილთა ხვედრი,
ახლა ისწავლით, როცა არვინ არ გეყოლებათ,
ვინც იშიმშილებს იმის გამო, რომ თქვენ შიმშილობთ.
ვინც დასჯერდება მორჩილის სვეს, თქვენ რაკი ეს გსურთ,
თქვენს მსახურებას მუდამ სდევდა ძალის წყურვილი,
თმობას – სიუხვე, დამცირებას – მედიდურება.
ჯერეთ ისწავლეთ მსახურება, თავის გაწირვა,
მითუფრო, როცა ერთხელ უკვე გასწირეთ თავი.
თავისუფლად გცნობთ ზოგიერთი. მაგრამ – ვისაგან?
საკუთარ სურვილს ემონებით და – სიდიადეს,
რომელიც უკვე საბოლოოდ გაუფასურდა,
მაგრამ არ ძალგით, მიატოვოთ მძიმე ჭაპანი,
რადგან საყრდენი აღარა გაქვთ, გამოგეცალათ.

ნუ გგონიათ, რომ მომავალი დაგიბრუნდებათ,
განმეორდება ან მოხდება ზუსტად იგივე.
კი, რაც არსებობს, უკვე მყოფის მონაგარია,
და მყოლობადი ისაა, რაც დაგვიბრუნდება,
მაგრამ, ცხადია, არა – ზუსტად. როგორც თქვენ თქვენ ხართ,
და მაინც სხვა ხართ, რაც ყოფილა აღარ იქნება.
ვიდრე მნათობი წისქვილის ქვად აგვიდ–ჩაგვიდის,
ვიდრე საშო შობს, კუბო შთანთქავს, სხვა და ისევ სხვა
სხვაგვარად მოვა, დასტურ მოვა, მაგრამ სხვაგვარად.

არა საფრთხეთა – დახლართულთა – ასარიდებლად,
არა მოცემად იმის, რაც არ დაგიბრუნდებათ,

რათა დაგიცვათ სირცხვილისგან, სიგიჟისაგან.
არა იმედის წასართმევად, ანდა – პირუკუ.
გვამს ნუ დასტირით, ნუ ამშვენებთ ფერ-უმარილით
იმ სიცოცხლისა, რაც არრაა და გარდასულა.
სიკვდილის აკვანს ნუ აავსებთ ზიზილ-პიპილით,
ნუ გადადაფნავთ და დამალულ ალმებს ნუ დახრით.
ცრუ ბრწყინვალება ხომ ისწავლეთ, მკვდრებს ნუ უღირსჰყოფთ.

ყველაზე ცუდი უკვე მოხდა, და აღარ იცით,
რა უნდა მოხდეს, სხვამ მითუფრო იცის ნაკლებად.
თქვენ ფერხთ ქვეშ მყოფი ეს სამყაროც მხარს არ აგობამთ,
ის თქვენი ხელით დაჭრილია და, საბოლოოდ,
სისხლი, რომელიც თქვენ აღინეთ, გადმოელვრება.
ნუ ელოდებით მსხვერპლისაგან მორიგ საზღაურს,
თქვენს უბედობას თქვენგან მკვდარნი დაეყრდნობიან,
თქვენს დანაშაულს ველარავინ ველარ ჩასწვდება
და ამ წამებას ველარავინ გაითავისებს.
არსებობს ქცევა, რომ არ შველის მონანიებაც.
როცა სცოდავდით, სამართალაზე არ გიფიქრიათ
ახლა კი დგახართ დადრეკილი მსაჯულის ფერხთით
და სამართალი კიდევ უფრო გდრეკთ მიწისაკენ.
გაქრა ის სამი იმპერია და ან სამყაროს
ჯერ კიდევ სჯერა თავის თავის, ვიდრე – ოდესმე.
თუკი კლავდით და ახშობდით და ურცხვად ძარცვავდით,
ხომ იცოდით, რომ უსამართლო იყო ქმედება,
და თუ იცოდით, ხომ შეგეძლოთ, მართალ სასწორზე
სამართლიანად აგეწონათ, როგორც – ზენაარს,
და ქედს მოხრიდით ჭეშმარიტი მსჯავრის წინაშე
და მხოლოდ ძალის უფლებას არ მიენდობოდით.
არ ეცდებოდით, ბედისწერას აღმატებოდით.
ახლა მოითხოვთ, რომ სხვაგვარად გაგასამართლონ.

რა მსჯავრს მოითხოვთ, გარდა იმის, რასაც არღვევდით?
ცხოვრება მხოლოდ მას ამართლებს, ვინც გაიმარჯვებს.

და რაკი მოხდა, ვერ ვიცრუებთ, რომ არ მომხდარა,
რომ სანახევროდ დაგაჩოქოთ, ვით – გარეწრები
ან სანახევროდ ზეაგიშვათ, როგორც აიშვეს
მავან ავკაცთა. და მგონია სრულად უმიზნო
გუმინდელ კერპზე და ვნებებზე თქმა უარისა,
ან – საამაყო გულისთქმაზე თქმა უარისა.
და ერთხმად სასო წარიკვეთოთ ან დაიმედდეთ.
და რას მიელტვით? ამ პატარა სიცოცხლის ნაფლეთს?
თქვენ დაღუპვანზე უფრო მეტად ღირებულია?
ალბათ – ორივე, რადგან უკვე დიდი ხანია
იმედოვნებდით და ასევე მუდამ მაღავდით,
მესამედ სცადეთ. ფორტუნა ზომ ერთხელ გვიღიმის.
რაც გაკეთდება, მას ვერ შეცვლი, თქვენ ზომ მხოლოდ ამ
საკუთარ იმედს – თუ იმედებს – შეჭფოფინებდით.

იქნებ, მოხდეს და ბედმა ისევ გამოგარჩიოთ.
მაგრამ ის უკვე ამოირჩევს სხვებს და სხვებს და სხვებს
და არა – მავანს, ვინც დამთავრდა და არა – საქმეს,
რაც სამუდამოდ დამთავრდა და გაუფერულდა.

ეს ჩავლილია, ახლა სდუმან მძლავრნი ქუხილნი,
სისხლიან ბორცვებს მიუგორდნენ რუხი ღრუბლები
და ფერდებს შორის ეფინება გლოვის აჩრდილი,
როგორც გიგანტურ ფიგურების მხრების სილუეტს.
მტკერი ეცემა მტვრადქცეულს და აქა-იქ კრთება
ნიათგამოცლილ სინათლეში კუშტი ნანგრევი,
დაუძარხავი გვამები და საფლავთა ქვები.
დღე აღსასრულის, დღე, რომელიც არ იყო დღე და

ღამე, ო, ღამე, მდუმარე და სავსე ხმაურით.
ო, ეს ჰაერი, სავსე ხმებით, ო, ეს ჰაერი!
განა არ გყოფნით, აჩრდილებო, თქვენი დიდება?!
ყველა დიდება შეცდომაა, თქვენი დიდება
თქვენს შეცდომებზე უარესიც იქნება ალბათ.
წინ რას მიიწვევთ ბრმა თვალებით, ტუნდაბრეცილნი,
დაგლეჯილ დროშით და ჟანგიან აღჭურვილობით?!
შენ გეკითხები, უსასრულოდ მოფუფუფუსე ბრბოვ!
თუ იმ სისხლის ხართ, გამუდმებით რომ გვიჩურჩულებთ,
მაშინ საყვირი ვიდრე ყვირის, ვერ მოისვენებთ,
ვიდრე ლაშქრები გამოდიან საომარ ველზე,
ვიდრე გუბეში ირეკლება ვეება ზეცა,
შემზარავი და მაინც რიდის მომნიჭებელი
და დაწყველილი და ძლიერი და უბედური,
ვიდრე ბრძოლების ხმაურში არ ჩაიძირება
და განქარდება ქუსილითურთ დავიწყებაში.

დანართი II

არსებითი სახელი და ზმნა
შენიშვნები პოეტიკაზე

1.

სალექსო სიტყვის ღირებულებას ქმნის მისი ასოციაციური პოტენცია, ერთმნიშვნელობა კი ერთდროულად არის როგორც პოეტური სიტყვის სიკვდილი, ასევე – პროზის სიცოცხლე.

პროზა-სიტყვა თავისთავად გულისხმობს ისეთ წარმოდგენას, რომელსაც ათასობით გრამატიკული და სინტაქსური საშუალება გააჩნია სხვა წარმოდგენებთან კავშირის დასამყარებლად. ლექსი-სიტყვა თავად არის ეს კავშირი. პროზაში მახვილი ეცემა არსებით სახელზე. “ის ერთი სოფლის ექიმი იყო და ზემო პუალცის პატარა დასახლებაში ცხოვრობდა.” ეს მახვილი იგრძნობა დეკლამაციის დროსაც.

პოეზიაში მახვილი ეცემა ზმნაზე. თავისთავად ცხადია, რომ ეს განსხვავება მეტისმეტად გადაჭარბებულია, მაგრამ მხოლოდ ამ გზით შეიძლება მნიშვნელოვნის გაცხადება.

სალექსო სტრიქონის არსებითი სახელი არის მრავალმნიშვნელოვანი, ასოციაციური, სიმბოლური. იგი არის ისეთი ჭურჭელი, რომელიც მკითხველს მიანდობს ხოლმე, თავად შეავსოს პოეტის ზმნით მოგვრილი საკუთარი ხილვა.

“მე სად ავიღო მერე, ზამთარი რომ მოვა?”

ამ ზამთარს გააჩნია ათასი მნიშვნელობა; და სწორედ ამ ათასმნიშვნელოვნობაში მდგომარეობს მისი განსაცვიფრებელი კონკრეტულობა. კონკრეტული ის კი არ არის, რისი აზრობრივი აღქმაც ერთმნიშვნე-

Franz Werfel. *Substantiv und Verbum. Notiz zu einer Poetik.* წიგნში: *Theorie des Expressionismus*, hrsg. von Otto F. Best, Stuttgart 1976, S. 157-163.

ნელოვნადაა შესაძლებელი, არამედ ის, რაც ყველაზე ასოციაციურია, რაც ყველაზე მეტ სამყაროს იტევს. ლექსისეული არსებითი სახელი დელფის ორაკულივითაა, იგი ერთდროულად ფლობს როგორც შინაგან მრავალმნიშვნელოვან ზემნიშვნელობას, ასევე ნისლოვან იდუმალებას.

დეკლამაციისას ეს ხაზგაუსმელი რჩება.

ლექსისეული ზმნა უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ ერთმნიშვნელოვანი. იგი ზეკატეგორიულია და მკითხველის მიმართ დაუნდობელი, რადგან თავის თავში ატარებს ვნებას და ქმედებას. ეს არის არა ამ ქმედების გამოხატულება, არამედ თავად ქმედება. (ამიტომაც არის ლექსისათვის უცხო იმპერფექტი, ყველაზე არაპირდაპირი ზმნური ფორმა.) ლექსისეული ზმნა, ისე აშკარად გამოხატული ვნებით, რომლის დაოკებაც შეუძლებელია, თითქმის ყოველთვის გაჭირვებით მომენელი, ან გულზე ხელწავლებულია!

“ქარში ისმის დროშების ჟღარუნი”.

ლექსის ზმნა მოქმედების მიხედვით არის *Verbum militans*, ანუ მებრძოლი ზმნა, განცდის მიხედვით – *verbum martyre*, ანუ მარტვილი ზმნა, მაგრამ ყოველთვის ინსტრუმენტების დარად (*cantabile*) ან გზნებით (*furioso*) მომღერალი.

კარგი დეკლამატორი თითქმის ყოველთვის ყველანაირ მახვილს ერთად მოუყრის ხოლმე თავს და ზმნას დაუშენს, რადგან სწორედ ის არის ლექსის განმსაზღვრელი დინამიკური ფაქტორი, მისი რიტმი და მონომეტრი, მისი უზენაესი არსი.

იმ სამყაროში, რომელსაც ენაში თავისი ალეგორია გააჩნია, სინათლე საგნებს აებანიება ხოლმე. იმ სამყაროში, რომელსაც ლექსში გააჩნია თავისი ალეგორია, სინათლე მარტოდმარტო მოძრაობს ხოლმე, მიჰყვება თუ საგნების ნებასა ან მათ მოხერხებულობას არა, ყოველ შემთხვევაში, მათ ურთიერთდამოკიდებულებას მაინც. თავად საგნები კი რჩებიან იდუმალებით მოცულნი და ჩრდილს ამოფარებულნი.

არც სიზმრის საუფლოშია განსხვავებული მდგომარეობა. სიზმარს ჩვენც ასევე განვიცდით, უფრო ღრმად ვართ მასში ჩაფლულნი, ვიდრე სიფხიზლეში, თუცა ამავე დროს სიზმრისგან შორს ვიმყოფებით

და ზემოდან დაცეკერით ხოლმე მას. სიზმარში ჩვენ ვხვდებით, თუ როგორ შეიძლება განიცადონ ჩვენზე უფრო აბსოლუტურმა არსებებმა. საგნები უბრალოვდებიან ფორმით და მრავალფეროვანდებიან შინა-არსით. მას მერე კი, აბსტრაქციის გზას რომ დაადგებიან, ცხოვრების უმაღლეს რეალობებად და სიმბოლოებად იქცევიან ხოლმე. ამას დამაჯერებლად გვიხსნის შტრინდბერგი თავის წიგნში “სიზმართა თამაში”. ერთი დეკორაციის კულისები გადაიქცევა ხოლმე უამრავ ცვალებად მნიშვნელობად, ხოლო სცენის კარი – საადვოკატო კანტორის კარად, ბოლოს კი – იმ კარად, რომლის მიღმაც საიდუმლო იმალება. მარადიული კი ის არის, რომ ამ კარის წინ ყოველთვის იცდიან ადამიანები.

ეკლესიის სიღრმეში მდგარი ორდანი იქცევა ფინგალის გამოქვაბულის ბაზალტოვან სვეტად; უცვლელი მხოლოდ ის არის, რომ იგი აჟღერებს მოტირალი კაცობრიობისა და მოზუზუნე ქარის ხმებს.

სიზმრისა და ლექსის ქმნის მდგომარეობებში, ამ ორ აბსოლუტურ მდგომარეობაში, ნამდვილი არის მხოლოდ ის, რაც ხდება; საგანი კი, წუწუნისა და ტირილის თანხლებით, სიმბოლურად გადაინაცვლებს ხოლმე უკანა პლანზე.

2.

ამ არასრული შენიშვნებიდანაც კი ცხადი ხდება, რომ დროისა და სივრცის განცდის ლექსისეული ფორმები სრულიად განსხვავდება ნამდვილი განცდის ფორმებისაგან.

პოეტური დრო პარადოქსულია. იგი ისე მიჰქრის, რომ ადგილიდან არ იძვრის. ის ძირბის, თუმცა ბოლომდე ერთ წერტილშია გაყინული. იგი ერთი გამუდმებული ხმაურია. მის შემთხვევაშიც იმ ჯადოსთან გვაქვს საქმე, როცა ადამიანს რაღაც ესიზმრება და ისე ქმნის ამ მოვლენას, რომ არც კი ინძრევა. დროის საყოველთაო განცდა არის მისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობა საიმისოდ, რომ ეს ჩვეულებრივი

დრო იქცეს თავგადასავლად, ოღონდ უცნობი დრო, რომელსაც იმედის, ვარაუდის, შიშის, დასკვნების მიუხედავად, მაინც ხელისგულით დააქვს გაუთვალისწინებელი მოვლენები; პოეტისა და სიზმარში მყოფისთვის კი ის, რაც უნდა მოხდეს მომავალში, უკვე წარსულია. ამას არაფერი აქვს საერთო სიბრძნესა თუ მიზეზობრიობაში წვდომასთან. სიზმარში მყოფი და პოეტი გუშინით ხვდებიან ღვთის იმ ატრიბუტს, რასაც თეოლოგები ალბათ “ღმერთის ყოველდღიურ ბასს” უწოდებდნენ. – ერთმანეთს აღეგნებულები, ისინი ჯიქურ მიიწვევენ წინ სულ სხვა კანონის თანახმად, ახარებთ მწყობრ ნაბიჯზე ფიქრი.

ეს იმავითი ცხოვრებისეული მოვლენაა, ეს არის *fausse connaissance*, ელვასავით უეცრად რომ განათდება – “მე ხომ ეს უკვე მქონდა”. ეს ფენომენი გრძელდება და გრძელდება სიზმარში მყოფისა თუ პოეტის სულებში და არასდროს ტოვებს მათ. დრო, ლექსში რომ გადის, იქამდე აღესრულა, სანამ ამოიწურებოდა. იგი არ გიტოვებს იმედს და თუკი იმედი მაინც გამოითქმის, დროისთვის უკვე ნათელია, ასრულდება იგი თუ არა. ჰაერში მოფარფატე ამ ცოდნის დამსახურებაა სწორედ ეს იმანენტური მელანქოლია ყოველივე პოეტურისა. (მხიარულებაც ხომ მელანქოლიაა.) ნორმალური ცნობიერება, რაც არ უნდა ღრმა და ფართო იყოს იგი, მაინც მხოლოდ შემთხვევითობის წყალობად თუ ჩაითვლება; პოეტური ცნობიერება კი, ყველაზე მაღალი და დიდიც კი, გარდაუვალი აუცილებლობაა. სიცოცხლის რეჟიმი ასე გამოიყურება: შემთხვევა (TYXH), ამავედროულად ხელოვნების უდიდესი დანამაულია, რომლის საზღაურიც (ANATKH) არის გარდაუვალი აუცილებლობა.

ჩემთვის მანიშნებელი იმისა, რომ ლექსის შიგნით მიმდინარე მოძრაობა თუ ქმედება გაგრძელებადი პროცესია და ამავე დროს მუდმივი ვარდნა და მოუღლეელი სიშმაგეა, არის ის, თუ როგორ იხმარება ზმნის პარტიციპიუმი.

პარტიციპიუმი არის ყველაზე ძლიერი პოეტური ზმნური ფორმა, რადგან იგი ადასტურებს იმ მოვლენას, მომენტს, როდესაც პოეტი პირისპირ შეებმება გარდაუვალს, რათა უსასრულოდ აქციოს ეს პროცესი. პარტიციპიუმი ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ინფინიტივი,

რადგან უფრო შემტევი და მუდამ განსაზღვრულია, მუდამ რალაცა აქვს მოქცეული მკლავებში, თანაც მტკიცედ და ვნებიანად, ინფინიტივი კი აბსტრაქტულია იმ სისხლგამოცლილი თეორეტიკოსის დარად, გადამწყვეტ მომენტში რომ გარბის ხოლმე. პარტიციპი თანაშემზომილი ფორმაა ბრუჟის, ექსტაზის, სიშმაგისა და მსგავსი პოლარული მდგომარეობების გამოსახატავად, მაგრამ მას ყოველთვის დაჰკრავს ქალური ენერგიულობისა და გულწრფელობის მცირე ელფერი.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება, რომ იზოლდენის სიყვარულის სიკვდილის ვაგენერისეული ტექსტი (სასაცილომდეც კი) გადაჭედ-ილია პარტიციპებით.

აქვე მინდა მოვიყვანო ერთ-ერთი მშვენიერი ადგილი ლასკერის მოწაფეთა ლექსიდან:

“და ჩემი სევდა, თავდადებული.”

ეს უფერული, ქალწულებრივად სასოწარკვეთილი არსებითი სახელი „სევდა“ აქ იმ განზრახვით შეირჩა, რომ გულითადობის მთელი სიმძიმე გადასულიყო პარტიციპიუმზე: თავდადებული!* ამ გაარსებული და პოსტპოზიციური ფორმის გამოა სწორედ, ღვთიურ ანტიკურ გრამატიკას ასე რომ გვახსენებს, ასე რომაა გაძლიერებული და ოცნებამდე ასული.

ეს თავდადება აქ არ სრულდება, იგი არ მოითხოვს სიყვარულის ბედნიერ დასასრულს; იგი კმაყოფილდება თავისი ძელანქოლით, დიდ-დიდი ბაგეზე თუ ეამბოროს მძინარეს, კვლავ და კვლავ იფხიზლოს ენდიმიონის სასთუმალთან, მოუღლეღმა თავის „E“ ბგერაში.

აქვე სიცხადისათვის მინდა ავლნიშნო, რომ საჭიროა ხმოვანთა პოეტური მნიშვნელობის წინასწარი განჭვრეტა. „E“ ბგერა ნიშნავს ყველანაირ ვაკე ადგილს, უსასრულობამდე გადაჭიმულ ყველანაირ სიბრტყეს. „E“ ბგერა თავადის იმ შეყვარებული ასულივით გამტერებული იყურება, გულის კარი რომ არავინ გაუღო. Ebene (ვაკე), Nebel (ნისლი), ewig (სამუდამოდ), elend (უბედური), Schnee (თოვლი),

* მხოლოდ ერთი სიტყვა და უკვე სახეზეა კანტინელას დიდებული მელოდია.

Leere (სიცარიელე), Sehnsucht (სევდა), Seele (სული). უსასრულობისკენ როგორი მიდრეკილებაა ყველაფერ ამაში!

ციტირებულ სტრიქონში ყველა ეს მნიშვნელობა შესანიშნავად ეწყობა ერთმანეთს. ხუთი „E“ ბგერა კავშირდება და ერთიანდება ვერბალური ფორმის სიყვარულისგან გამტერებულ მზერაში:

“სევდა, თავდადებული” (Sehnsucht, hingebene)

გართიმული Ebene, მორთოლვარე (bebend) ბაგის უსასრულო მზერა, ქვესკნელიდან მონახერი.

ამ ადგილას სრულიად ცხადი ხდება პარტიციპიუმის გზავნილი – წარმავლის მარადიულობად ქცევა.

3.

გეომეტრიულად თუ განვიხილავთ, პოეტური სივრცე არის მიმართება ყოველი წერტილისა ყოველი წერტილისადმი, ყოველი ერთეულისა - ყოველი ერთეულისადმი; ლექსში კი, ყოველი ასოციაციისა - ყოველი ასოციაციისადმი. ლექსი მხოლოდ მაშინ არის დასრულებული, როდესაც აღარ რჩება არც ერთი ნაწილი მისი მოპირისპირე ნაწილის გარეშე, არც ერთი ისეთი სიტყვა, რომელმაც სიბნელეში უნდა აფათუროს ხელები. პოეტური სივრცე არის აბსოლუტური შეკრულობა.

რა თქმა უნდა, მე სრულად ვაცნობიერებ, რომ ამ რაციონალური ფორმულით არაფერი გადმოიცემა იდუმალების შესახებ. პოეტურ სივრცეს მე შევადარებდი სახლის დიდ, ხმაურიან წინაოთახს, ან ტაძრის შიგთავსს, სადაც ყოველ გაფაჩუნებასა თუ ჩრდილის გაეღვებას, სურათს თუ ხელსაწყოს თავისი ექოს გამოწვევა შეუძლია. ამ სივრცის ფასეულობა მდგომარეობს მისი სიმდიდრის უბადრუკობაში, მისი მრავალმნიშვნელოვანი ფორმის სიძუნწეში. ზუსტად ისევე, როგორც არსებითი სახელის ფასეულობა სიბნელეში, გამოცანასა და გადინებაშია. მისმა საგნებმა უნდილად უნდა მოიგერიონ სიშმავე წარმავლისა, ზუსტად ისევე, როგორც თითქოსდა სიბნელემ უნდა

დაიცვას ეკლესია მოზეიმე ხალხის ფერადოვანი ხმაურისა თუ მათი მხიარული მოძახილის შემოტევებისგან.

ასე და ამგვარად, იმ ლექსის სივრცე, რომელიც საგნებს გარკვევით და ერთმნიშვნელოვნად ასახელებს და რომელსაც შეუძლია დროზე გამარჯვების წყალობით მათივე არსებობის სრულყოფა, - ასეთი ლექსის სივრცე არ არის სრულყოფილი, რამეთუ არ ემორჩილება ურთიერთობათა კანონს და საგნებს აცალკავებს ერთმანეთისაგან. აქ იმალება სწორედ დიდი საფრთხე პათეტიკურობისა და მშობლიური ნიადაგიდან მოწყვეტისა. როცა ქსოვილის თვითდამაგრება და ბალანსირება არ ხდება უაღრესად შეგნებული ლოგიკის თანახმად, მაშინ ძაფები, ელასტიურად და ჩქარ-ჩქარა, ერთიერთმანეთზე მიყოლებით შორდება ერთმანეთს და ამის შედეგად წარმოქმნილი მოუსვენრობა თავად წარმოშობს საკუთარ თავში დაეჭვებულობასა და მემბოზურ მოწოდებებს.

ამ ავადმყოფობის უკიდურეს სახეს წარმოადგენს ბოროტული რიტორიკულობა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო პოეტურობასთან, რადგან მისი სივრცე შემოსაზღვრულია აბსტრაქტული, არაასოციაციური გალაგნით.

ყველა ლირიკული (სხვაგვარი არც ყოფილა) რეკოლუცია შეეხებოდა სტროფის უარყოფას და მერე მის კვლავადიარებას. მისი წინაპირობა ყოველთვის მცდარი იყო, რადგანაც “ჩვეულებრივ არქიტექტურად” იწოდებოდა. კვლავ და კვლავ გამოჩნდება ხოლმე თავისუფალი ლექსი ოთხსტრიქონიანი სტროფის საპირისპიროდ და ოთხსტრიქონიანი სტროფი - თავისუფალი ლექსის საპირისპიროდ. მაგრამ იმისდა მიუხედავად, უარყოფდნენ თუ აღიარებდნენ ამ ჩვეულებრივ სტროფს, როგორადაც არ უნდა “მოელორებინათ” იგი, მაინც ვერ მოუნახავდნენ ხოლმე მის ადექვატურ თუ თანაბარ, თანაც მსგავსად ყოვლისმომცველ ფორმას. ყოველი რეფორმა ხომ სწორედ ის რეფორმაა, რომელიც იშვა თავნებობის შედეგად და არა გენიალური (ბიოლოგიური თვალსაზრისით) აუცილებლობის გამო. ვერ დავეთანხმები ვეგეტარიანულ პანთეისტებს, რომლებიც ამბობენ, რომ ღმერთისადმი ლოცვის აღვლენა ყველაზე კარგია

ბუნებაში, ღია ცის ქვეშ. ღვთისმსახურება ღვთის სახლის გარეშე არის პარადოქსი. ღმერთი კაცად უნდა იქცეს, რათა ხილული გახდეს. ეს მიჯნა არის სწორედ გამოცხადების წინაპირობა.

მე მჯერა ახალი, სტროფული ლექსთხზვის დაბადებისა, რომელიც სრულიად თავისუფალი იქნება აქამდელი არქიტექტურის სქოლასტიკური სიმეტრიისგან, თუმცა არა მარტო მისგან, თავისუფალი ასევე ბნელი წინააღმდეგობრიობის შემთხვევითობიდან თავისი არსებობის არდასაბუთებად მოსულ, ყოველთვის სხვანაირადაც წარმოსადგენ, პერმუტაციებს მოკლებულ განახლებათაგან. თანამედროვე ლიტერატურაში ასეთი სტროფები იწინასწარმეტყველეს ჰოლდერლინმა (ჰიმნებში), პომ და სვინბორნმა.

ალექსანდერ ლერნეტი-ჰოლენია

მ ი მ ო წ ე რ ი დ ა ნ

ჰირმან ბარს

კლაგენფურტი, 23.1.1921

პატივცემულო ბატონო,

უმორჩილესად გთხოვთ, მიიღოთ ჩემი წინამდებარე სადებიუტო გამოცემა. თავისთავად, ეს პატარა წიგნი, ალბათ, ლირიკის საუკეთესო ნიმუშს არ წარმოადგენს, მაგრამ, რაკილა ექსპრესიონიზმის კრიტიკით ბრძანდებით დაკავებული, მან მაინც შეიძლება თქვენში გარკვეული ინტერესი გამოიწვიოს. საქმე ის გახლავთ, რომ მასში ვეცადე, შედარებით უფრო მკაფიოდ გამომეთქვა ექსპრესიონისტული იდეები, ვიდრე ეს ამჟამადაა მიღებული.

ლირიკის კითხვისას, უკვე დიდი ხანია, თვალში მეცა, რომ ტრადიციული ფორმები მოძველდა, ახალი კი ვერაფერი მოიძებნა ისეთი, დღესდღეობით ჩვენთვის მისაღები რომ იქნებოდეს. ბავშვობიდან ბევრს ვკითხულობდი უძველეს ლიტერატურას, ძირითადად, იტალიურ და პროვანსულ კანცონებსა და მინეზენგერების საოცარ სტროფებს, მათი დასრულებული გოთური ფორმებით, ისე მყარად რომ გაჯერებულიან შინაარსით, რომ უკვე მის ხორცშესხმად გვევლინებიან. სწორედ ეს ხორცშესხმაა, ეს ინკარნაციაა მთავარი. მეორე მხრივ, საფუძვლიანად ვულრმავედობდი ექსპრესიონიზმის ახალ და უახლეს აღმოჩენებს: ვგულისხმობ ექსპრესიონიზმს, ამ სიტყვის ძალზე ღრმა გაგებით, რაც მუდამ უძძლავრესად იგრძნობოდა ყველა დიდ ოსტატთან, პირველ რიგში, გრეკოსთან, რემბრანდტთან და კლოპშტოკთან. მაგრამ თანამედროვე აღმოჩენები შეუდარებლად უსწრებს წინ ყველაფერს,

რაც აქამდე ყოფილა. ისინი ჯერ კიდევ არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მაგრამ უკვე თავს იჩენს უმნიშვნელოვანეს თანამედროვე პოეტებთან: ეს საგანთა არსის სრულიად სხვაგვარი განჭვრეტაა, რითაც ლირიკოსი თითქოს ფურცელ-ფურცელ აცლის მათ გარეგნულ იერ-სახეს. ამას უფრო დაწვრილებით აღარ შეეძლება, ამ პროცესის რამდენიმე მაგალითს ჩემს წიგნში იხილავთ.

უნდა ითქვას თუნდაც ის, რომ იოჰანეს რ. ბეხერმა ამ მიმართულებით ბევრად უფრო მეტი აღმოჩენა გააკეთა, ვირდე – ასობით სხვა ავტორმა. და, მიუხედავად ამისა, მის მსმენელებს, ალბათ, ვერ დავემდურებით იმაში, რომ, მისი ლექციების დასრულების შემდეგ, ისეთი გაოგნებულნი სხედან, თითქოს დადასტურებულ მოხსენება მოესმინათ. მგონი, მხოლოდ ჭეშმარიტად დიდ პოეტებს შეუძლიათ, საკუთარი ლექსის მოგვიანებით გადაკითხვისას სრულად ჩასწვინენ მის აზრსა და სათქმელს.

ამ ყველაფრის შესახებ ვფიქრობდი, ცხადია, გაუცნობიერებლად, როცა ჩემს ლექსებში სინამდვილის მკაფიოდ ასახვას ვცდილობდი; ამ პატარა კრებულში, რომლის შედგენასაც სულ რამდენიმე საათი მოვანდომე, კაცმა რომ თქვას, შედარებით უმნიშვნელო ლექსები მოხვდა. საკუთარ თავს გამოუდებით ვუკიჟინებდი, რომ ჩვენს თანამედროვეობას უაღრესი სიფრთხილის მქონე შემოქმედი ესაჭიროება, ის, ვინც ჩვენს ფიქრებს დანტესეული სიზუსტით გამოხატავს სონეტებში.

შვიდი წლის განმავლობაში 2000 პწკარიან კრებულზე ვიმუშავე, რომელსაც სათაურად "კანცონერი" ეწოდება. მასში ვეცადე იტალიური და პროვანსული კანსონების სტრუქტურა და სტილი განმევითარებინა. მისი თემატიკა მოიცავს ბიბლიურ პატრიარქებს, ქრისტეს წინაპრებს, წმინდა ოჯახსა და უკანასკნელ სამსჯავროს. მე რაც დავეწერე, მოცულობით ათჯერ მაინც აღემატება იმას, რაც "კანცონერში" შევიდა.

ამ ყველაფერს შევეხე რილკესთან მიმოწერაში, ის ძალიან გულითადად გამომეხმაურა. მისი შეფასებით, ეს ლექსები თითქმის "ყველგან გამოუთქმელს ემიჯნება", ზოგიერთს მან "პატარა საოცრებაც" კი უწოდა. მომწერა: "ჩემი მხრიდან ნაძალადევი და ყალბი იქნება, თქვენი წიგნის ზოგიერთ ადგილს შესანიშნავი რომ არ ვუწოდო".

რილკე იმასაც დამპირდა, ამ კრებულს პირადად წარვუდგენო "ინზელის" გამომცემლობას, მაგრამ ამის საშუალება ამჟამად არ აქვს, რადგან პოლიტიკურად საეჭვო პირად ითვლება (!), რის გამოც მას შვაიცის დატოვება ეკრძალება.

ძალზე დამავალებთ, კეთილო ბატონო, თუკი ნებას დამრთავთ, ხელნაწერი გამოვიგზავნოთ. არა მგონია, მისი გადაკითხვა მოსაწყენად გეჩვენოთ, რადგან ამგვარი ნაწარმოების ამ ფორმით დაწერის მცდელობა ჩვენს აჩქარებულ დროში თავისთავად უკვე საინტერესოა, თუნდაც ლექსები ცუდი გამოდგეს.

"პასტორალი" გარკვეულ წარმოდგენას შეეკიქნით ჩემი შემოქმედების თავისებურებაზე, თუმცა ის მაინც ფუჭ დროისკარგვად მიმაჩნია, "კანცონერთან" ის ნამდვილად ახლოსაც ვერ მივა. მიუხედავად ამისა, გთხოვთ, მისი შეფასებისას გულისხმიერება გამოიჩინოთ, რათა შემდგომში უსიამოვნება არ მოგაყენოთ უფრო ვრცელი ნაწარმოებით.

"კანცონერს" რაც შეეხება, მასზე მუშაობა თექვსმეტი წლისამ დავიწყე. მაშინ, ცხადია, სულ სხვაგვარად ვწერდი. მას შემდეგ ამ კრებულში ყველაფერი შევიდა, რაც ამ პერიოდში გადაამხდა თავს. ის, შეიძლება ითქვას, მთელ ჩემს ცხოვრებას შეიცავს, ყოველ შემთხვევაში, მის მძლავრ დასაწყისს.

თქვენი ერთგული

ალექსანდერ ლერნეტ ჰოლენია.

ჰერმან ბარს

კლავენფურტი, 24. 12. 1921

პატივცემულო ბატონო ბარ!

ნება მიბოძეთ, ჩემი რამდენიმე მოსაზრება გამოვთქვა თქვენი დღიურის ჩანაწერის თაობაზე, სადაც სტილის შესახებ საუბრობთ. კრიტიკული ანალიზის არსებით თვისებად ერთეულების დანაწევრება და სიმრავლეების გამარტივება მიმაჩნია, სწორედ ამიტომ მსურს,

დაწვრილებით განვმარტო ცნებათა კომპლექსი "სტილი". ხომ შეუძლებელია დავსვათ შეკითხვა, ცხენის რომელი სახეობაა საუკეთესო, თუკი არ დავაზუსტეთ, რომელ ცხენებს ვვულისხმობთ, – საჯირითოს თუ ეტლში ან უღელში შესაბამელს. ზუსტად ასევეა შეუძლებელი, ყოველგვარი სტილი ერთი და იგივე მოვლენად გამოვაცხადოთ. ცხადია, სტილი ნებისმიერი გამონათქვამისას იჩენს თავს: სამხედრო ბრძანებით დაწყებული და ლექსით დამთავრებული, მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ თითოეულ შემთხვევას მისი საკუთარი სტილი შეესაბამება. ყოველ წარმოთქმულ თუ დაწერილ სიტყვას ორი ფუნქცია აკისრია: "ერთის მხრივ" (როგორც ჰუსარეკი იტყოდა ხოლმე), წმინდა პრაქტიკული, "მეორეს მხრივ" – შემოქმედებითი ფუნქცია; არსებობს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ორივე ფუნქცია ერთმანეთთან არის შერწყმული. პრაქტიკული გაგებით, სტილი მხოლოდ და მხოლოდ სრულყოფილ ლაკონურობასა და სიზუსტეს ემსახურება. ამგვარი სტილი ძალზე მიმზიდველია და ზოგჯერ დიდი ძალისხმევა გვჭირდება, რომ მას შემოქმედებით სტილთან უპირატესობა არ მი-ვანიჭოთ: როცა საქმე სტილს ეხება, ლამისაა, ვინმე კლაუზევიჩი ჰოლდერლინზე მალლა დავაყენოთ; აქ, უბრალოდ, ყოველივე მძლავრისა და მილიტარისტულისგან წამოსული ზეწოლის მსხვერპლნი ვხდებით. ლექსის წერა, თითქოს, უფრო იოლ საქმედაც კი მიგვაჩნია, ვიდრე – ისეთი შთამბეჭდავი ფრაზის მოფიქრება, რომელიც ჯარისკაცებში, – განსაკუთრებით, ომის ბოლო წელიწადს, – პატრიოტულ აღფრთოვანებასა და საბრძოლო შემართებას აღძრავს. თვით ოფიცრებიც კი რიგითებად ვგრძნობთ თავს, როცა კვითხულობთ ნაპოლეონის მიერ ბრძოლის ველზე წარმოთქმულ სიტყვებს, მუდამ "დროშების, არწივებისა და დიდების" ხსენებას რომ შეიცავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ უფრო მარტივ, პრაქტიკულ სტილს, შემოქმედებითს კი უგულვებელყოფთ.

რადგან პრაქტიკული სტილი თავის მიზანს – სასურველისა და ნაფიქრის უმოკლესად და უმარტივესად გადმოცემას – საუკეთესო შემთხვევაში, იმით აღწევს, რომ ხმამაღალი კილოთი ძალისმიერ

ზემოქმედებას ახდენს ჩვენს ნერვებზე ან ფსიქიკის ზედაპირზე მოტივტივე ინსტინქტებზე, მაშინ, როცა შემოქმედებითი სტილი შეუღარებლად უფრო რთული და დახვეწილია. აქ სტილის სახეობა თავისთავად კიდევ ორ ქვესახეობად იყოფა. არსებობენ შემოქმედნი, მათ შორის ძალზე ნიჭიერნი, თავიანთ, თუნდაც ურთულეს, გრძნობებსა და ფიქრებს სრულიად უშუალო და მარტივი ფორმით რომ გადმოგცემენ; ისინი არ მუშაობენ სტილზე; თუ შეიძლება ასე ითქვას, ინსტრუმენტზე დაკვრის გარეშე გვაწვდიან მთლიან გრაფიკულ სურათს. მათი გრძნობები არ არის სტილით ხორცშესხმული. ეს შემოქმედნი ორღანზე დაკვრის ნაცვლად საბავშვო საყვირს უბერავენ. ჩემის აზრით, ამ კატეგორიას ეკუთვნიან რუსები; ყოველ შემთხვევაში, მჩვენება, რომ ისინი იმდენად ინტენსიურად უღრმავდებიან შინაგან საქმიანობას, ბუნებით კი იმდენად ამორფულნი არიან, რომ გარეგნული შრომისთვის, უბრალოდ, ვეღარ იცლიან. მომდევნო კატეგორიისგან ამ შემოქმედებს ძალზე ბუნდოვანი ზღვარი ჰყოფთ. ამ მომდევნოს რაც შეეხება, მას ის ავტორები ეკუთვნიან, ვისთანაც სტილი ყველაფერში მიჰყვება შინაარსს: ეს ეხება როგორც წინადადების წყობას, ისე ლექსიკას და, ასევე, ეგრეთ წოდებულ განწყობას (განგებ ვიყენებ აქ ამ გაურკვეველ სიტყვას). იმ ავტორებს, ვინც მთლიანად სტილისგან შედგება, საერთოდ არ შეეხები. მთავარი ის არის, რომ მხოლოდ თითო-ოროლა მკითხველს თუ შესწევს უნარი, ჩასწვდეს ამ ჭეშმარიტ ხელოვანთა სულის სიღრმეებს: ჰომეროსის ჟღერადობას, თვით ბუნებას რომ ეხმიანება, შუა საუკუნეების ლექსებსა და სხვა თხზულებებს, სრულად რომ გადმოგცემენ მსოფლიოს იმჟამინდელი ხედვის მთელ სინატიფეს, დანტეს სიყვარულს (მისი მხატვრული შედარებები ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ხიბლავდა მას ყველაზე მეტად სატროფოს მშვენებაში), ჰერცოგ კარლოს ორლეანელის უეჭველ აღვირახსნილობას, თუმცა ქალებთან მიმართებაში ის თავის წინამორბედ სიერ დეტონვილზე ბევრად უფრო ერთფეროვანია, პაულ გერჰარდტის ტიპურ ხალხურ უბრალოებასა და ღვთისმოსაობას, დასაბამიდანვე ჰოლდერლინის სულის სიღრმეში ჩასაფრებულ შემწლილობას, გოეთეს (პირველ რიგში, გოეთეს) თითქმის ღვთაებრივ მზერას, რომელსაც ყველაგან

საიმედო წესრიგი და აღორძინება ეგებება (ვეჯლისხმობ საბერძნეთის დანაწილებას გერმანულ მხედართმთავრებს შორის "ფაუსტის" მეორე ნაწილის მესამე აქტში, როდესაც მთელი მიდამო მხოლოდ და მხოლოდ წარმოთქმული სიტყვის ძალით დასახლებულ მხარედ იქცევა, ციხე-კოშკის ადგილას კი თვალწინ ერთბაშად არკადია გადაიშლება). ამ ყოველივეს წინადადების წყობა, ხმოვანთა ჟღერადობა, სიტყვათა არჩევანი გადმოგვცემს. ყველაზე თვალსაჩინოდ ეს ლომის ნოველაშია ნაჩვენები, სადაც მთელი ხლომილება თითქოს თვით უფლის თვალწინ მიმდინარეობს.

აი, ეს მინდოდა თქვენთვის მეთქვა, აი, ასეთ შემოქმედებს ვეჯლისხმობდი. რადგანაც კლაუზევიჩის ცნობილი გამონათქვამი: "ომი პოლიტიკის გაგრძელებაა, ოღონდ – სხვა საშუალებებით", ნამდვილად შთაბეჭდავია, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ შეიძლება დავივიწყოთ თუნდაც იმავე ლომის ნოველის თუნდაც ერთი უმნიშვნელო ფრაგმენტი: "...ჩაფიქრებული, დუნედ მჯდომარე ლომი". ეს ფრაზა იმდენადაა განმსჭვალული ღვთაებრივი არსით, რომ სრულიად აცამტკვერებს მეორეს, მანამდე მოტანილს. ამიტომაც მაცეცებს ის ამბავი, რომ "ასი რესპოდენტიდან" სტილის ეტალონად არც ერთს არ დაუსახელებია ესა თუ ის პოეტი.

გთხოვთ, დიდსულოვნად მომიტევეთ ამ წერილის გამო და ნება მიბოძეთ, სასიამოვნო უქმეები გისურვოთ,

მადლიერებით,

თქვენი ერთგული ლერნეტი.

ჰერმან ბარს

კლავენფურტი, 1922 წლის 2 ივნისი

პატივცემულო ბატონო!

სანქტ ვოლფგანგში გამგზავრების წინა დღეს ეს საავტორო ეგზემპლარი მომივიდა. გთხოვთ, მიიღოთ ის ჩემგან საჩუქრად. "კან-

სონერის" პირველი ნაწყობიც უკვე გამომიგზავნეს საკორექტუროდ. როგორც წარმომიდგენია, წიგნის გარეგნული იერსახე ძალზე ლამაზი უნდა იყოს, ამას ფორმატი და შრიფტიც მპირდება.

ვწუხვარ იმ ამბის გამო, რომ კრაუსმა პატივი დაგვლო თავისი ყურადღებით. თარსიტი ბრუნდება, პატროკლე კი სამარეშია: ამის გაფიქრებაზე ინკვიზიციისა და მეტერნიჰის საპოლიციო რეჟიმის დაბრუნებას ვნატრობ.

მიქელანჯელოს შესახებ ვკითხულობდი, როცა დაბეჭდილი ლექსი "მერიქიფის ხელობა..." მივიღე და, რადგან ისედაც უკვე აღტაცებული ვიყავი ბუნნაროტის სიდიადით, ლექსში ჩადებულმა აზრმა განსაკუთრებული, სრულიად ახალი ძალით შემძრა. გვიანდელ ეპოქებში შემოქმედნი სულ უფრო ხშირად მიდიან დათმობაზე და ბედს ეგუებიან. ჩვეულ საზომთა გადალახვა აუცილებელ პირობად აღარ მიაჩნიათ. არადა, რაღაც ზომა უნდა არსებობდეს, ფუტის თუ არშინის მსგავსი, რითაც ნაწარმოებები გასაყიდად გამოტანილი ტილოს მსგავსად იზომება. ღმერთი კი უკიდევანო და უზომოა და თითოეული ლექსი ჩავლილი ღვთაების კვალია მხოლოდ: ცვილზე დარჩენილი ანაბეჭდია მისი ტერფის, მთელი ფიგურის თუ მიხვრა-მოხვრის. განა შეიძლება რაღაც სასრული, გაზომვადი, მდაბიო ყოველდღიურობის რაიმე ნაწილი უზომოსა და უკიდევანოს აღსაბეჭდად გამოდგეს?

როგორც წმინდანის ტერფს ძალუმს, უმკვრივეს ქვაზეც კი თავისი ანაბეჭდი დატოვოს, ასევე გამოუთქმელი საიდუმლო აღბობს ლექსის ამორფულ ქსოვილს, წამიერად გვერდით ჩაუვლის და სამუდამოდ მოუხელთებელ კვალს ტოვებს მასზე. ჩვენ შინაგანად მივყვებით ამ კვალს, ფათურით მივიკვლევთ გზას, ხელის სწრაფი მოსმით გადავდივართ გამკვრივებული ფორმიდან უხილავი ფიგურისაკენ და უეცრად ამ გამოსახულების დამაბრბავებელ სიდიადეს ვკვრვრტთ. ლექსის მიზანიც მხოლოდ ესაა: ნიღბის შიგნითა მხარის ანდა ბეჭედზე ამოტვიფრული რელიეფის მსგავსად, ისიც საკუთარ თავში უხილავის მეორე, ჩვენთვის წარმოდგენელ გამოსახულებას ინახავს. შემოქმედების ყოველ ნიმუშშიც გამოუთქმელის მკაფიო ანაბეჭდია ჩასმული.

ეს ლექსში გამოთქმული მოსაზრების გაგრძელება გახლავთ. მიიღეთ ჩემი თქვენდამი განსაკუთრებული მოწიწებისა და სამუდამო მადლიერების მტკიცება.

ალექსანდერ ლერნეტი.

ჰუბო ფონ ჰოფმანსთალს

კლაგენფურტი, [1924 წლის] 21 იანვარი

პატივცემულო ბატონო ფონ ჰოფმანსთალ,

არ მსურდა, ჩემი მოლოცვა სხვა მრავალი, მათ შორის პირწმინდად ოფიციალური, მოლოცვების ნიაღვარში ჩაკარგულიყო, ამიტომაც უფრო მშვიდი დრო შევარჩიე, რათა ჩემს გულწრფელ გრძნობებში დამერწმუნებინეთ. მრავალთა შორის, ვინც თავიანთი თაყვანისცემით გაცდენენ, ვგონებ, იმ უმცირესობას ვეკუთვნი, ვისი მხრიდანაც ჭეშმარიტ პატივისცემას, გაგებასა და თანაგრძნობას უნდა ელოდეთ.

რამდენადაც თავად შემოქმედისთვის, ალბათ, მუდამ უცნობი დარჩება კმაყოფილების გრძნობა, რასაც მხოლოდ მისი ხელოვნების გარეშე დამთვალეიერებელი განიცდის, ჩვენი პირველი შეხვედრის დროისთვის დარწმუნებული ვიყავი, რომ შეგიძლიათ სამი დაძლეული ეტაპით იამაყოთ: პირველი – ახალგაზრდობის დროინდელი შემოქმედებით, მეორე – ეპოქალური მასშტაბის დრამატურგიით (პირველ რიგში, "არიადნეს" შეუმოკლებელი ვარიანტით), და მესამე – ერის მთელი სულიერი სამყაროს მომცველი ენციკლოპედიური, შემგროვებლური ხედვის სიფართოვით, ანუ იმ სფეროთი, რასაც თქვენ უწყვეტი, ყოველდღიური შრომით ავითარებთ. ის, რასაც ვგულისხმობ, რომელიმე ერთ დასრულებულ ნაწარმოებში როდია გამოხატული, არამედ, როგორც გოეთესთან, იმაში, თუ რა ფართოდ, თავისუფლად და დაუძაბავად სუნთქავს მთელი თქვენი პიროვნება. მცოდნე უეჭველად შენიშნავს ამ პროცესის დაწყებას იმ მომენტიდან, როცა პიროვნება უკვე იმდენად საკუთარი შემოქმედებისთვის კი აღარ იღვწის, რამდენადაც

საკუთარ ერს თვალწინ გადაუშლის მისი წარსული თუ თანამედროვე სულიერების უშრეტ წყაროთა დინებას. სწორედ ამ პუნქტიდან გადადის შემოქმედის შინაგანი სიცოცხლე თავის საუკეთესო, უკეთილშობილეს ფაზაში. აი, სწორედ ამ გაგებით, მსურს უდიდესი სიხარულით მოგილოცოთ წარმატება.

დავძენ იმასაც, რომ თქვენმა უკანასკნელმა წერილმა დიდად გამბედნიერა. თუ თქვენი ნება იქნება, ვისურვებდი თქვენთან მეგობრული სიახლოვის შენარჩუნებას, ოღონდაც – ისე, რომ ჩვენს ურთიერთობაში რომელიმე ჩვენგანის ესა თუ ის ნაწარმოები არ ჩაერიოს და ჩვენს შორის არ ჩადგეს. თორემ ეს იმ სიტუაციას დაემსგავსება, როცა სასიამოვნო მეგობრული ბაასის დროს ერთ-ერთი თანამოსაუბრე უეცრად თავისი ხარჯთაღრიცხვის წიგნაკს ამოიღებს და მის ხმა-მალლა წაკითხვას შეუდგება. ამიტომაც, მას შემდეგ, რაც გაუქმდება ის გარეშე მოვლენა, თავდაპირველად ერთუროს რომ დავგვახლოვა, გთხოვთ, ჩვენს შორის არსებული ჭეშმარიტი, უღრმესი კავშირი შევინარჩუნოთ.

თავის დროზე გამომიტყდით, ორმოცდამეათე დაბადების დღისთვის საჩუქრად გერმანელ პოეტს ვინატრებდით. მე მგონია, ეს შეუძლებელია. ერი, რომელიც მთლიანად მომავლით ცოცხლობს და რომელმაც სრულყოფილების მიღწევისთანავე, წესით, არსებობაც უნდა შეწყვიტოს, მგონი, ვერ შობს იმ დასრულებულ სახებას, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ. და ეს აღმოჩენა, ჩემი აზრით, მშვენიერია.

მუდამ თქვენსა და თქვენი კეთილშობილი მეუღლის სამსახურში მიგულებთ,

თქვენი ერთგული ლერნეტი.

ჰერმან ბარს

კლაგენფურტი, [1924 წლის] 13 აპრილი

დიდად პატივცემულო ბატონო,

ეს-ესაა მოვინახულე რომი და ფლორენცია. რამდენიმე დღის წინ დავბრუნდი კარინტიაში. მაგრამ ჩამოსვლისთანავე ერთი რამ შემემთხვა, რამაც ამ მოგზაურობაზე ბევრად უფრო ძლიერად შემძრა. იქ, ვიდრე სხვები მიქელანჯელოს ქანდაკებების წინაშე საკუთარი არარაობის განცდით იმსჭვალებოდნენ, სრულიად საპირისპირო რამ მჭირდა: სწორედ ამ დიადი ქმნილებების ცქერისას დამეუფლა საკუთარი თავის (თუ, იქნებ, ჩემში დავანებული ღმერთის) წინაშე მოწიწება. მოკლედ, ამ ყოველივემ პოეტის ზეპიროვნული ღმერთის არსებობაში დამარწმუნა. როცა ერთმანეთს ვადარებ ჩემს ნაწარმოებებს, – იმას, რაც ჩანაფიქრისამებრ აღვასრულე, იმას, რამაც ჩემთვის სრულიად ახალი მნიშვნელობა შეიძინა და იმასაც, რამაც პირვანდელი ჩანაფიქრი შეუდარებლად გადალახა, – მაშინ საკუთარი თავი წარმომიდგება უხეირო დოღის ცხენად, რომელსაც ვკერარნახულმა მხედარმა უეცრად დაუმსხვრია ძველი წარმოდგენები რბოლის შესახებ და რომელმაც გამარჯვება მოიპოვა ყოველგვარი ლოგიკის საპირისპიროდ. ეს მისი ერთადერთი შესაძლო ბედისწერა იყო, მაგრამ ამას თავად ვერასდროს წარმოიდგენდა. მიქელანჯელოს წინაშე კი ასეთი ფიქრი გამიჩნდა: ეს ადამიანი, უფრო სწორედ, ამ ადამიანში დავანებული ღმერთი, მუშაობის მანერით ჩემსას ჰგავს.

და ვინჩის ქმნილებებიდან თითქმის არაფერი მინახავს. მაგრამ მის შემთხვევაშიც რაღაც მსგავსი უნდა იყოს. ის ადგილი, სადაც მიქელანჯელოს გენია ცეცხლის ალის მსგავსად იჩენს თავს, მისი ქანდაკებების სხეულის შუაგულია. ყველაზე მკაფიოდ ეს "გამარჯვებულში" ჩანს, უფრო მეტად კი "ღამეში". იმ წერტილიდან, სადაც მარმარილოს ზედაპირის უწყვეტი აღმასვლა ისეთ შედეგს იძლევა, ნებისმიერ სხვას რომ დააკმაყოფილებდა, – მიქელანჯელო მთავარ საქმეს იწყებს: ქმნის ახალ ზედაპირს, არაადამიანური სიმძლავრით რომ წარმოგვიდგება და დაჟინებით გვარწმუნებს საკუთარ არარეალურობაში. მის მიერ მოგვრილი შთაბეჭდილება ძლიერი ბიძგით აგვტყორცნის მაღლა, უშორეს განტოტებებში, იქ, სადაც ადამიანური უკვე ზეადამიანურს ემიჯნება. პირველ რიგში, ცხადია ერთი რამ: ეს აღარ არის ზოგადი ჭეშმარიტების გამოსახატად მოძებნილი ულამაზესი

ფორმა, ეს ბევრად მეტია: აქ ზემიწიერია ასახული. ეს თავს იჩენს იმაში, რომ მშენებნიერების არსი მხოლოდ სიმარტივეში არ მდგომარეობს. ყოველდღიურობაც მარტივია. აქ კი სიმარტივე ყოველად წარმოუდგენელი, არაამქვეყნიური წვრილმანებისგან იქსოვება.

ახლა, როცა ვიხსენებ, როგორ იწერებოდა "კანსონერის" ზოგიერთი ადგილი, ჩემთვის ცხადი ხდება, რომ მაშინ ჯერ კიდევ, თუკი შემძლო, ძალზე ზოგადი, გაცვეთილი ეფექტებით ვკმაყოფილდებოდი. მაგრამ მას მერე, უკვე, აი, ამგვარ, ცალსახად ირაციონალურ ზედაპირთა შექმნა დავიწყე. ამას მხოლოდ და მხოლოდ სისტემური ინტუიციის გზით ვაღწევდი. მეორე ან სულაც მესამე გადაშეშავების შემდეგ ჯერ კიდევ მოუხეშავი, უხერხული გამონათქვამიდან უკვე იკვეთებოდა იმის კონტურები, რისი გადმოცემაც მსურდა. მაგრამ, აი, აქ კი, როცა სრულყოფილებას მიღწეული, ან, უფრო სწორედ, სრულყოფილებისკენ სწრაფვით აღვსილი აფროდიტე (ეს სწრაფვა, მიმართულება, ერთადერთია, რისი მიღწევაც შეიძლება) ზვირთებიდან ამოდიოდა, მას წამსვე კვლავ ზღვის მორევში უნდა ჩაეყვინთა. მაშინ მატერიალური ფორმისგან, როგორც ნედლეულისგან, სულიერი ფორმის გამოძერწვის საბუთი იწყებოდა. მიზანი ისეთი ფიგურის შექმნა იყო, გარეგნულად ადამიანს რომ დაემგვანებოდა და თითქოსდა მასავით შეძლებდა სიარულსა და დგომას; მაგრამ მისი ხელი უკვე აღარ იქნებოდა განკუთვნილი რაიმეს აღება-ჩავლებიანებისთვის, მისი ფეხები – სიარულისთვის, ქუთუთოები თვალების გახელა-დახუჭვას აღარ მოემსახურებოდა, არამედ – იმას, რომ ჩვენთან ესაუბრა ჩვენივე საიდუმლოთა შესახებ.

თავისთავად ცხადია, რომ ამ არაბუნებრივი მდგომარეობის ღიძნანს ატანა არ შეევიძლია. ამგვარ ნაწარმოებთა ფასეულობა, მათზე დასარჯულ დროსა და სულაც მთელ სიცოცხლესთან შედარებით, ძალზე უმნიშვნელოა. ხომ ცხადია, რომ ისეთ ნაწარმოებს, რომელიც მხოლოდ წამით, თვალისმომჭრელი ელვასავით გაგვანათებს, რათა შემდეგ კვლავაც მოჩვენებით სიმშვიდეს დაუბრუნდეს, მხოლოდ ასეთივე ხანმოკლე, თუმცა ასეზის უფრო დამქანცველი შემოქმედებითი ავეთქება შეიძლება შეესაბამებოდეს. მთლიანი შედეგი, როგორც წესი, საკვალალოა. რადგან ხელოვანი ამით საკუთარ თავსაც ანადგურებს

და – იმ რამდენიმე ჭეშმარიტ მჭვრეტელსაც, ვისაც თავისი ქმნილებით ძირფესვიანად ამოგლეჯს გაწონასწორებული ყოველდღიურობიდან. არაადამიანურად დიდი დოზების გამო ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, რომ ახლობელი სულების ფართო წრეზე გავლენა იქონიოს. ეს თვალშისაცემად ნათელია: ნებისმიერ ჯაზ-ბენდს მეტი გავლენა აქვს საზოგადოებაზე, ვიდრე – ხელოვნების რომელიმე ქმნილებას. ალბათ, სწორედ ამ აზრით უნდა გავიგოთ ქრისტეს გამონათქვამი: არა მოვედ მშვიდობის მოტანად, არამედ მახვილისა. რადგან ქრისტეს-მიერი სიყვარული, თუკი მას ეკლესია ყველასთვის ასატანი, დოზირებული სახით არ გვაწვდის, იმდენად დიდი და შემზარავია, რომ მავანი შემლილობამდეც კი მიუყვანია.

არსებობს ამის საპირისპირო შეხედულებაც: სწორედაც რომ ზომასა და ზღვარს გადაცდენაა მნიშვნელოვანი. გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ჩვენი არსების უკეთილშობილეს ნაწილს ძალუძს, რომელიც დასტურით პასუხობს: აგერ ვარ, ამინ.

მე კი იმდენად შორს ვიყავი წასული, რომ ჩემდამი მოწვენილი გაფრთხილების უგულვებელყოფა აღარ შეიძლებოდა. მუხლი მაგიდას მივარტყი და ამ მცირედმა დარტყმამ მთელი ჩემი არსების ნერვთა ბოლოებამდე გამჭოლი ისეთი რყევა გამოიწვია, ისეთ უბადრუკ დღეში ჩამაგდო, რომ ცხადად ვიგრძენი: მთლიანად განადგურებული და დამსხვრეული ვიყავი.

მას მერე მეჩვენება, უკვე იმდენი მაქვს გაკეთებული, რომ მთელი დარჩენილი ცხოვრება შემიძლია მშვიდად დავისვენო. ბოლოს და ბოლოს, მთავარი ხომ სულაც არაა შემოქმედების მოცულობა ან მიღწეული ფორმა. სამართლიანი სამსჯავროს წინაშე წარსადგომად დიდი წამოწყებაც კმარა.

ვფიქრობ, რაც ამ დროისთვის მაქვს დაწერილი, გამოვაქვეყნო. სხვადასხვა სახის ტექსტები შევაგროვე (თუშცა, წარმატების იმედი ნაკლებად მაქვს). "ინზელს" თავის დროზე შევეუთანხმდი, რომ ახალ წიგნს დამიბეჭდავს, როგორც კი იმდენივე ლექსი შემიგროვდება, რაც გამოქვეყნებულ კრებულშია. მაგრამ იმაზე ბევრად ნაკლები მოგროვდა. ამიტომ არ მსურს იქ გაუგებრობა შექმნა და ვფიქრობ

ერთჯერად გამოცემაზე სადმე სხვაგან. მაგრამ ვიცი, გამიჭირდება. იმის გათვალისწინება მომიწევს, რომ ერთმანეთს დაემთხვევს ჩემი და იმ ექსკლუზიურ გამოცემლობათა ინტერესები, ვისაც ასეთ შემთხვევაში შეიძლება მივმართო. თანაც, სამომავლოდ, მთელი ტექსტები თავისუფალი უნდა დარჩეს "ინზელისთვის", რომლის წინაშეც ვალდებულება მაკისრია.

სხვათა შორის, სამწუხაროდ "კანცონერი" კი არა, "პასტორალი" გაიყიდა. "კანცონერის" აკინძვა დაგვიანდა, ამიტომ წიგნმა კარგა ხანს ვერ მიაღწია შემკვეთებამდე.

თავი ვალდებულად ჩავთვალე, ღრმად პატივცემულო ბატონო, თქვენთვის ეს წერილი მომეწერა, რათა ჩემი ამდენი ხნის ღუმილი განმემარტა. ლამისაა, სულმა წამძლიოს და წერილს ფილიპ ჩანდოსის სახელი წავაწერო, მაგრამ ისევ და ისევ ვრჩები

თქვენი ერთგული და მადლიერი
ლერნეტი.

ჰერმან ბარს

კლაგენფურტი, [1926 წლის] 13 იანვარი

დიდად პატივცემულო ბატონო,

ს. ფიშერმა ბერლინიდან სასიხარულო ამბავი მამცნო და მასთან ხელშეკრულებასაც უკვე მოვაწერე ხელი. დოქტორმა მარილმა საფუძვლიანად მოიცალა ჩემი დემეტრიუსისთვის. ფრიად მახარებს ასეთი ინტერვალი ჩემს უღიმღამო ყოველდღიურობაში და ამისთვის უდიდეს მადლობას მოგახსენებთ. ვენაში დოქტორი მარილის ჩამოსვლის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დემეტრიუსთან დაკავშირებით ბურგთეატრში ადგილი უნდა ჰქონოდა რაღაც გაუგებრობას. ამას სხვადასხვა მხრიდან ყურმოკრული ცნობების საფუძველზე ვვარაუდობ. მე ხომ არც კი ვიცი დანამდვილებით, თუ რა როლი ითამაშა ამ საქმეში ბატონმა ბუშბეკმა, თუმცა ყველაფრიდან ჩანს,

რომ ძალზე მიკერძოებულად მოიქცა. დირექტორ ჰერტერიხთან ზოგადად ამ საქმეზე საუბრისას მისი მხრიდან ამკარა უკმაყოფილება ვიგრძენი, კერძოდ წმინდა იოჰანას გამო. მითხრა, მაყურებელი იძულებული იქნება მისაყვედუროს, რომ ეს პიესა მე კი არა, სახალხო თეატრმა მიიღო და ა. შ. სულაც არ ვაპირებ ამ გადაკრული ფრაზების საფუძველზე ახრი შევიქმნა. უბრალოდ, მინდა რაიმე ახსნა მოვუნახო იმ უხეხულობას, რომლის შედეგადაც ბურგმა დემეტრიუსზე უარი მითხრა, ანუ საკუთარ თავს ასეთ შეკითხვას ვუსვამ: ნეტავ, საერთოდ თუ ჩაიხედეს ამ ჩემს პიესაში? დოქტორმა მარილმა შეძლო რეჟისორ ბრანის დაინტერესება, მას უნდოდა ხელნაწერი ბუშბეკისთვის გამოერთმია, მაგრამ მას ის აღარ აქვს, მე ის ისევ ბერლინში გავვზავნე. ასევე, ძალიან გამაჯავრა თქვენეული შეფასების სრულმა იგნორირებამ: ბუშბეკს სინდისმა არ დაუშალა ისეთი სიტყვები გამოეთქვა დემეტრიუსზე, რომ ბილინგერსა და ჩემს კეთილდინდერს შეაკავებელი ბრახისგან თმები ყალჭზე დაუდგათ, პასუხის გაცემა კი ვერ გაბედეს თავიანთი ახალგაზრდობის გამო. ამას გიყვებით მხოლოდ როგორც მაგალითს იმისა, რომ ჩემი პიესები სინამდვილეში პამფლეტებია და უკეთური ბედი მათ ფეხდაფეხ დაჰყვება. იმიტომ, რომ, შეძლებისდაგვარად, მუდამ ჩემს თავისებურებასთან მიწვევს ბრძოლა, რათა, ბერტრან დე ბორნივით, ყველგან, სადაც მივალ, აურზაური არ შევიტანო.

ბოლო დროს ძალზე ხშირად ლაპარაკობენ ბილინგერზე. ცოტა რამ წამიკითხავს მისი და ვერ ვიტყვი, განსაკუთრებულად აღფრთოვანებული დავრჩი-მეთქი, მაგრამ მისი ილბლიანობა მაოცებს. მე ჩემი თითო-ოროლა ნამუშევრის გატანა ისეთი დიპლომატიის ფასად მიჯდება, რომლის წყალობითაც, მგონი, ბაროკოს სალონებშიც კი მოვიპოვებდი პატივისცემას. მზად ვარ ვაღიარო: წიგნის დაწერას არაფერი უნდა; ნამდვილი შრომა მაშინ იწყება, როცა ფართო საზოგადოებამდე მის მიტანას ცდილობ. ბილინგერს კი ყველგან და ყველაფერში უმართლებს, ჰოფმანსთალმა მას "დასავლეთის უნიკალური ფენომენიც" კი შეარქვა. როგორც ამბობენ, ის ერთბაშად მიიწვიეს ვენაში და ყველაფრით უზრუნველჰყვეს, ისე რომ, ქირის

გადახდაც კი არ უწევს. წარმოიდგინეთ: ეს ხდება სწორედ იმ ვენაში, რომელიც იმდენად არალიბერალურულია, რომ ალბომის სქელი ფურცლები რომ ჩაეჭრა და შიგნით ვერაფერი ეპოვნა, დიდად გაუკვირდებოდა! მაინც რა გასაოცარია ასეთი ბედი ჩვენს დროში, როცა ყველა თავს ისე დამარცხებულად გრძნობს, როგორც ადმირალი კოლდინი, თავისი ურიცხვი მარცხით რომ გაითქვა სახელი. ამასთანავე, ის ერთ-ერთი ყველაზე გულითადი და კაცთმოყვარე ადამიანია, ვისაც კი ვიცნობ, და მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია.

ვიმედოვნებ, პატივცემულო ბატონო, რომ მალე მომეცემა შესაძლებლობა, ჩემი სურათი გამოგიგზავნოთ. გულწრფელი მადლიერებითა და უცვლელი კეთილგანწყობით, თქვენი ლერნეტი.

პუბო ფონ ჰოფმანსტალს

ვენა, [1929 წლის] 16 იანვარი

დიდად პატივცემულო ბატონო ფონ ჰოფმანსტალ!

ნება მიბოძეთ, მადლობა მოგახსენოთ წერილისთვის და ამ მადლიერებით კიდევ ერთხელ გამოგიხატოთ მთელი ის მოწიწება, რასაც თქვენდამი შევიგრძნობ! ალქესტიდეს თქვენეული შეფასება ერთობ მახარებს. სცენით დაინტერესება ხომ სულაც არ გახლავთ ისეთი ნეტარი საქმიანობა, ჭეშმარიტ პოეტებს რომ წარმოუდგენიათ, რადგან მისგან ძალაუნებურად მუდამ იმაზე მეტს მოველით, ვიდრე ბუნებრივად წარმოადგენს, ის კი ამის სანაცვლოდ იმდენად მცირედ გვემადლიერება, რამდენადაც ბუნებრივი მადლიერება შორდება თავისთავად ცხადი მონაპოვრის გრძნობას. ის უნდომლად და დუნედ ხვდება წინსვლის ნებისმიერ მცდელობას, ნაცვლად იმისა, რომ თავად მოითხოვოს წინსვლა: ჩემთვის ამ პროცესს ორგვარი შედეგი აქვს: ან ყოველად სამარცხვინო და მდაბიო პიესები, ან, მეორე მხრივ, ისეთები, ბევრად რომ სცილდება ზღვარს, ვიდრემდე შეიძლება თეატრი პოეზიით

დააპურო, და ამიტომაც მეტწილად სცენის ფსკერზე ილექება აუთვი-სებელ მასად, – მაგრამ ჩემს უცვლელ მიზნად მაინც რჩება ისეთი პოეზიის შექმნა, სცენაზე თამაში რომლის შესაძლებელია. თანაც, სცენას ბოლო დროს სავალალოდ შეუსუსტდა პოეზიის აღქმის უნარი, უფრო ზუსტად კი: ის შეეწირა ახალ მოთხოვნილებას, პოეზია რაღაც სხვა ელემენტით შეიცვალოს, – ჯერ არ ვიცი, რა არის ეს, ერთი რამ კი უეჭველია: ის ამაზრზენი ელემენტები, რითაც დღესდღეობით წაილეკა სცენა, არ არის პოეზია. არადა, რა ძნელია გაიზიარო პოეტურობის ასეთი უარყოფა! ეჭვი არა მაქვს, რომ თუნდაც "კოშკი" შექსპირის ეპოქაში ნამდვილად ისეთ გავლენას მოახდენდა, შექსპირის პიესას რომ ეკადრება. დღეს კი "კოშკის" მაყურებელი მთლიანობაში თეატრის ერთ დარბაზს შეავსებდა, მსოფლიოს დარბაზებში კანტიკუნტად რომ არ იყოს გაბნეული. თვით შექსპირის დრამებსაც ხომ იმდენივე მაყურებელი ჰყავს დღეს, რამდენიც – "კოშკს". ვერ ვაპატიებ რაინჰარდტს იმას, რომ დღევანდელობის ამ უდიდესი პიესის დადგმას მთელი თავისი ნიჭი არ დაახარჯა, – რადგან ასე არ მოიქცა, მაშასადამე "მთელი ნიჭი" არც გააჩნია.

უკვე სამი თვეა, რაც ვენაში ვიმყოფები და, თუკი ამის შესახებ აქამდე არ გამცნეთ, ამის მიზეზი მხოლოდ უხერხულობაა, რასაც იმ ორი, საზიაროდ დაწერილი პიესის გამო განვიცდი. ძალიან გთხოვთ, ნუ ნახავთ ამ უგემოვნო ნაკეთობებს: მათი შექმნის მიზეზად მხოლოდ ის შემოიძლია დავასახელო, რომ განზრახული მქონდა, ერთხელ და სამუდამოდ შემზიზღებოდა ამგვარი უმსგავსობანი, საბოლოოდ ხელი ამელო მათზე და ჩემი შინაგანი მოვალეობა შემეგნო. – დიდად გავიხარებ, თუ თქვენი მონახულების ნებას დამრთავთ. რა დროს შემოიძლია გეახლოთ?

თქვენი ერთგული
ლერნეტი.

ბოტფრიდ ბენს

სანკტ ვოლფგანგი, 1933 წლის 27 მაისი

პატივცემულო ბატონო დოქტორო,

მეგობრებისგან შევიტყვე იმ საპასუხო წერილის შესახებ, რომლითაც თქვენ ემიგრანტ ლიტერატორებს მიმართეთ: ის მით უფრო გულდასმით წავიკითხე, რამდენადაც მასში – როგორც იქნა – გამოთქმულია არა მავანი რიგითი ხელოვანის აზრი ხალხში მიმდინარე მოვლენების თაობაზე, არამედ – დღევანდელი გერმანიის უდიდესი პოეტის პოზიცია. მე არ მეულება გერმანული სულის ამაზე უფრო მძლავრი და მიმზიდველი გადაწყვეტილება. თქვენეული მხარდაჭერა გადამწყვეტია ზოგადად ერის სულისკვეთებისთვის. თქვენმა განცხადებამ ჩვენი დროის უდიდესი მოაზროვნეები აიყოლია. გერმანელი ხალხი დღეს უეჭველად წარმოგვიდგება უდიადეს ეროვნულ ერთობად, რაც კი ოდესმე არსებულა მსოფლიოში.

როცა ამ დიდებული და, ამავე დროს, გამაოგნებელი მოვლენის მიზეზებს ვუფიქრდები, იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ ან ერი გახდა ხელოვანზე უფრო ძლიერი, ანდა, რომ თავად ხელოვანის პიროვნებაში ეროვნულმა კომპონენტმა სძლია შემოქმედებითს. რადგან ხელოვანი თავისი ბუნებით არავის ექვემდებარება გარდა საკუთარი თავისა და, უკეთეს შემთხვევაში, საკუთარი ღმერთებისა. საერთოდ, ეროვნულობას, როგორც არსებითად საზოგადოებრივ მოვლენას, მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა საზოგადოებრივი პრობლემა კერძოზე, პიროვნულზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება. მე კი მეჩვენება, რომ, მასზე დაკისრებული უმაღლესი და წმინდა მისიის გამო, ხელოვანს საკუთარი თავი მუდამ საკუთარ ხალხზე მეტად ანაღვლებდა. და ის, რომ დღესდღეობით შემოქმედი ხალხის სამსახურში ჩამდგარა, ადასტურებს, რომ დღეს ხალხი თავის შემოქმედთ აღემატება.

მაგრამ ეს შეიძლება იმასაც ნიშნავდეს, რომ შემოქმედნი, ხალხთან შედარებით, დაჩივდნენ, ანუ, როგორც უკვე მოგახსენეთ, რომ დღეს შემოქმედი თავისი არსით უფრო ეროვნულია, ვიდრე – შემოქმედებითი.

ხალხის დროებითმა აღზევებამ მას, როგორც ხალხის ყველაზე მგრძობიარე პირმშოს, მეტნაკლებად ჩაუხშო ინდივიდუალური საწყისი და მილიონთა მასობრივი მაგნეტიზმით წამოწია წინ საზოგადოებრივი საწყისი.

თქვენ თავად გულისხმობთ ამას, როცა ამბობთ, ეროვნული რევოლუციის წვდომა შეუძლებელია, თუკი უშუალოდ მის განხორციელებაში არ ხართო ჩაბმული. თქვენვე მიანიშნებთ იმ ეროვნულ-კოლექტივისტურ კომპონენტზე, გერმანულ ხალხსა და მის შემოქმედ პიროვნებებში სხვა ხალხებსა და მათ გენიოსებზე უფრო მეტად რომ არის განვითარებული.

ამ კოლექტივისტურ საწყისს ჩრდილოეთ გერმანელებთან უფრო მძლავრად ვხვდებით, ვიდრე სამხრეთელებთან. არადა, თავისი არსით ეს ჩრდილოური მოვლენა სულაც არ გახლავთ.

რამდენადაც ვიცი, ნაციონალური მოძრაობის რასისტული თეორიის ზოგიერთი იდეა ვინმე გეორგ ფონ ლანც-ლიბენფელზის თხზულებებს ეფუძნება. ეს კაცი, რომელიც ადგილ-ადგილ ფუჭი მეოცნების შთაბეჭდილებას გვიტოვებს, მაინც, მე ვთვლი, ძალზე უსამართლოდ მიივიწყეს მისივე მიმდევრებმა, უპირატესად, ვგონებ, იმის გამო, რომ მათთვის მეტისმეტად საფუძვლიანი რასობრივი თეორია შექმნა და ძალზე ხშირად მიუთითებდა გერმანელი ერის ისეთ კომპონენტზე, რომლის არსებობა მათ არანაირად არ აწყობდათ: ეს მონღოლოიდური კომპონენტი გახლავთ.

წმინდა სახით მონღოლურს ჩვენ ვაიგივებთ ავართა და თათართა ურდოების მომთაბარე არსებობასთან, მათი მხედრული რაზმების რუს ერთფეროვნებასთან, მათი უფორმო ბრბოს სისასტიკესა და უძლეველობასთან. რუს და ბოჰემიელ, მეტადრე კი მთელი ჩრდილოეთგერმანიის ტერიტორიაზე გერმანიზებულ სლავებთან აღრევის შედეგად ის გარკვეული მონღოლოიდური დოზა მივიღეთ, რომლის შესახებაც ყველამ ვიცით, მაგრამ ღუმილით ვუვლით გვერდს, და რომელიც თავს იჩენს გერმანული არსის კოლექტივისტურ და საორგანიზატორო თვისებებში, დღევანდელი რუსეთის მდგომარეობასა და ბოჰემიელთა ფანატიკურ ჰუსიტურ ომებში. როგორც ჩანს, ამასვე

ეფუძნება ფრანგების შეხედულება გერმანელებზე, როგორც "ბარ-ბაროსებსა" და "ჭუნებზე". გერმანიის ჭეშმარიტი საზღვარი რაინი კი არა, მონღოლოიდური სისხლის ნაკადია. აქვე, უპრიანი იქნება, მოვიყვანოთ ინგლისური ადაზა: "When two Germans meet, they are always founding a Verein"* და – ფრანგულიც: "Une allemand – une brasserie, deuxt allemands – un Verein, trois allemands – la guerre".**

ნუ გეგონებათ, სიძულვილი მაღაპარაკებდეს. უბრალოდ, ფაქტების კონსტატაციას ვახდენ. მეც თქვენსავით მიყვარს გერმანელი ხალხი და ჩემუელად მივიჩნევ მას, ოღონდაც თქვენზე უფრო მკაფიოდ ვამჩნევ მის ზოგიერთ არსებითად არაგერმანულ ნიშანს, დღესდღეობით დომინანტად რომ ქცეულა.

იმას, რაც დღეს გერმანიაში ხდება, უეჭველად გერმანელი ხალხის აღზევება უნდა ეწოდოს, მსოფლიოსგან კი, ჩრდილოური სისხლის დუღილის შედეგად ჩადენილ "გმირობებზე" უკეთესს, მგონი, მართლაც არაფერს უნდა ველოდეთ. მიზეზი იმისა, რომ გერმანელები დღეს მთელ მსოფლიოში სძულთ, ჩვენი სისხლის იმ უარყოფით კომპონენტში მდგომარეობს, რომლის ამოძირკვის უფლებას ჩვენ მომავალი საუკუნის რასობრივ განშრეგებას ვუტოვებთ.

საქმე ის არის, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების სიძულვილი გერმანიის, როგორც სამიში მძლავრი სახელმწიფოს, წინააღმდეგ როდია მიმართული: გერმანელთა გარკვეულ თვისებებს გულისხმობს, რომლებიც ცალკეული კერძო უცხოელისთვის ამაზრზენია და, კაცმა რომ თქვას, თვით გერმანელებისთვისაც მუდამ უფრო მეტი ზიანი მოჰქონდა, ვიდრე – სიკეთე. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი დარჩებოდა, ეს სიძულვილი მაინცდამაინც ავსტრეთში, ინგლისსა და შვედეთში რატომ აღიძრა. გარწმუნებთ, ის რაც დღეს გერმანიაში ხდება, არსებითად არაგერმანულია და ამის აღიარება ცუდ პატრიოტიზმზე კი არა, პირიქით, ჭეშმარიტად სანიბუშო პატრიოტიზმზე მეტყველებს. თავად გერმანელებიც ხომ უკვე ასე იქცევიან! ან კი რით უნდა აი-

* "სადაც თავს მოიყრის ორი გერმანელი, მაშინვე საზოგადოებას აარსებს"(ინგლ.)

** "ერთი გერმანელი ლუქსაზარშია, ორი გერმანელი – "ფერაინი" (გაერთიანება), სამი გერმანელი – ომი" (ფრანგ.)

ხსნას კიტჩის საწინააღმდეგო კანონის გამოცხადება, თუ არა – ფანტიკური აქციების წინააღმდეგ მიმართული მწვავე პროტესტით?

მამასაღამე, თუკი ერის წინაშე ვიხრით ქელს, ეს არავითარ შემთხვევაში უწინდებურზე დიდი სიძლიერით არ უნდა გავაკეთოთ. არც ერთ შემთხვევაში არ ღირს იმ ფანტიკური, გამანადგურებელი სულისკვეთების განხარება, რომელიც სისუსტის ნიშანია და სხვა არაფერი. თუკი ერი რეალურად ჯანსაღია, მისი ხარვეზები თავისით შესწორდება. ერის ნაყოფიერი პოტენცია მუდამ ახერხებს სარეველების ამოძირკვას. მოდით, ნუ შევუწყობთ ხელს ისეთ უნაყოფო ადამიანებს, ვრომლებიც, რაკილა მეტი არაფრის თავი არ აქვთ, სხვის, თუნდაც ცუდ პროლუქციას ანადგურებენ.

მოკლედ რომ შევაჯამოთ: ხელოვანი ჭეშმარიტად უნდა ემსახუროს ხალხს, ოღონდ – საკუთარი არსიდან გამომდინარე. ანუ: ხელოვანი კი არ უნდა აჰყვეს ხალხის ფეხის ხმას: პირიქით, ხალხმა უნდა აიტაცოს ის საქმე, რასაც ხელოვანი აკეთებს. პირადად მე იმ მოსაზრებას ვეყრდნობი, რომ, არა მხოლოდ ხელოვნების, არამედ ნაციონალურ საკითხებშიც კი გაცილებით მეტი მაქვს სათქმელი ხალხისთვის, ვიდრე მას – ჩემთვის. ყოველთვის კბილებით ვებრძვი იმ მოსაზრებას, თითქოს ხალხმა უნდა განსაჯოს პოეტი. ხალხმა მაგალითი უნდა აიღოს პოეტისგან, რომელიც თავის საუკეთესო, ანუ ყველაზე შემოქმედებით, წუთებში ხალხს მსაჯულად კი არ ევლინება, არამედ უშრეტი სიუხვით გასცემს და კვლავაც გასცემს, თუკი რამ აბადია.

პოეტი ერის რიგითი წარმომადგენელი კი არა, მისი არისტოკრატია. ხალხი, რომელიც პოეტს მხოლოდ მაშინ მიაგებს პატივს, როცა ის მის მოთხოვნილებებს აკმაყოფილებს, ძალიან მალე გამოიფიტება და ახალ პოეტებს ველარ შობს. თუმცა, ესეც, მრავალი სხვა რამის მსგავსად, ასატანი გახლავთ და მე ვერ გავამართლებ იმ ლიტერატორებს, რომლებიც საკუთარ ხალხს ზურგს აქცევენ, რაც არ უნდა დიდი ტკივილი ეგემოთ მისგან.

ძალზე მახარებს, პატივცემულო დოქტორო ბენ, რომ ხალხის გვერდით თქვენმა დგომამ ამ მოსაზრებათა გამოსათქმელად მიბიძგა, რადგან თქვენს გარდა ვერავის გავუზიარებდი ამ ყველაფერს ასეთი

სიამოვნებით. გადაწყვეტილებათა მიღების ჟამმა მოაწია და, თუ მეც ჩემი პირადი პოზიციის განსაზღვრა მმართველს, გეცხით, რომ ეს უკვე დიდი ხანია გავაკეთე: ამ წერილში გამოთქმული ყველა სადავო მომენტის მიუხედავად, მეც ერის გვერდით ვდგავარ.

ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ დაგიდასტუროთ ჩემი უღრმესი მოწინააღმდეგეობა თქვენსა და თქვენი შემოქმედების წინაშე.

გულწრფელად თქვენი ერთგული
ალექსანდერ ლერნეტ-პოლენია.

ემილ ლორენცს

სანკტ ვოლფგანგი, 20.9.1938

ძირფასო დოქტორო ლორენც,

დიდი სიამოვნებით წავიკითხე თქვენს მიერ ასე გულითადად მოწოდებული ბროშურა. ეს შინაარსობრივადაც და სტილისტურადაც არაჩვეულებრივად კარგი ნამუშევარი გახლავთ და, მე ვფიქრობ, ამის ფონზე დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ მომენტს, რომ გეორგემ 1933 წელს თავადვე უარყო საკუთარი თავი. იმხანად, გარდაცვალებამდე სულ ცოტა ხნით ადრე, ალბათ, მართლაც არ იცოდა, რას სჩადიოდა და აღარც დროის დინების საწინააღმდეგოდ სვლა შეეძლო.

როგორც ნებისმიერი წინასწარმეტყველების შემთხვევაში, აქაც ღიად რჩება საკითხი, თუ კონკრეტულად რას ეხება ამ ნათელმხილველის სიტყვები. ისიც თავისი მრავალი წინამორბედის შეცდომას იმეორებდა: საკუთარ ლექსებში აუცილებლად უახლოესი მომავლის ასახვა სურდა. ასე მოიქცა მაქსიმინის შემთხვევაში, რომლის თაობაზე კამათიც ძალზე ძნელია, და ასევე მოიქცა "ახალი იმპერიის" შემთხვევაშიც.

თავდაცვით მოგეხსენებათ, რომ ლექსის მნიშვნელობა მისი რეალიზმით როდი განისაზღვრება, არამედ, საერთოდ, მისი "ხილვისეული" არსით. ამა თუ იმ ხილვის სიმართლე ჯერ ვერავინ დადასტურა დანამდვილედ.

ბით. ეს ისევე რთულია, როგორც – საერთოდ სინამდვილის ობიექტური შეფასება. მოკლედ: ლექსი ერთობ მნიშვნელოვან ისეთ მოვლენას უკავშირდება, რისი ამოცნობაც მაშინაც კი არ ძალგვიძს, როცა მის პირისპირ ვდგავართ. თუ საერთოდ გვეხილება მასზე თვალი, მხოლოდ – მაშინ, როცა ის უკვე კარგა ხნის ჩავლილია.

ასე რომ, ჩვენს თანამედროვეობასთან გეორგეს უკანასკნელი კრებულების დაკავშირება ნაადრევად მეჩვენება. თუმცა, თავად მას სწორედ ასე ეგონა, მაგრამ ეს მხოლოდ მისი სულსწრაფობის გამოვლინება გახლდათ.

ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის მერე – ეს კი კარგა ხნის წინათ იყო, – არსებითად, იგივე დავრჩი, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან შევიცვალე. შესაძლოა მოგეჩვენოთ, რომ უფრო ზედაპირული გავხდი; სინამდვილეში ასეა: ზოგი რამ, რასაც ვწერ, მართლაც ზედაპირულია; მაგრამ, თუკი ადრე ჩემს სიღრმისეულ, მაგრამ უმწიფარ შემოქმედებას ნაადრევად ვაქვეყნებდი, ახლა თავს ვიკავებ და დაღვივებას ვაცდი. მე ვფიქრობ, ახლა ბევრად უფრო შემეფერება პოეტის სახელი, ვიდრე – ოდესმე. და, თუ მართლაც პოეტი ვარ, როცა რაღაც მნიშვნელოვნის მოახლოებას შევიგრძნობ, ყოველთვის შორს ვარ გეორგეს ბოლოდროინდელი ტენდენციებისგან, ყოველ შემთხვევაში, იმ გაგებით, როგორც ისინი დღეს ესმით.

მსოფლიო კატასტროფა იმდენად ნათლად მიდგას თვალწინ, რომ ბრძებზე გამეფებულ ცალთვალაზე ნამდვილად ვერ ვიტყვი, ორივე თვალით ხედავს-მეთქი. მით უმეტეს, სამი თვალის ქონას ვერ დავაბრალებ. ის, რაც 1918 წლიდან 1932 წლამდე ხდებოდა და, შემდეგ, 1933 წლიდან დღემდე ხდება, ნაადრევი მცდელობაა იმ სიტუაციის შექმნისა, მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნეში რომ გახდება შესაძლებელი. ეს მხოლოდ მომავლის ავანგარდია და არა – თვით მომავალი. არც იმ აზრისა ვარ, რომ გერმანელები მსოფლიო ბატონობისთვის არიან მოწოდებული; საამისო მოწოდება მხოლოდ ახალ, უკეთეს კაცობრიობას ექნება.

ამ ყოველივეს ბოლო დროს უკვე კარგა ხანია ნათლად ვხედავდი და, თუ ამას სიმშვიდის მაგიერ შფოთით შევხვდი, თუკი უდრტვინვე-

ლობის მაგიერ თავს განადგურებულად ვგრძნობ, ამის მიზეზი მხოლოდ ერთია: მუდამ ვესწრაფოდი საკუთარი პიროვნების, საკუთარი ბედისწერის, საკუთარი გულისგან დისტანცირებას, — ახლაც იგივეს ვცდილობ. კი არ ვცხოვრობ, მივჩანჩალებ და ცხოვრება უკან მომთრევს; ვგრძნობ, რომ ნამდვილი სიცოცხლე არ შემიძლია და არც კი ვიცი, მივატან თუ არა იქამდე, როცა კვლავ შევძლებ ამას.

რაც შეგეხებათ თქვენ, ძვირფასო დოქტორო ლორენც, იმედი მაქვს, რომ სირთულეების დაძლევის შემდეგ შეძელით სიმშვიდის მოპოვება და მთელი გრძნობით განიცდით დიდი ხნის ნანატრი ჩანაფიქრის განხორციელებას. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას ყურადღებისთვის.

გულწრფელად თქვენი,
ლტ.

P. S. გთხოვთ, მომიკითხეთ ჩემი ძველი მეგობარი რაუნეკერი!

ემილ ლორენცს

ვენა, 23. IV. 1940

ძვირფასო დოქტორო ლორენც,

თქვენი პირველი წერილი ჯერ კიდევ ხელთ არ მაქვს, მეორე კი დღეს მომივიდა.

რასაც "კატრენის" ცალსახა თუ მრავალმნიშვნელოვანი წაკითხვის შესახებ ამბობთ (უფრო სწორედ, იმის შესახებ, რომ მასში ნებისმიერი შინაარსის ამოკითხვა შესაძლებელია), ამის საუკეთესო მტკიცებულებად მეგულება მოჩვენებითად თუ მართლა ასრულებულ წინასწარმეტყველებათა გადაკითხვა. რადგან ჩემი ჩანაფიქრის წინაპირობა სწორედ ეს გახლდათ. აქ, ჩემი აზრით, ვერსად მონახავთ ისეთ ცალსახა მნიშვნელობას, სხვა ურიცხვ ინტერპრეტაციას რომ გამოორიცხავდეს; ამაში თუნდაც ის გვარწმუნებს, რომ, გლოსარებზე დაყრდნობით,

გამუდმებით გვიწევს, თუნდაც, ცნება "კოსმეტიკოსის" მნიშვნელობის შეცვლა.

მგონი, ნებისმიერი წინასწარმეტყველების მხოლოდ ძალზე ზოგადი წვდომაა შესაძლებელი; იქაც კი, სადაც ის, თითქოსდა, კონკრეტულ და ზუსტ ცნობებს გვაწვდის და დეტალებს უღრმავდება, კონკრეტულობას მხოლოდ სიმბოლოს მნიშვნელობა უნდა მივანიჭოთ. მოკლედ, ერთადერთ ჭეშმარიტ წინასწარმეტყველებად იყო და დარჩება შემდეგი: "საქმე მრუდედ წავივა". დიდი ხნით მხოლოდ მისი სიმართლე ძლებს: გნებავთ ეგვიპტურ სამარხებს გადავხედოთ, რომელთა ბორცვებზეც ჰიენები ხარხარებენ, გნებავთ – ბაბილონის, რომის, ტენოჩტიტლანის ნანგრევებს, გნებავთ – მომდევნო ათასწლეულებს. წინასწარმეტყველება ის არის, რაც, პოეზიის მსგავსად, მრავლისმეტყველებისკენ ისწრაფის. მუდამ ერთადერთი წინასწარმეტყველება მეორდება: ჯერ – ძრწოლა და მერე – ათასწლიანი საუფლო, ჯერ – მსოფლიო ხანძარი, მერე – ახალი ზეცა და ახალი მიწა, ჯერ – აპოკალიპტური ნგრევა და მერე – ზეციური იერუსალიმი.

"რადგან მარადიული მხოლოდ ისაა,
რაც აღდგება".

აქედან გამომდინარე, ისიც მწამს, რომ "ბრინჯაოს უნაგირზე" მჯდომი მხედარი, "ფოთლებშემოსილ რტოებს შორის" ჩახლართული მათრახით რომ მართავს თავის ცხენს და ისე მიაპობს მოვლენათა თანმიმდევრულ მსვლელობას, ერთ ცალკეულ შემთხვევას კი არ გამოხატავს, არამედ – მომავლის მთელ მრავლისმომცველობას: ალქიმიკოსებსაც ხომ არასდროს უძებნიათ ნამდვილი ოქრო, ასტროლოგი კი მხოლოდ ამ ფრაზის სრულყოფილ წვდომას ესწრაფოდა: ყოველი საგანი ყოველი საგნის გამომწვევი მიზეზია, ხოლო ყველა წინაპირობას ყველა შედეგი შეესაბამება. ნეტარმა რილკემ სადღაც მოახერხა ამ აზრის გადმოცემა, მგონი, ამ პწკარებში:

„და ლაბორანტმა უცნაური ღიმილით გვერდზე
გადადგა კოლბა დაუმცხრალი, ორთქლმოდებული.
უკვე იცოდა, ერთადერთი რაც სჭირდებოდა,

რომ ამ კოლბაში მას მიელო კეთილშობილი

საგანი: მას დრო სჭირდებოდა, ათასწლეულებს
საჭიროებდა თავისთვისაც და ამ მსხლისთვისაც,
რომელშიც ხსნარი თუხთუხებდა, ტვინში – ვარსკვლავთა
დიადი დასი, გონებაში – სულ მცირე – ზღვები“,
და ა. შ.

თქვენ შეიძლება ჯეროვნად არ დააფასოთ ამ აღმოჩენის მნიშვნე-
ლობა. მას ბევრი აკეთებს და მაინც ბოლომდე არავინ სწვდება მის
არსს. ყველა მაშინვე ივიწყებს იმას, რასაც წამიერად ჩასწვდა. წი-
ნასწარმეტყველება, პოეზია, ალქიმია სწორედ ამის ყოველწუთიერი
გახსენებაა, – სხვა არაფერი.

ხშირად ვფიქვბ იმაზე, რომ თქვენი ლექსების კრებულის გამო-
ქვეყნებას ცდილობთ. ჩემშიც ხშირად იბადება ცალკეული პწკარები
თუ ლექსის მონახაზები და სიზმრებივით ჩამივლის თვალწინ. მაგ-
რამ ეს ყოველივე მხოლოდ ერთი-ორი წლის შემდეგ მომწიფდება.
ამის მიზეზი მხოლოდ ის არ გახლავთ, რომ ამ იაფფასიან
ლუღხანაში,– რადაც გადაქცევას განუწყვეტლივ და ამოღ ლამობს
სამყარო,– ჩამომსხდარი გასიებულლაბაბიანი, აჭიმებიანი ადამიანები
შეუძლებელია ორფევსის საიდუმლოებებს აზიარო. ეს მეტისმეტად
ზედაპირული ხედვა იქნებოდა. მიზეზი მეტადრე იმაშია, რომ ეს
ადამიანები დღეს თავიანთი დანაკარგის გარდა არაფერზე ლაპარაკო-
ბენ, რაც იმას ნიშნავს, რომ სამყაროს სურს თავისი მარცხი, მეცხრა-
მეტე საუკუნის საზარელი ნაყოფი, ბორტს იქით გადაისროლოს
და ამის მეტი სხვა არაფერი ადარდებს. სხვა არაფერი. ხოლო,
როცა ზედმეტ ქაღალდებს წვავ, შეუძლებელია, იმავდროულად რაღაც
ახალს წერდე. მე ვფიქრობ, დღეს ჩვენ არ ვქმნით მსოფლიო ისტ-
ორიას; ჩვენ მხოლოდ ადგილს ვათავისუფლებთ ახალი – თუნდაც
ალექსანდრიული – სამყაროსთვის.

გულითადად თქვენი
ვოდრიო.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ფრანც შერვლი

მკითხველისადმი

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის

მაწანწალას სიმღერა

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
სეირნობისას

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
კეთილი საქმე ჩავიდინე

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
შენ ცრემლნარევი აღტაცება მოჰგვარე ამ გულს...

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მიუტოვებელი

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მამა-შვილი

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მზერათა შეხვედრა

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მოხუცი ქალი მიდის

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
სხვა ყოფიერება

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
სასოწარკვეთა

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
კვირა საღამო

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მაინც რა არის ამაზე ტკბილი?

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მარადიული გამოსაღმება

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
საქალაქთაშორისო საუბარი

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
ღვთიური მეკარე

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ბათუ დანელიასი
ცხოვრების სიმღერა

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ბათუ დანელიასი
ღიმილი, სუნთქვა და მოძრაობა

პწკარული თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
მაღალი საზოგადოება

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის
კეთილი კაცი

პწკარული ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონხადის

რატომ, ღმერთო?

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ძახილი

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
Veni Creator Spiritus

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ერთმანეთისთვის უცხო ვართ ყველა

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ერთი გოგონას მთვარის სიმღერა

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
შინ დაბრუნება ღამით

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ვნებიანები

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
მომაკვდავი ქალი

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
მზერა

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
შემოდგომის სიმღერა

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
თაგვი

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ძაღლი

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ლექსი

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ზვიად რატიანის
გამოსვლა, 34:29

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
მიცვალბულთა ოთახების ლიტანია

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
თოვა

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ღვთისმშობელი და ყვაგები

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
რაც რჩება

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
სიუცხოვე

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის
ადამიანი მუნჯია

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ზვიად რატიანის
ღილის ჰიმნი

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ზვიად რატიანის
ქებათაქება

პწკარელი თენგიზ ხაჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯოხაძის

ლეგენდა ენაზე

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონსაძის
ბალადა ავადმყოფობისა

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ზვიად რატიანის
სნეული

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონსაძის
ადამიანი და სამყარო

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ზვიად რატიანის
სიცოცხლის სიმალღე

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონსაძის
სნეულების ღვთიური აზრი

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონსაძის
შეხვედრა მიცვალებულთან

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონსაძის
პატარა ბალადა დისადმი

პწკარელი თენგიზ საჭაპურიძის, ლიტ. თარგმანი ვია ჯონსაძის

ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენია*

ვნება სიყვარულისა

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
თეთრი ბანოვანი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
სამყარო

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
ალაფი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
ოსიანის საფლავთან

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
ფრაგმენტები დაკარგული ზაფხულებისა

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
სოფელი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
მიმართვა

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი
მდელოთა ნიმუგებს

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგოასი

*ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენიას აქ წარმოდგენილი ყველა ლექსის პწკარედული თარგმანი (გარდა ლექსებისა “კავკასია” და “გერმანია”) შესრულებულია დოქტორი რუსუდან ღვინეფაძის მიერ.

ბედისწერისადმი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
გამგზავრება

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
დაფნის ფოთლებისადმი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
გარდამოსხნა

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
უფენაუ

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
სასაფლაო

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
მაცხოვერისადმი

ლიტერატურული თარგმანი გიორგი კეკელიძის
პირველი ოლიმპიური ჰიმნი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
მეორე ოლიმპიური ჰიმნი

ლიტერატურული თარგმანი ჯარჯი ფხოველის და ირაკლი გოგიასი
გოტფრიდ ბენისადმი

ლიტერატურული თარგმანი ირაკლი გოგიასი
ჯაკომო ლეოპარდისადმი

ლიტერატურული თარგმანი ირაკლი გოგიასი
ქრისტესადმი

ლიტერატურული თარგმანი გიორგი კეკელიძის
კაეკასია

თარგმანი ნატო ინგოროფვასი
გერმანეთი

თარგმანი დათო ბარბაქაძის

დანართი I

ფრანც შერშელი

რატომ, ღმერთო ჩემო

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ლევან ცერცვაძის
კვირა საღამო

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ლევან ცერცვაძის
სასოწარკვეთა

პწკარელი ეკატერინე კიკალიშვილის, ლიტ. თარგმანი ლევან ცერცვაძის

ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლმენია

გერმანია

პწკარელი თამარ კოტრიკაძის, ლიტ. თარგმანი პატა შამუგაისი

ღანართი II

ფრანც ვერფელი. არსებითი სახელი და ზმნა
თარგმნა შორენა შამანაძემ

ალექსანდერ ლერნეტ-ჰოლენია. მიმოწერიდან
თარგმნა თამარ კოტრიკაძემ